



საბჭოთა რეპრესიები აჭარაში პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების კონტექსტში

ავტორი: ირინე შერვაშიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ ფუტყარაძე

ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი 2021

აბსტრაქტი

პოლიტიკური რეპრესიების კვლევა თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. პოსტსაბჭოთა პერიოდში საიდუმლო საარქივო მასალებისა თუ მემუარული ლიტერატურის ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო ამ მიმართულებით კვლევების გააქტიურებას. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა რეპრესიების შესწავლამ პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების კონტექსტში.

საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმ მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობით, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული, რაც ხშირად ვლინდება როგორც პოლიტიკური ელიტის, ისე ფართო საზოგადოების ქმედებებში.

სადოქტორო დისერტაცია ეხება აღნიშნული საკითხის კვლევას პოლიტიკური რეპრესიების ამსახველი საარქივო დოკუმენტების და სამეცნიერო ლიტერატურის, სასკოლო სახელმძღვანელოების, პერიოდული პრესის, მხატვრული ლიტერატურისა და კინოხელოვნების ნიმუშების ბაზაზე. განხილულია სხვადასხვა სახის ნარატივის მნიშვნელობა და გავლენა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებისა და მათი თაობებზე გადაცემის პროცესში.

სადოქტორო ნაშრომი ასევე ეხება პოლიტიკური რეპრესიების კვლევას ზეპირი ისტორიების ბაზაზე, რომელიც რეპრესირებულთა შთამომავლების ოჯახებში შეგროვდა და გამოყენებულია როგორც ალტერნატიული მეხსიერება.

რეპრესიებთან დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებების მდგრადობისა თუ ტრანსფორმაციის თვალსაზრისით საკითხის კვლევით ნათლად წარმოჩნდა ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი დისკურსი, რაც გარკვეულწილად შენარჩუნებულია პოსტსაბჭოთა პერიოდშიც.

შინაარსი

შესავალი.....	6
საკითხის აქტუალობა	11
კვლევის მიზნები და ამოცანები	13
კვლევის კითხვები და ჰიპოთეზა.....	15
მეთოდოლოგია.....	17
კვლევის შედეგები	18
კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება.....	22
ისტორიოგრაფია.....	23
ნაშრომის სტრუქტურა.....	30
თავი I - ისტორია და მეხსიერება	
1.1. მეხსიერება და მისი შესწავლის დონეები	30
1.2. მეხსიერებისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხისათვის.....	33
1.3. მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციები საბჭოთა საქართველოში	37
თავი II - პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში	
2.1. პოლიტიკური რეპრესიების ასახვა საარქივო დოკუმენტებში.....	49
2.2. პოლიტიკური ტერორის ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში.....	68
2.3. პოლიტიკური რეპრესიების ასახვა მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში (თეატრი, კინო).....	77
2.4. პოლიტიკური რეპრესიები პერიოდულ პრესაში.....	
2.5. ოჯახური ნარატივები ხალხის კულტურულ მეხსიერებაში.....	97
თავი III - საბჭოთა წარსულის გადაფასება ინსტიტუციურ დონეზე	
3.1. საკანონმდებლო ცვლილებები, ლუსტრაციის საკითხი.....	121
3.2. რეპრესირებულთა რეაბილიტაციის საკითხი.....	133
3.3. რეპრესიების მსხვერპლთა სამარხების საკითხი.....	139
დასკვნა.....	150
რეკომენდაციები.....	158
ბიბლიოგრაფია.....	159
დანართები.....	166

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა მემუარული ლიტერატურა და საარქივო მასალაც ხელმისაწვდომი გახდა, ისტორიკოსებს კვლევებისთვის ფართო ასპარეზი გაეხსნათ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო რეალური ფაქტების მოძიება და პოლიტიზირებული საბჭოთა ისტორიის გადაფასება. **თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის კი აქტუალური გახდა საბჭოთა წარსულის შესწავლა პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების კონტექსტში**, რადგან საბჭოთა სისტემის მიერ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობა სხვადასხვა ფორმით დღემდე ვლინდება როგორც პოლიტიკური ელიტის, ისე ფართო საზოგადოების ქმედებებში.

წარსულის გადაფასების იმ წინააღმდეგობრივ გზაზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გადის, საბჭოთა რეჟიმის ანატომიას ყველაზე ნათლად პოლიტიკური რეპრესიები წარმოაჩენს. ამიტომ არის საბჭოთა წარსულის კვლევები კონცენტრირებული რეპრესიების საკითხებზე, რომელიც 20-იანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებულ მასშტაბებს 30-იან წლებში მიაღწია, როცა რეპრესიულმა პოლიტიკამ „დიდი ტერორის“ სახე მიიღო.

პოლიტიკური რეპრესიები გაგრძელდა 1941-1951 წლებშიც. ამ პერიოდში სხვადასხვა ეროვნების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებმა გადაიტანეს მასობრივი რეპრესიები. დევნა გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც, რომელიც ომიდან დაბრუნებული ტყვედყოფილი ჯარისკაცების ნაწილის შრომა-გასწორებით ბანაკებში გადასახლებითა და ადამიანების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იძულებითი მკურნალობით გამოიხატა. ფიზიკური განადგურების და პატიმრობის პარალელურად, ათასობით ადამიანს ჩამოერთვა კერძო საკუთრება და გაასახლეს საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან.

საგანგებოდ უნდა დავასახელოთ ორი ისტორიული მოვლენა, რომელმაც ქართველთა მეხსიერებაზე ტრავმული გავლენა მოახდინა - 1956 წლის 9 მარტის და 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლიანი დარბევა, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა, მასშტაბური ტრაგედიების შესახებ ცოდნა ჯერ კიდევ ფრაგმენტულია და უამრავი ფაქტი საერთოდ არ არის შესწავლილი. 1990-იანი წლების ისტორიოგრაფია საბჭოთა სისტემის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გადაფასებით შემოიფარგლა, რაც ისტორიის სახელმძღვანელოებშიც არის ასახული.

1990-იან წლების კვლევათა სიმწირე თანამედროვე მკვლევრების მიერ სხვადასხვა მიზეზით არის ახსნილი:

1. კონფლიქტები და განადგურებული ეკონომიკა, რამაც უკანა პლანზე გადაწია რეპრესიების შესახებ ხსოვნა;
2. ტერორის პერიოდის საარქივო მასალის სიმწირე, რამაც შეამცირა სრულფასოვან კვლევათა შესაძლებლობა;
3. 90-იანი წლების მეცნიერებისთვის დამახასიათებელი საბჭოთა მენტალობა, რის გამოც ვერ მოხერხდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ადეკვატური შეფასება;
4. მსხვერპლის როლის მორგება და პასუხისმგებლობის ვექტორის გარე მტრისკენ მიმართვა, რის გამოც საჭირო გახდა საბჭოთა ტერორის რამდენიმე პიროვნების ბიოგრაფიათა ჭრილში განხილვა (ჯავახიშვილი, 2015:335).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ცხადია, საქართველოშიც, ჯერ კიდევ არ არის დამღეული საბჭოთა მემკვიდრეობა. შუა ხნის და უფროსი ასაკის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რომლებიც ცდილობენ რეპრესიების აუცილებლობა გაამართლონ „დროის მოთხოვნებით“, კვლავ ცოცხლობს საბჭოთა ნოსტალგია. ცალკეული კვლევებით დგინდება, რომ სწორედ პოსტსაბჭოთა ტრანზაციის პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა განაპირობა, ერთი მხრივ, საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა რეპრესიებთან დაკავშირებული ხსოვნის მეხსიერებიდან განდევნა. ამას ერთვოდა მეხსიერების პოლიტიკის არათანმიმდევრულობა, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნის მთავრობებისთვის იყო დამახასიათებელი.

1990-იან წლებში, რეპრესირებულთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია "მემორიალი" მუშაობდა. იგი საკუთარ გაზეთში აქვეყნებდა მასალებს, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო გამოცემა შეჩერდა.

„მემორიალი“ ჩართული იყო რეპრესირებულ პირთა საარქივო დოკუმენტების სისტემატიზაციის პროცესშიც. ორგანიზაცია კვლავაც არსებობს, თუმცა აქტიურად აღარ მუშაობს.

1990-იანი წლებიდან დღემდე საბჭოთა რეპრესიების თემატიკას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია მიემდვნა. მიუხედავად კვლევათა ერთგვარი სიმრავლისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფია ფოკუსირებული იყო პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ განხორციელებული დევნის ფაქტებზე. მაგ.: გიორგი ანჩაბაძის საქართველოს ისტორიის მოკლე ნარკვევში (ანჩაბაძე, 2005) გამოყოფილია ქართული ინტელიგენციის დევნის ფაქტები. აღნიშნული ტენდენცია შეეხო დასავლურ ისტორიოგრაფიასაც. ამერიკელი ისტორიკოსი რონალდ სუნის შეფასებით 1936-1937 წლებში, ტერორის მსხვერპლი გახდა ურიცხვი მწერალი, მხატვარი და მეცნიერი, მასწავლებელთა თითქმის მთელი კორპუსი და უნივერსიტეტის მრავალი სტუდენტი (Sunny, 1994:272; იუნგე, 2015ა:15).

საქართველოს ისტორიის შედარებით ახალი, მიმოხილვითი სახის კვლევები (Asatiani, 2009:387), საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა ნაწილი (გურული, 2003:138; ჯანელიძე, 2012:347) გარკვეულწილად მიუთითებს, რომ რეპრესიებმა მოიცვა საზოგადოების თითქმის ყველა სოციალური ფენა. პირად მაგალითზე საუბრობს გეოგრაფი რევაზ გაჩეჩილაძე წიგნში „ჩემი მეოცე საუკუნე“ (გაჩეჩილაძე, 2008:298-299), სადაც ხაზგასმულია, რომ რეპრესიები შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას.

რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერებაში საბჭოთა საქართველოს ელიტის როლსა და ძალაუფლების „ცენტრიდან“ რეგიონებში გადანაწილების საინტერესო ფაქტებს გვაწვდის მარკ იუნგეს, ომარ თუმურაშვილისა და ბერნდ ბონვეჩის ორტომეული „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, რომელიც 2015 წელს გამოიცა და სამეცნიერო ლიტერატურაში, მნიშვნელოვან საარქივო მასალაზე დაყრდნობით, სრულიად ახალი ფაქტები შემოიტანა (იუნგე, 2015ა; იუნგე, 2015ბ). ამავე წელს გამოიცა მარკ იუნგეს, ბერნდ ბონვეჩისა და დანიელ მიულერის „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“ (იუნგე, 2015გ), რომელიც სამეცნიერო წრეებში არაერთგვაროვანი შეფასებებისა და მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა. აღსანიშნავია „კომუნიზმის შავი წიგნი“, რომელიც ქართულად 2011 წელს გამოიცა. საანალიზოდ

გამოტანილი მასალა, რომელიც ამ წიგნში არის წარმოდგენილი, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა დაამუშავეს და მანამდე უცნობ საარქივო მასალებს მოიცავს. წიგნში მიმოხილულია ყველა ის ქვეყანა, რომელიც კომუნისტურ რეჟიმში ცხოვრობდა ან ახლაც ცხოვრობს (კურტუა, 2011). ტოტალიტარიზმისა და რეპრესიული პოლიტიკის შესწავლისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა პროფესორების გიორგი ციციშვილის, ოთარ ჯანელიძის (ციციშვილი, 1998; ჯანელიძე, 2019) და სხვათა ნაშრომები.

საქართველოში არც მეხსიერების კვლევების სიმრავლით არის განებივრებული მკითხველი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით კვლევებს ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი და ჰოლოკოსტის გააზრებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გააქტიურდა. ბოლო დროს ამ თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა: დაიწყო ინფორმაციების შეგროვება საბჭოთა წარსულის კვლევების განსახორციელებლად და შეიქმნა არაერთი თეორიული ნაშრომი, რომელშიც მოცემულია აღნიშნული პერიოდის ანალიზი. მაგალითად, 2010 წელს, ჰაინრიხ ბიოლის ფონდისა და გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების საერთაშორისო განყოფილების (DVV International) ხელშეწყობით, საქართველოში დაარსდა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ (SovLab), რომელიც, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან ერთად და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, საბჭოთა წარსულის კვლევებს აწარმოებს. მათ შორის, მნიშვნელოვანია 13 რეპრესირებული ქალის მიერ მოყოლილი ისტორია, რომლებიც 1937-38 წლებში დიდი ტერორის მსხვერპლი გახდნენ (მარგველაშვილი, 2012).

საბჭოთა წარსულის მეხსიერების კონტექსტში კვლევების თვალსაზრისით საქართველოში საინტერესოა თამარ ქარაიას (ქარაია, 2015), გიორგი მაისურაძის (მაისურაძე, 2013), დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი, 2017) და სხვათა ნაშრომები.

უცხოელ მკვლევრებს შორის საინტერესოა ტიმოთი ბლოველტის და ჯერემი სმიტის „საქართველო სტალინის შემდეგ: ნაციონალიზმი და საბჭოთა ხელისუფლება“, სადაც ასახულია 1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში განვითარებული მოვლენები. წიგნი ასახავს, თუ როგორ იყო

არა მხოლოდ სტალინი, არამედ ქართველთა ფართო წრე საბჭოთა სისტემის ცენტრში, რამდენად სცემდნენ თავყვანს სტალინს საქართველოში (Blauvelt, 2015).

საბჭოთა რეჟიმის მესვეურთა მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვისაც არის დამახასიათებელი, რომლის მიზეზად ცოდნის ფრაგმენტულობა შეიძლება მივიჩნიოთ, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. ასევე ნაკლებია ინტერესი მსხვერპლთა ჯგუფის მიმართ მაშინ, როცა რეპრესიული ტრავმული წარსულისგან განთავისუფლება უმნიშვნელოვანესია გარდამავალი საზოგადოებისთვის. სტენლი კოენი (Cohen, 1995:7-50) გარდამავალი საზოგადოებებისთვის სამართლის ძიების ეტაპზე გამოყოფს რამდენიმე ფაზას:

1. ყოფილი რეჟიმის შესახებ სიმართლის ძიება და დადგენა;
2. წარსულის დანაშაულებისთვის სამართლის დადგენა;
3. განსაზღვრა თუ ვინ დაისჯება წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის;
4. მონანიების შესაძლებლობა;
5. საზოგადოების შერიგება და ერთიანობის კონსტრუირება (ქარაია, 2015:51).

სახელმწიფოები განსხვავებულად არჩევენ ფაზებსა და მათი განხორციელების თანმიმდევრობას. პოსტსაბჭოთა საქართველოში კი ეს პროცესი ნახევრად ფორმალური რეაბილიტაციით, აღსრულების გარეშე დატოვებული ლუსტრაციის კანონით, მეხსიერების ადგილების გადაწერითა და რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გადაფასებით შემოიფარგლა. სამართლის ძიების პროცესს ხელს უშლის არსებული კანონმდებლობაც, რომელიც გარკვეული დროით ზღუდავს საარქივო მასალებთან წვდომას. დღემდე მთელ რიგ სახელმწიფოებს და მათ შორის საქართველოს არ უღიარებია საკუთარი პასუხისგებლობა რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერებაში, რაც რეგიონების ხელისუფალთა მხრიდან ე.წ. „ლიმიტების“ გაზრდის მოთხოვნაში გამოიხატა. არც რეპრესიული პოლიტიკის განხორციელების ეტაპისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მაგალითები გამხდარა სამეცნიერო კვლევის საგანი. ნაკლები ყურადღება ეთმობა მსხვერპლთა ჯგუფის ზეპირი ისტორიების, როგორც ალტერნატიული მეხსიერების საკითხებით დაინტერესებას როგორც ისტორიკოსების, ისე სახელმწიფოს და ფართო საზოგადოების მხრიდანაც. საშუალო სკოლების საგანმანათლებლო პროგრამები არ იძლევა სათანადო ცოდნას

საბჭოთა წარსულის შესახებ. საქართველოში მოქმედ არცერთ უმაღლეს სასწავლებელში, გარდა ილიას უნივერსიტეტისა, არ არსებობს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა (ჯავახიშვილი, 2017:135). ჯამში კი, ეს ყველაფერი ქმნის ერთიან ჯაჭვს, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას და კიდევ დიდი ხნით უტოვებს პოსტსაბჭოთა ქვეყნის სტატუსს.

კვლევის აქტუალობა

საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმ მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობით, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. საზოგადოებაში ძირითადად ორი უკიდურესად განსხვავებული შეხედულება იკვეთება - ერთი ნაწილი საბჭოთა სისტემის პერიოდში არსებულ სიკეთეებსა და სარგებელზე აკეთებს აქცენტს, მეორე კი, კომუნისტური სისტემის შედეგად დამკვიდრებულ ტოტალიტარიზმსა და ტირანიას უსვამს ხაზს. მსგავსი შეხედულებები ცხადყოფს აღნიშნული საკითხის ირგვლივ საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას თან ახლდა იდენტობის კონსტრუირების მცდელობა. მუდმივი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისის ფონზე ხალხის მეხსიერებიდან თანდათან განიდედა ხსოვნა პოლიტიკური რეპრესიების შესახებ. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი აღნიშნული პროცესების პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების ჭრილში შესწავლა.

მკითხველი არა არის განებივრებული პოლიტიკური რეპრესიების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის სიმრავლით. კიდევ უფრო მცირეა სამეცნიერო გამოკვლევები აჭარასთან მიმართებაში.

რეპრესიებთან დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებების მდგრადობისა თუ ტრანსფორმაციის თვალსაზრისით საკითხის კვლევა, როგორც ერთი და იმავე პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში, ნათლად წარმოაჩენს ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელ დისკურსს, რაც გარკვეულწილად შენარჩუნებულია პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. ამასთან, ამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ბაზის - ოფიციალური მასალებისა და ზეპირი ისტორიების - კვლევა და შედარება უკეთ ავლენს რეპრესიების გავლენის ჭეშმარიტ

სურათს, როგორც რეპრესირებული თაობის შთამომავლებში, ასევე მთელ ქართულ საზოგადოებაზე.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს რეპრესირებულთა დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებების მდგრადობისა თუ ტრანსფორმაციის საკითხები, ასევე, ზეპირი ისტორიების საფუძველზე, გაარკვიოს როგორია საზოგადოების ან მისი ნაწილის ტრავმული გამოცდილება, რომელიც მრავალი მიზეზის გამო მიიჩქმალა და რომლის გააზრება და სამეცნიერო შეფასება დღემდე ვერ მოხერხდა.

დასახული მიზნების მისაღწევად განვსაზღვრეთ კვლევის ამოცანები, კერძოდ, რეპრესირებულთა დაკავშირებული საარქივო მასალის, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის, ისტორიის სახელმძღვანელოებისა და პერიოდული პრესის შესწავლა. ასევე, რეპრესირებულთა შთამომავლებში ზეპირი ისტორიების შეგროვება, ანალიზი და შედარება ოფიციალურ მასალებთან.

კვლევის კითხვები და ჰიპოთეზა

კვლევა მიზნად არ ისახავს ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას, არამედ აღწერს და წარმოაჩენს რეპრესირულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებს ინსტიტუციურ, კოლექტიურ და ინდივიდუალურ დონეზე, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. როგორი იყო საბჭოთა სისტემის დამოკიდებულება აჭარის მოსახლეობის მიმართ?
2. როგორი იყო პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავრობათა ნაბიჯები წარსულის გააზრებისა და მასთან დისტანცირების პროცესში?
3. რა განაპირობებს საზოგადოების ამბივალენტურ დამოკიდებულებას პოლიტიკური რეპრესირების შეფასებისას?
4. როგორია მსხვერპლთა ჯგუფის სტრესული გამოცდილება სხვადასხვა თაობაში, გენდერსა თუ სოციალურ ჯგუფში?

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევის ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა ამდაგვარად:

1. საბჭოთა სისტემა აჭარის მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული უნდობლობით იყო განწყობილი;
2. პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავრობათა სტრატეგიები არ აღმოჩნდა თანმიმდევრული წარსულის გააზრების პროცესში;
3. სისტემის მიმართ საზოგადოების ამბივალენტური დამოკიდებულება ნაკლები ინფორმირებულობით არის განპირობებული;
4. მსხვერპლთა ჯგუფში ტოტალიტარული ტრავმები გამოუვლოვებელია.

კვლევის მეთოდოლოგია

მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდის რამდენიმე ტექნიკა, რაც მასალების დამუშავების პროცესში, შინაარსზე კონცენტრირების საშუალებას იძლევა.

ოფიციალური დოკუმენტებისა და სხვადასხვა ტექსტური მასალის დამუშავებისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი **კონტენტანალიზი**. შეხედულებათა ტრანსფორმაციის ჭრილში სამეცნიერო ლიტერატურისა და ისტორიის სახელმძღვანელოების დამუშავებისთვის ყურადღება გამახვილდა არა იმდენად მის რაოდენობრივ მახასიათებელზე, თუ რამდენად ხშირად არის ნახსენები საბჭოთა რეპრესიების საკითხი ტექსტში, არამედ თუ რა შინაარსის მატარებელი იყო იგი, როგორ ხდებოდა ერთიდაიმავე მოვლენის ინტერპრეტირება სხვადასხვა დროს და რამდენად იმეორებდა ტექსტი თხრობის საბჭოურ მიდგომებს.

ინტერვიუების მეთოდი გამოყენებით, რეპრესირებულთა შთამომავლების ოჯახებში შეგროვდა ემპირიული მასალეა, რომელმაც საშუალება მოგვცა რეალობის ალტერნატიული ვერსიები წარმოგვეჩინა. ჩადრმავებული ინტერვიუება საშუალებას გვაძლევს დამატებით ვიკვლიოთ თაობებში ტრავმის მდგრადობა-ტრანსფორმაციის საკითხი: რამდენად არის შემდგომი თაობა თანაგანმცდელი წინაპრების ტრავმისა, ახდენს თუ არა დისტანცირებას მომხდარი მოვლენებისადმი და თუ კი, რამდენად რაციონალურია ეს დამოკიდებულება.

შეპირისპირების მეთოდი გამოყენებულია ოფიციალური მასალებისა და ზეპირი ისტორიების შედარებისთვის.

კვლევის შედეგები

1. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა აჭარის მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული უნდობლობით იყო განწყობილი. შესაბამისად, საბჭოთა სისტემის დამოკიდებულება აჭარის მიმართ იყო მკაცრი, რაც აისახა რეგიონში გატარებული რეპრესიული პოლიტიკის სურათზეც. პროცენტული თვალსაზრისით რეპრესიების მასშტაბები აჭარაში უფრო მაღალი იყო, მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით.
2. პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავრობათა სტრატეგიები არ იყო თანმიმდევრული და მიმართული სათანადო ცოდნის დაგროვებისკენ, რაც მნიშვნელოვანია წარსულის გააზრების პროცესში. მათი მცდელობა, ინსტიტუციურ დონეზე მოეხდინა წარსულთან დისტანცირება, ასე გამოიყურება:
 - დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე საქართველომ გადადგა მკვეთრი ნაბიჯები საბჭოთა სისტემისაგან ინსტიტუციურ დონეზე გამიჯვნის თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ ეტაპზე მოსახლეობა იჩენს მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა სისტემის მიმართ, თუმცა მოგვიანებით, ხელისუფლებაში საბჭოთა ნომენკლატურის მოსვლით შეფერხდა აღნიშნული პროცესი. სამოქალაქო ომების, ეთნიკური კონფლიქტების, ეკონომიკური პრობლემების გამო, მოსახლეობის ნაწილს უჩნდება ნოსტალგიური დამოკიდებულება უახლესი წარსულისადმი;
 - „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული ხელისუფლების მიერ საბჭოთა წარსულისაგან დისტანცირების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები პოლიტიკის დღის წესრიგის შესაბამისად იცვლებოდა. ამასთან, ქვეყნის მსხვერპლის როლში წარმოჩენას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე პასუხისმგებლობის გაზიარებას;
 - არსებული მთავრობის პირობებში, საბჭოთა წარსულის გააზრება არ წარმოადგენს პრიორიტეტს, რასაც ადასტურებს 2019 წლის 5 აპრილს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ ქ. ბათუმის შემოგარენში მიკვლეული მასობრივი სამარხების მიმართ გამოჩენილი მიდგომა. მას

შემდეგ 3 წელზე მეტი გავიდა, თუმცა დაახლოებით 150 ადამიანის ნეშტი ჯერაც საპატრიარქოს რეზიდენციის სარდაფში ინახება.

3. პოსტსაბჭოთა პერიოდში, მთელი რიგი მიზეზების გამო, ვერ შეიქმნა სათანადო ცოდნა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა წარსულის გაანალიზებისა და დამლევის პროცესში:

- საარქივო მასალების ფრაგმენტაციით იმთავითვე გამოირიცხა საკითხის ირგვლივ სრულფასოვანი კვლევებისა და შესაბამისად, ცოდნის მიღების შესაძლებლობა;
- სამეცნიერო ლიტერატურა გაჯერებულია საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი დისკურსით, როცა დანაშაული რამდენიმე პიროვნების ბიოგრაფიათა ჭრილში განიხილებოდა. ამ ხარვეზს გარკვეულწილად თანამედროვე კვლევები ავსებს;
- სასკოლო და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ფაქტობრივად არ იძლევა ცოდნას „დიდი ტერორის“ შესახებ. საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში აქცენტი გაკეთებულია რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის საკითხებზე, ხოლო რეპრესიები განხილულია როგორც „ინტელიგენციის“ მიმართ განხორციელებული დევნა მაშინ, როცა რეპრესიები საზოგადოების თითქმის ყველა ფენას შეეხო;
- ქართულ მხატვრული ლიტერატურასა და ხელოვნებაში პრაქტიკულად არ მიმდინარეობს პოლიტიკური რეპრესიების მემორიზაცია. ქართულ კინოხელოვნებაში ერთადერთი მაგალითი არსებობს - თენგიზ აბულაძის „მონანიება“, რომელიც საბჭოთა პერიოდშივე შეიქმნა.

4. ზეპირი ისტორიების კვლევით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი:

- მიუხედავად იმისა, ალტერნატიული მეხსიერება გაჯერებულია ოფიციალური ნარატივებით, ინდივიდუალური ისტორიები ძირეულად განსხვავდება „ოფიციალური“ ვერსიებისგან;

- ტრავმები, რომელიც საბჭოთა სისტემამ საზოგადოების თითქმის ყველა ფენას სხვადასხვა ფორმით მიაყენა, დღემდე გამოუგლოვებელია და ღია ჭრილობებს წარმოადგენს.

კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება:

კვლევის შედეგებს აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ღირებულება. იგი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, სტუდენტებსა და საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს შეიქმნან ფართო წარმოდგენა პოლიტიკური რეპრესიებისა და მასთან დაკავშირებული მეხსიერების საკითხების შესახებ. ამასთან, ხელი შეეწყობა მეხსიერების ჭრილში სხვა ისტორიული მოვლენების კვლევების გააქტიურებას.

რაც შეეხება სამეცნიერო ღირებულებას, კვლევის შედეგებით შესაძლებელი გახდა აჭარაში განხორციელებული საბჭოური ეპოქის პოლიტიკური რეპრესიების თავისებურებების გამოვლენა. გამოიკვეთა დასავლური და საბჭოური ისტორიოგრაფიის, პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავრობების და ზოგადად, ქართული საზოგადოების მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, თავი მოეყარა პოლიტიკური რეპრესიების შესახებ არსებულ მასალებსა და შეხედულებებს. ემპირიული, წერილობითი და სხვა სახის მასალები მრავალი მიმართულებით ფართო თეორიული განზოგადების საშუალებას იძლევა.

ისტორიოგრაფია

როდესაც კოლექტიურ მეხსიერებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევხვით ისტორიოგრაფიას, რადგან კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო ისტორიული ტექსტები და სახელმძღვანელოებია. ქვემოთ შევეცდებით მიმოვიხილოთ ქართულ და არა მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ტენდენციები და ის პრობლემები, რომელთა წინაშე დგანან თანამედროვე მკვლევრები.

მართალია, ისტორია ზუსტ მეცნიერებად არ არის აღიარებული, მაგრამ ისტორიკოსის როლი მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, რადგან ისინი ქმნიან ნარატივს, რომელიც მოვლენათა მიმართ

საზოგადოების განწყობებსა და კოლექტიურ მეხსიერებას აყალიბებს. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური მეხსიერება შერჩევითია, ისტორიკოსმა უნდა განსაზღვროს ამ შერჩევითობის პრინციპები და მათი განსხვავებულობა ტერიტორიების, ჯგუფების თუ დროის მიხედვით.

ისტორიკოსისთვის განსაკუთრებით რთულია მუშაობა ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების პირობებში, რადგან ასეთი მთავრობები ცდილობენ ისტორიკოსები თავიანთ სამსახურში ჩააყენონ. ასე იყო საბჭოთა კავშირშიც. ისტორიკოსები ქმნიდნენ საბჭოთა ისტორიას და შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურა გაჯერებული იყო საბჭოთა იდეოლოგიით. ისინი, ძირითადად, თავისუფალნი იყვნენ შორეული წარსულის შესწავლის საკითხებში, რადგან წარსულზე საუბარი გაცილებით უსაფრთხო იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რეპრესიების კვლევების თვალსაზრისით ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა ამ პერიოდის კვლევები საკმაოდ მწირია და საბჭოთა ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის გადაფასებით არის შემოფარგლული. 1990-იანი წლების კვლევათა სიმწირის მიზეზად სამეცნიერო წრეებში სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორი არის დასახელებული (იუნგე, 2015; ჯავახიშვილი, 2017; ხვადაგიანი, 2019). მკვლევართა აზრით, სამოქალაქო ომმა, განადგურებულმა ეკონომიკამ და იმ სოციალურ-პოლიტიკურმა პრობლემებმა, რომელიც ამ პერიოდის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო რეპრესიების მეხსიერებიდან განდევნას, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა წარსულის მიმართ ნოსტალგიური განწყობები გააჩინა. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც შეამცირა სრულფასოვან კვლევათა შესაძლებლობა, ტერორის პერიოდის საარქივო მასალის სიმწირეა. როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომის დროს დაიწვა თუ ქვეყნიდან გაიტანეს სუკ-ის არქივები. გადარჩენილი დოკუმენტების ნაწილი დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. თუმცა აქაც ჩნდება ლეგიტიმური კითხვა - კგბ-ს არქივების გადარჩენის შემთხვევაში, მათი სანდოობის თვალსაზრისით, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი რეპრესიების სრული სურათის აღდგენა? ზოგადად უნდა ითქვას, რომ კგბ-ს არქივები საფუძვლიანად იძლევა სპეკულაციისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად 90-იანი და შემდგომი პერიოდის მეცნიერთა ნაწილი „საბჭოთა მეცნიერების“ პირმშოები არიან, რომლებიც ვერ განთავისუფლდნენ საბჭოთა მენტალობისაგან. შესაბამისად ვერ მოხერხდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ადეკვატური შეფასება. ამას ემატება კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის არცოდნა თუ არგამოყენება, რამაც საბოლოო ჯამში შეუძლებელი გახადა ისტორიის ობიექტური შეფასება.

საქართველოში 1930-იანი წლების რეპრესიების შესწავლისა და საბჭოთა პერიოდის გააზრების თვალსაზრისით საინტერესოა ე.წ. „მემუარული ლიტერატურა“: მიხეილ მგალობლიშვილის 1972 წელს დაწერილი 107-გვერდიანი მოგონებები, რომელიც მოგგვიანებით „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა (მგალობლიშვილი, 1990); საინტერესოა აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოქვეყნებული მასალები გეოლოგ გრიგოლ ვაშაძის (1901-1990) პირადი არქივიდან, რომლის მამა - მღვდელი ბესარიონ ვაშაძე 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა (ვაშაძე, 2009); მკითხველთათვის საინტერესოა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და ლავრენტი ბერიას შემცვლელის, კანდიდ ჩარკვიანის მემუარები, რომელიც 1985 წელს გამოქვეყნდა (ჩარკვიანი, 2004). მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის მასალები კონიუნქტურული და სტერეოტიპული აზროვნების პირობებში არის შექმნილი, მასში აღწერილი ფაქტებისა და საარქივო დოკუმენტების შეჯერება გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. მაგალითად, საქართველოს კპ(ზ) ცკ-ის პირველი მდივნის და ცნობილი „სამეულის“ წევრის კანდიდ ჩარკვიანის ხელწერას ინახავს ასეულობით ადამიანის დახვრეტის ოქმები, რომელიც საარქივო მასალას წარმოადგენს, თუმცა თავის მემუარებში, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული, კანდიდ ჩარკვიანი პრაქტიკულად არ ეხება 1937-38 წლების რეპრესიებს. არც მისი შვილი, 2000-იან წლებში საქართველოს ელჩი გაერთიანებულ სამეფოში, გელა ჩარკვიანი საუბრობს 30-იანი წლების რეპრესიებზე თავის პუბლიკაციაში, რომელიც 2013 წელს მამასთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოსცა (იუნგე, 2015; ჩარკვიანი, 1985; ჩარკვიანი, 2013).

თანამედროვე მკვლევრები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ყოფილი უშიშროების თანამშრომლებმა და პარტიულმა ფუნქციონერებმა, ასევე მათთან

ასოცირებულმა „საბჭოთა ინტელიგენციამ“, ქვეყნის გათავისუფლების შემდგომაც შეინარჩუნეს გავლენა საჯარო დისკურსზე. 90-იან წლებში, ქვეყნის სათავეში საბჭოთა ნომენკლატურის მოსვლით კვლავ დიდი ხნით გადაიწია საჭოთა წარსულის გააზრების შესაძლებლობა (რეისნერი, 2015:10-30; ჯავახიშვილი, 2017:100).


საბჭოური მემკვიდრეობისაგან მიღებული მენტალური პრობლემების დაძლევა ვერ მოხერხდა „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული მთავრობის პირობებშიც. მკვლევართა აზრით იგი მეხსიერების პოლიტიკის არათანმიმდევრულობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს საკითხები ხელისუფლების მიერ პოლიტიკის დღის წესრიგის შესაბამისად იცვლებოდა. ქვეყანამ მსხვერპლის როლი მოირგო და საბჭოთა ტერორის პერიოდზე პასუხისმგებლობა, მისი გააზრებისა და გაზიარების ნაცვლად, გარე მტერს დააკისრა. 2012 წელს მოსული ხელისუფლების წარსულის ჰორიზონტი კი უკანასკნელი ცხრა წლით შემოისაზღვრა, რამაც ისევ გამორიცხა წარსულის რეფლექსიის და ტოტალიტარული გამოცდილებიდან გაკვეთილების გამოტანის შესაძლებლობა (ჯავახიშვილი, 2015:331). ტრავმული მეხსიერების მკვლევარი დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „ისეთი გახმაურებული შემთხვევებიც კი, როგორიც იყო რეპრესიები მწერალთა კავშირში თუ მათი როლი რეპრესიული დისკურსის შექმნაში, არც სასამართლო სფეროში გადასულა და არც სამეცნიერო განხილვის საგანი გამხდარა. მსგავსი ვითარებაა ყველა დონესა და სფეროში, რაც აფერხებს საზოგადოების განვითარების პროცესს, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ტოტალიტარული სამკუთხედის - მსხვერპლი, აგრესორი და გვერდითი დამკვირვებლის ინერცია, რომლებიც ძალიან ადვილად იცვლიან როლებს“ (ჯავახიშვილი, 2015:336).

ისტორიკოსების დავით ჯიშკარიანისა და ირაკლი ხვადაგიანის აზრით (ჯიშკარიანი, 2014; Хвадагиани, 2016), აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, რეპრესიების სამეცნიერო შესწავლისა და საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესს აბრკოლებს მოქმედი კანონმდებლობა. მკვლევრებს ფაქტობრივად არ აქვთ წვდომა ეროვნულ არქივში დაცულ მასალებზე, რადგან საქართველოს კანონი „ეროვნული არქივის და საარქივო ფონდის შესახებ“ კრძალავს მათ გაცნობას „მესამე პირის მიერ“, დოკუმენტის შექმნიდან 75 წლის მანძილზე (Хвадагиани, 2016:152-192). რაც ნიშნავს, რომ 1950-იანი წლების რეაბილიტაციის მასალები კვლევებისთვის

ხელმისაწვდომი 2030 წლიდან იქნება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, ქვეყანაში არ განხორციელებულა ლუსტრაცია.

ამდენად, დღემდე წარსულის რეფლექსია ფაქტობრივად არ მომხდარა. სამეცნიერო განხილვის საგანი არ გამხდარა არაერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა. არც რეპრესირებულთა ოჯახების ზეპირი ისტორიების კვლევების თვალსაზრისით არის განებივრებული მკითხველი. საბოლოო ჯამში, მითებითა და სტერეოტიპებით გაჯერებული რეალობა საზოგადოებაში საბჭოთა წარსულის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულების ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

ქართული საზოგადოების განწყობების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, სადაც მოსახლეობის 43% საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველოსთვის დადებით მოვლენად აფასებს, ხოლო 42% უარყოფით მოვლენად აღიქვამს.



კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის 20 მარტი-4 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), 2 194 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე. ცდომილების ზღვარი $\pm 2.2\%$ -ია. NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი

ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით. გამოკითხვას ატარებს CRRC-საქართველო.

საქართველოში ცოტაა ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა წარსულის კვლევებით არის დაინტერესებული. მათ შორის არიან: ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) და საქართველოს საზოგადოება მემორიალი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდისა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური დახმარებით, IDFI-სა და „მემორიალის“ მიერ განხორციელდა პროექტი "სტალინური სიები საქართველოდან". ამ პროექტით შეიქმნა ძიების მექანიზმით აღჭურვილი მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს 1937-1938 წლების დიდი ტერორის მსხვერპლთა 3600-ზე მეტ მოკლე ბიოგრაფიას, რომლებიც მსჯავრდებულები იყვნენ სტალინის და პოლიტბიუროს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. 2011 წელს „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ“ ანთოლოგიად გამოსცა ის დისკუსიები, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში გოეთეს ინსტიტუტში მართავდა. დისკუსიების თემა საბჭოთა წარსულის გააზრებაა და ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს.

კიდევ უფრო ნაკლებია კვლევები საბჭოთა ტერორის შესახებ კულტურული და პოლიტიკური მეხსიერების კონტექსტში. არ არსებობს აკადემიური ფსიქოლოგიური კვლევა, რომელიც ტოტალიტარული წარსულის გავლენას შეისწავლიდა რეპრესირებულ ოჯახებსა თუ ქართულ საზოგადოებაზე, გარდა ფსიქოლოგისა და ტრავმული მეხსიერების მკვლევრის დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილის სადისერტაციო ნაშრომისა „ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე“ (ჯავახიშვილი, 2017). არც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული დევნის თავისებურებების შესახებ კვლევები არის წარმოებული. როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმი აჭარის რეგიონის მიმართ, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით (საზღვრისპირა მდებარეობა, მუსლიმური მოსახლეობა, ისტორიული წარსული და ა.შ.), განსაკუთრებული უნდობლობით იყო განწყობილი.

დიდი ტერორის კვლევის საკითხს აჭარასთან მიმართებაში ართულებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სსრ შინსახკომის (შინაგან საქმეთა კომისარიატი) კულაკური ოპერაციების მსხვერპლთა მონაცემების ბაზებში აჭარის მოსახლეობა გაერთიანებულია რეპრესირებულთა საერთო სიაში. მათი ცალკე გათვალისწინება ნაწილობრივ ახლა დაიწყო, რაც კვლევებისთვის ფართო შესაძლებლობას იძლევა.

აჭარასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1959 წელს, ერთ-ერთი ემიგრანტის მიერ აჭარის პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ განხორციელებული დევნის შესახებ გამოქვეყნდა სტატია - „Trials of Adzarian Leaders/Caucasian Review” (Hanjibeyli, 1959:21-26).

2000 წელს გამოიცა **ოსიკო გვარიშვილის** წიგნი „სტალინი და ავბედითი 1937 წელი“. პუბლიკაცია ავტორმა დახვრეტილი მამის ხსოვნას მიუძღვნა, სადაც სხვა რეპრესირებულებიც არის წარმოდგენილი (გვარიშვილი, 2000).

მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის პროექტი - „**აღადგინე ისტორია არქივთან ერთად**“ (თუმურაშვილი, 2017), რომლის ერთ-ერთი გამოცემა - „არქივის კვალდაკვალ - ბათუმი“ მთლიანად აჭარაში და მათ შორის ბათუმში, გასულ საუკუნეში განვითარებულ მოვლენებს ეძღვნება. ნაშრომში ვრცლად არის გაშუქებული რეგიონში განხორციელებული რეპრესიები, საარქივო მასალაზე დაყრდნობით მოცემულია 1937-38 წლებში დახვრეტილთა სიები და დახვრეტის ოქმები.

აჭარაში 30-50-იანი წლების რეპრესიებს ეძღვნება **ლილი ჩიქოვანის და ნოდარ ცეცხლაძის** ნაშრომი „რეაბილიტაცია“, რომლის ნაწილი ჟურნალ „ჭოროხსა“ და გაზეთ „Советская Аджария“-ში იბეჭდებოდა (ჩიქოვანი, 1995).

ბათუმში დახვრეტილ პირთა და რეპრესირებულთა ბიოგრაფიების შესახებ ინფორმაციას იძლევა **რამაზ სურმანიძის** წიგნი „ტრაგედია ბათუმში, 1937-38 წლები“ (სურმანიძე, 2014).

ამავე თემატიკას ეძღვნება **ოთარ თურმანიძის** წიგნი „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში“, რომელიც 2019 წელს გამოიცა (თურმანიძე, 2019). ასევე, თურმანიძის ნაშრომი - „სამეურნეო-საწარმოო კადრების, კულაკების და სხვა არასასურველი ადამიანების რეპრესიები“, რომლის ნაწილი 2017 წელს გაზეთ „აჭარაში“ იბეჭდებოდა (თურმანიძე, 2017).

აჭარასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს მარკ იუნგეს, ბერნდ ბონვერისა და დანიელ მიულერის მიერ 2015 წელს გამოცემულ წიგნი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“, სადაც ავტორები ცდილობენ გაარკვიონ, ატარებდა თუ არა პოლიტიკური რეპრესიები ეთნიკური ნიშნით დევნის ხასიათს „ტიტულოვანი ქართველი ერის“ ჰომოგენიზაციის იდეის ქვეშ, რომლის ხელმძღვანელად აჭარასთან მიმართებაში დასახელებულია ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელი მდივანი ლავრენტი ბერია. არგუმენტად მოყვანილია ლ. პ. ბერიას წერილი იოსებ სტალინისადმი, სადაც იგი საყვედურს გამოთქვამს 1937 წელს, საბჭოთა მოსახლეობის აღწერის შემდეგ შედგენილ „ეროვნებათა ლექსიკონში“ აჭარლების ცალკე ერად დაფიქსირებასთან დაკავშირებით და აკრიტიკებს საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ კლასიფიკაციაში აჭარლები ასევე ცალკე ეთნოსად ჰყავს წარმოდგენილი. წერილში ყურადღება გამახვილებულია აჭარის მოსახლეობის რელიგიური თავისებურებების საკითხებზეც (იუნგე, 2015:71; შსს-ს არქივი, ფონდი 14, საქმე 152:82). წიგნის ავტორები მიუთითებენ, რომ საბჭოთა იმპერიის მიერ განხორციელებული რეპრესიული პოლიტიკა მკაცრი იყო აჭარასთან მიმართებაში.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი ბერიას ქმედებას პატრიოტულ გამონათებადაც კი მიიჩნევს, თუმცა საფიქრებელია ისიც, რომ აჭარელის ცალკე ერად გამოყოფა, თავსმოხვეული რელიგიის, გახლეჩილი სოფლების, საზღვრის იქით დარჩენილი ნათესაური და ეკონომიკური კავშირების ფონზე, კიდევ უფრო დიდი გაუცხოებისა და უნდობლობის საფუძველს შექმნიდა ამ რეგიონში, რაც საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ეს კი საკმარისი მიზეზი უნდა ყოფილიყო როგორც ბერიასთვის, ასევე ზოგადად, საბჭოთა ელიტისთვის განსაკუთრებული „სიფრთხილე“ გამოეჩინათ საზღვრისპირა რეგიონის მიმართ.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში მწვავე დისკუსია გაიმართა. ავტორებსა და კვლევის შედეგებზე მოდავე ქართველ ისტორიკოსთა შორის გამართული მსჯელობა ამავე ნაშრომში არის წარმოდგენილი.

ავტორები მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი და ბერნდ ბონგეჩი წიგნში „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, რომელიც ორ ტომად 2015 წელს გამოიცა, იმ ტენდენციებზე მიუთითებენ, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული ისტორიოგრაფიისთვის. ავტორების თანახმად, ქართული და არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფია გაჯერებულია საბჭოთა ელიტის წინააღმდეგ გატარებული რეპრესიებით მაშინ, როცა საქართველოს ისტორიის შედარებით ახალი კვლევებით ცხადი ხდება, რომ რეპრესიები შეეხო არა მხოლოდ ელიტას, არამედ საზოგადოების ყველა ფენას. ამასთან, საბჭოთა ტერორი განხილულია სტალინისა და ლავრენტი ბერიას პიროვნებათა ჭრილში, იგნორირებულია ქართული საბჭოთა ელიტის მიერ ჩადენილი დანაშაულები (იუნგე, 2015:14).

გარდა საინტერესო მსჯელობისა, აღნიშნული ნაშრომი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალაზე დაყრდნობით მნიშვნელოვან დოკუმენტებს გვთავაზობს, სადაც საქართველოს მაგალითზე გამოკვლეულია შინსახკომის მიერ ჩატარებული სამი ოპერაცია:

1. „კულაკური“ ოპერაცია;
2. „ნაციონალური ხაზის“ ოპერაციები;
3. სოციალური წმენდა („მილიციის" სამეული).

ნაშრომში რეპრესიები განხილულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი კუთხით, დათვლილია სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი. შედარებულია 1937 და 1938 წლების რეპრესიები და სხვა რეგიონებში განხორციელებული დევნის მასშტაბები საქართველოსთან მიმართებაში. წიგნის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საქართველოში ტერორის სპეციფიკას, სადამსჯელო უფლებამოსილების ნაწილის ცენტრიდან პერიფერიისთვის გადაცემის ფაქტებსა და შინსახკომის „სამეულის“ მიერ საზოგადოების მასობრივ გასამართლებას. როგორც ცნობილია, მასობრივი ოპერაციებისთვის დაპატიმრებისა და სიკვდილმისჯილთა ე.წ. „ლიმიტები" ცენტრის მიერ იყო განსაზღვრული, მაგრამ საარქივო მასალაზე დაყრდნობით ირკვევა მრავალი შემთხვევა, როდესაც რეგიონული „ნომენკლატურა“ ცენტრს რეპრესიების „ლიმიტების“ გაზრდას სთხოვს (იუნგე, 2015:31).

1997 წლის ბოლოს წამყვანმა ფრანგულმა გამომცემლობამ Robert Laffont-მა გამოსცა „კომუნიზმის შავი წიგნი“, რომელიც ესეების კრებულს წარმოადგენს და

მრავალ ენაზე ითარგმნა. წიგნის ავტორთა შორის არიან სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, რომლებმაც დაამუშავეს მანამდე უცნობი საარქივო მასალა. ნაშრომი მოიცავს ყველა ქვეყანას, რომელიც კომუნისტურ რეჟიმში ცხოვრობდა, ან ახლაც ცხოვრობს. „კომუნიზმის შავი წიგნი“ ქართულად 2011 წელს გამოიცა და ასახავს მეოცე საუკუნეში არსებულ თუ აქამდე მოქმედ ყველა კომუნისტური რეჟიმის დანაშაულს (კურტუა, 2011).

საბჭოთა იდეოლოგიისა და მისი მოწინააღმდეგეების შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია უცხოელი ავტორების ნაშრომები. საბჭოთა რეჟიმს აკრიტიკებს თავის სამეცნიერო ნაშრომებში ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი **რიჩარდ ფაიფსი** (Pipes 1964).

უცხოელ ავტორთაგან საინტერესოა აგრეთვე **ტიმოთი ბლოველტის და ჯერემი სმიტის** „საქართველო სტალინის შემდეგ: ნაციონალიზმი და საბჭოთა ხელისუფლება“, სადაც გადმოცემულია, 1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში განვითარებული მოვლენები. წიგნი ასახავს თუ როგორ იყო არა მხოლოდ სტალინი, არამედ ქართველთა ფართო წრე საბჭოთა სისტემის შუაგულში, რამდენად თავყვანს სცემდნენ სტალინს საქართველოში, აღწერილია აგრეთვე, ხრუშჩოვის აღზევებისა და მის მიერ სტალინის დაგმობის პროცესი (Blauvelt, 2015).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დიდი ტერორის საკითხების შესწავლა მეტწილად საარქივო მასალების, სამეცნიერო ლიტერატურის თუ სხვადასხვა ტექსტური ნარატივის საფუძველზე მიმდინარეობს. საარქივო დოკუმენტები ხშირად უალტერნატივოა და საშუალებას იძლევა მოვიპოვოთ ინფორმაცია კონკრეტული პიროვნებების შესახებ, გავანალიზოთ რეჟიმის მოქმედების სპეციფიკა და შევქმნათ რეპრესიების სტატისტიკური სურათი. თუმცა დოკუმენტები, რომელიც რეჟიმის პირობებში იქმნებოდა და მკაცრად კონტროლდებოდა, ხშირად ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების საბჭოთა ხელისუფლებისთვის „მისაღებ“ შინაარსს შეიცავს და არა რეალურ ვითარებას. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია რეპრესირებული პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი მოგონებების - ზეპირი ისტორიების შეჯერება საარქივო დოკუმენტაციასთან. მართალია, არც ინდივიდუალური ისტორიები არის სუბიექტურობისგან დაცლილი ან

„ოფიციალური ვერსიის“ გავლენისგან სრულად თავისუფალი, რომელსაც მაშინდელი სისტემა სთავაზობდა, თუმცა ზეპირი ისტორიების, როგორც ალტერნატიული მეხსიერების შესწავლა მნიშვნელოვანია ამ პერიოდის უფრო ზუსტი სურათის აღდგენის თვალსაზრისით.

საქართველოში ზეპირი ისტორიების ბაზაზე სულ რამდენიმე კვლევა არსებობს. მათ შორის - 2010 წელს, რუსთაველის ფონდის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი პროექტი - მეცნიერთა ჯგუფის მიერ გამოცემული **რეპრესირებულთა ოჯახის წევრებში შეგროვებული ზეპირი ისტორიები** (ჩოლოყაშვილი, 2010); ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიის რეგიონალური ბიუროს მხარდაჭერით გამოქვეყნებული 18 ადამიანის მოგონებების კრებული, რომელთა დედები „მოღალატეთა ცოლების“ ბანაკ „ალჟირში“ იხდიდნენ სასჯელს (ლეჟავა, 2008); SovLab-ისა და DVV-International-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნი, 13 რეპრესირებული ქალის დევნის შესახებ, რომლებსაც თავად ყვებიან (მარგველაშვილი, 2012).

ისტორიკოსი და საბჭოთა წარსულის მკვლევარი **ირაკლი ხვადაგიანის** შეხედულებით დღევანდელ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მაღალია პოზიტიური განწყობა საბჭოთა რეჟიმისადმი, რაც ამავე რეჟიმის მსხვერპლთა მიმართ ცივ დამოკიდებულებას განაპირობებს. ამ რეალობის ჩამოყალიბებას გარკვეულწილად ხელს უწყობს რეპრესიების მსხვერპლთა ტრავმული გამოცდილებით გამოწვეული სიჩუმე. შესაბამისად, საკითხის სიმწვავეს შეგრძნება მხოლოდ მსხვერპლთა და მათი შთამომავლების ჯგუფის შიდა სივრცეში დარჩა. ფართო საზოგადოებისთვის კი, უახლესი ისტორიის ეს ალტერნატიული სურათი უცხოა (ხვადაგიანი, 2019).

რეპრესიების მსხვერპლთა „სიჩუმე“ გარკვეულწილად საბჭოთა რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკის შედეგად მიღებული ტრავმის ზეგავლენით აიხსნება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და დღემდე ღია ჭრილობებს წარმოადგენს. ფსიქოლოგი **დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილის** აზრით ტრავმა გამოუგლოვებელია და დღემდე რეპრესირებულთა მეორე და მესამე თაობის ადამიანებში მთელი რიგი სიმპტომებისა - გაუცნობიერებელი შიში, ზესიფხიზლე, სირცხვილის მაგალითები იჩენს თავს (ჯავახიშვილი, 2017:138).

ჯანა ჯავახიშვილის თანახმად, სტრესის თაობიდან თაობაზე გადაცემის მოდელი გარდა ოჯახური, ინდივიდუალური და სოციალური დონის ფაქტორებისა, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დონის ფაქტორებსაც მოიცავს. საზოგადოებრივ დონეზე მოქმედი ფაქტორები განსაზღვრავს, თუ რამდენად აღიარებს სოციუმი რეპრესიების რეალობას და რამდენად ქმნის ტრავმის გამოგლოვების საშუალებას ხელოვნების, მეცნიერების, სოციალური აქციების, რელიგიური თუ სხვა კულტურული რიტუალების სახით, ხოლო სახელმწიფო დონის ფაქტორები პასუხისმგებელია სახელმწიფო რეპრესიების უსამართლობის აღიარებასა და აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების უზრუნველყოფაზე (ჯავახიშვილი, 2017:222). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად წარმართავს სახელმწიფო სამართლიან, პროცედურულად და ინსტიტუციურად გამართულ რეაბილიტაციის პროცესს, რომელიც რეპრესირებულთა მორალურ და მატერიალურ კომპენსაციას მოემსახურება. ჩაატარებს ლუსტრაციას, გაასამართლებს და დასჯის დამნაშავეებს და ა.შ. სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული თუ რამდენად შეუწყობს ხელს ტოტალიტარული ტრავმის გადალახვას ინდივიდუალურ, ოჯახურ და საზოგადოებრივ დონეზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამა თუ იმ ერის ეთნომენტალურ ხასიათზე. ეს გავლენა განსაკუთრებულ ხასიათს იძენს პოლიტიკური ძალადობის პირობებში. ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, აჭარას ორმაგი წნეხის ქვეშ უწევდა ცხოვრება, რაც განსაკუთრებულ ფსიქოზურ მდგომარეობას ქმნიდა რეგიონში და ხშირად იდენტობის კრიზისამდე მიდიოდა. აჭარაში ოსმალთა სამასწლიანი ბატონობა, მისი საზღვრისპირა მდებარეობა, განსხვავებული რელიგია, საზღვარს იქით დარჩენილი ეკონომიკური და ნათესაური კავშირები საბჭოთა ხელისუფლებას ამ რეგიონის მოსახლეობის მიმართ უნდობლობით განაწყობდა. თავად მოსახლეობას კი, უკიდურესად მწირი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ხშირად ფიზიკური გადარჩენისთვის უწევდა ბრძოლა, რაც ისედაც ტრავმირებული საზოგადოების ფსიქიკას კიდევ უფრო აზიანებდა. აჭარაში მრავლად არიან პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა შთამომავლები, რომელთა მეხსიერებაში შემორჩენილი ისტორიები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას საბჭოთა წარსულის კვლევის პროცესში. ზეპირი

ისტორიების მოძიება, საზოგადოების სტრესული გამოცდილების კვლევა სხვადასხვა თაობაში, გენდერსა თუ სოციალურ ჯგუფში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს მხარდაჭერილი.

ამდენად, გარკვეულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვყოთ საბჭოთა რეპრესიების კვლევებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები და ის კითხვები, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელი რჩება.

მიუხედავად კვლევათა ერთგვარი სიმრავლისა და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტისა, მათი დიდი ნაწილი ფაქტების მოძიება-გადმოცემას ემსახურება და მოკლებულია ანალიზს. ამ სიცარიელეს გარკვეულწილად ავსებს თანამედროვე კვლევები.

ის, რომ დღეს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს რეპრესიების მასშტაბისა და სიმძიმის ისე წარმოდგენას, რომ ამართლებს კიდევ დანაშაულებს „დროის მოთხოვნით“, შესაძლოა დაბალი ინფორმირებულობით და ინდივიდუალურ ისტორიებთან, როგორც უტყუარ ინფორმაციასთან ნაკლები წვდომით იყოს განპირობებული.

საბჭოთა წარსულის კვლევები დღეს საარქივო მასალებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტაციის ბაზაზე მიმდინარეობს. ნაკლებია მსხვერპლთა ჯგუფის ინდივიდუალური ისტორიების, როგორც ალტერნატიული მეხსიერების გამოყენების მცდელობები, რომელსაც ბოლო პერიოდში მიექცა განსაკუთრებული ყურადღება.

გამომდინარე იქიდან, რომ დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი პოლიტიკური რეპრესიების რეგიონალური სპეციფიკა და თავისებურებები, აჭარასთან მიმართებაში ერთგვარად ღიად რჩება კითხვები: როგორი იყო დამოკიდებულება აჭარის მოსახლეობის მიმართ? რა როლს თამაშობდა რელიგიური ფაქტორი და რეგიონის საზღვრისპირა მდებარეობა, რა გავლენას ახდენდა ხელისუფალთა ამბივალენტური დამოკიდებულება იდენტობის მიმართ? რა გავლენას ახდენს განსხვავებული შეხედულებების არსებობა პოლიტიკური რეპრესიების მეცნიერულ-ისტორიული ანალიზის პროცესში?

საბოლოო ჯამში, მთელი რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საარქივო მასალებზე წვდომის პრობლემა და უარყოფითი მაგალითების უგულებელყოფა,

რეაბილიტაციის ფორმალურობა და ნაკლები მემორიზაცია, რაც კვლევებში, ფილმებში, ძეგლებსა თუ მემორიალურ დაფებში უნდა იყოს გამოხატული, ვერ იქმნება სათანადო ცოდნა, რომელიც მნიშვნელოვანია საბჭოთა წარსულის დაძლევის პროცესში.

სამწუხაროდ, საქართველოშიც დღემდე იქმნება კვლევები სტალინის იდეური მემკვიდრეების მიერ. მაგალითად: ბორის როლოვიოვი, ვლადიმერ სუხოდეევი, წიგნში „უმაღლესი მთავარსადრდალი - სტალინი“, რომელიც რუსეთში 1999 წელს, ხოლო თბილისში 2002 წელს გამოიცა, გამოთქვამენ საყვედურს, რომ მახინჯდება საბჭოთა ისტორია, სტალინის სამხედრო ხელოვნება თუ მისი სარდლური ოსტატობა ხელოვნურად კნინდება. ხშირად საბჭოთა კავშირის გასასამართლებლად ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლა და გამარჯვება არის დასახელებული, როგორც ზოგადსაკაცობრიო მისია. სტალინის მოღვაწეობა ავტორების მიერ მთლიანად დადებით კონტექსტში არის განხილული.

2006 წელს გორში გამოიცა გივი ბერძენიშვილის „სტალინი“, რომელიც მას პერმანენტული გამარჯვებების ღმერთს უწოდებს, და ამასთან, ობიექტურობაზეც აქვს პრეტენზია. წიგნში მოთხრობილია ბიოგრაფიული ცნობები, სტალინის პირადი წერილები, ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, როგორც წარმატებული პროცესი და გულისწყრომას გამოხატავს იმ „უმაღურობის“ გამო, რაც თანამედროვე პრესასა და მედიაში ხდება.

ვლადიმერ ვახანია წიგნში „იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური“, რომელიც 2008 წელს გამოიცა (თბილისი, მოსკოვი, სვაროგი), წარმოდგენილია სტალინის პირადი საიდუმლო არქივის მასალები, რომლითაც ცდილობს ამტკიცოს, თუ როგორ მუშაობდა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად სტალინის პირადი დაზვერვა და კონტრდაზვერვა. ავტორის ინფორმაციით ეს მასალები მას დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა მიაწოდეს, რითაც წიგნის ღირებულებას უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ „ბელადის“ გარდაცვალების შემდეგ მისი მოღვაწეობის ამსახველი მასალები ხრუშოვმა გაანადგურა.

გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2013 წელს გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის ლაურეატის -

გიორგი ნადირაძის „სტალინი - ქართველი კაცი?“. ნაშრომში ავტორი ბრალდებას უყენებს ლ. ტროცკის, ნ. ხრუშოვს, ს. მიქოიანს, ს. ალლილუიევას და სხვებს, რომლებსაც სურთ „გააფერმკრთალონ, გააუბრალონ სტალინის არაჩვეულებრივი არსება“.

მკითხველის ინტერესს იწვევს ბათუმელი ავტორის არჩილ ტაკიძის წიგნი „იოსებ სტალინი“. წინასიტყვაობაში ავტორი აკრიტიკებს ოსიკო გვარიშვილის სტალინის კრიტიკისათვის და მას „სტალინის მოძულეს“ უწოდებს.

სამი ტომი მიუძღვნა სტალინის ბიოგრაფიის განხილვას გრიგოლ ონიანმა, რომელიც 2018 წელს გამოიცა. ავტორი სტალინს „კაცობრიობის გამაკეთილშობილებლად“ მოიხსენიებს. „სტალინმა შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფილე საზოგადოება, სადაც დანაშაული გახდა გადმონაშთი. ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეცა სეპარატისტული კერები ქვეყნის შიგნით, ერებს შორის დამყარდა ნამდვილი ძმობა და ურთიერთპატივისცემა“ და ა.შ. თუმცა, ონიანი თავის სამტომეულში საერთოდ არ ეხება 1930-იანი წლების რეპრესიებს იმ მოტივით, რომ გადასახლებულთა და სიკვდილმისჯილთა შთამომავლები არ „გაანაწყენოს“.

ამდენად, როგორც საზოგადოებაში, ისე სამეცნიერო წრეებში საბჭოთა ტოტალიტარიზმისა და მისი ლიდერების მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება იკვეთება. უმრავლესობა მას აღიქვამს, როგორც ყველაზე ნეგატიურ მოვლენას ჩვენს ისტორიაში, ზოგი მას დადებითად უყურებს და სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, ზოგი კი უყურებს, როგორც ისტორიულ კანონზომიერებას. სტალინისა და შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოებული პოლიტიკა, რომელიც „ბელადის“ მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს ასახავს, დაყვანილია მხოლოდ რამდენიმე კომპონენტზე. შესაბამისად, ასეთი ტიპის კვლევები მიკერძოებულად უნდა ჩაითვალოს და მათი საზოგადოებრივი და მეცნიერული ღირებულება ეჭვქვეშ დადგეს. ეს რესურსები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც კვლევისათვის გამოსადეგი ემპირიული მასალა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა, გარკვეულწილად ეხმიანება საბჭოთა სისტემის მიმართ სენტიმენტურ დამოკიდებულებას, რაც ხელს უწყობს განამტკიცოს ისტორიული მეხსიერებაში

არსებული მიდგომები. გამომდინარე აქედან, ისტორიის გადაფასების ნებისმიერი მცდელობა ოფიციალური რუსეთის მიერ მიჩნეულია, როგორც მისი ფალსიფიკაცია.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი მოიცავს შესავალ ნაწილს - საკითხის დასმა, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის კითხვები და ჰიპოთეზა, მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, საკითხთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიის მიმოხილვა. ნაშრომის ძირითადი ნაწილი შედგება სამი თავისგან, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად, გამოტანილია დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევას დაერთვის ბიბლიოგრაფია (90 ერთეული), ინტერნეტწყაროების სია და დანართები.

თავი I - ისტორია და მეხსიერება

1.1. მეხსიერება და მისი შესწავლის დონეები

მეხსიერების სფეროს კვლევის სათავეებთან 1900-იანი წლებიდან იდგნენ ზიგმუნდ ფროიდი, ფრიდრიხ ნიცშე, ემილ დურკჰეიმი, ები ვარბურგი, ჯენრი ბერგსონი და სხვები. მეხსიერების კვლევები განსაკუთრებით გააქტიურდა **ჰოლოკოსტის** გააზრებასთან დაკავშირებით. 1980-იანი წლებიდან პროცესში ჩაერთვნენ თეორეტიკოსები პიერ ნორა, იან ასმანი, ერიკ ჰობსბაუმი და სხვები. „კოლექტიური მეხსიერების“ გამოყენება 1920-იანი წლებში ჩნდება და მაურის ჰალბვაქსის სახელს უკავშირდება. მისი ნაშრომი „*Memorie Collective*“ წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევას მეხსიერების საკითხებში. სწორედ მან შემოიტანა ტერმინი „**კოლექტიური მეხსიერება**“ და წარმოადგინა მეხსიერების სოციალური ჩარჩო, რომლის მიხედვით ინდივიდუალური მეხსიერების ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოციალური და კულტურული გარემო. მის თეორიას უკავშირდება მეხსიერების გაგება არა როგორც უძრავი და დაარქივებული სამყაროსი, არამედ როგორც აქტიური პროცესის, სადაც ხდება წარსულის ფორმირება და ამ პროცესში ინდივიდი არა მხოლოდ მონაწილეა, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი (Halbwachs, 1992:127). ჰალბვაქსის „კოლექტიური

მეხსიერების“ (Collective Memory) საპირწონედ ჯეიმს იუნგს (Young, 1993) შემოაქვს ტერმინი „კრებითი მეხსიერება“ (Collected Memory), რომელიც შედგება საზოგადოებაში არსებული მეხსიერებისგან. იუნგის თეორიის თანახმად, სწორედ ინდივიდთა მეხსიერება ქმნის კოლექტიურ მეხსიერებას. კოლექტიურ მეხსიერებას მთლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ფანკენშტაინი იმის გათვალისწინებით, რომ დამახსოვრება ინდივიდის უნარია. „დამახსოვრება მენტალური აქტია და ამასთან სრულიად პერსონალური“ (Funkenstein, 1989:5-26) იუნგის კონცეფციის საპირისპიროდ ზერუბაველი თვლის, რომ კოლექტიური მეხსიერების, როგორც ინდივიდუალური მეხსიერების ნაკრების გაგება, არასწორია. ასეთი ერთობა ვერ მოიცავს მთელი ერის სურათს (Zerubavel, 2003:28).

სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლები „კოლექტიური მეხსიერების“ მნიშვნელობით იყენებენ ტერმინებს „კულტურული მეხსიერება“ და „სოციალური მეხსიერება“. ჰალბვაქსი სოციალურ კატეგორიაზე - ოჯახი, კლასი, რელიგია - აკეთებს აქცენტს, ხოლო „კულტურული მეხსიერების“ მიმდევრები (ალეიდა ასმანი) - მოგონებებზე, რეპრესიებზე, ხოლო „სოციალური მეხსიერება“ ორიენტირებულია სოციალურ გარემოზე. ჰალბვაქსის „კოლექტიური მეხსიერების“ სოციალურ მხარეს იან და ალეიდა ასმანებმა „კომუნიკაციური მეხსიერება“ უწოდეს. იან ასმანის აზრით, კოლექტიური მეხსიერება იქმნება ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯგუფების კომუნიკაციის შედეგად, როგორც „ზეპირი ისტორიები“. ი. ასმანი ადარებს კულტურულ და კომუნიკაციურ მეხსიერებას. კულტურული მეხსიერებას ლიმიტირებული პერიოდი არ აქვს, ხოლო კომუნიკაციური მეხსიერების ჰორიზონტი 80-100 წელია (Assmann, 2006:211-227). მაგალითად, ზეპირი ისტორიები კონკრეტული მოვლენის შესახებ, რეპრესირებულთა ჩანაწერები კომუნიკაციური მეხსიერების სახით გარდაიქმნება კულტურულ მეხსიერებად და თაობებს გადაეცემა. ამდენად, კულტურული მეხსიერება თაობების მიერ დაგროვებული ცოდნაა, რომელიც განიცდის ტრანსფორმაციას - იძენს ახალ ღირებულებებს თაობათა საჭიროების შესაბამისად.

ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით კი, მეხსიერება გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი

რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და ღირსშესანიშნავად მიჩნეული მოვლენების დაფიქსირებით (Lebow, 2006:8).

მეხსიერება სამ - **ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინსტიტუციურ** დონეზე შეისწავლება:.

1. **ინდივიდუალური დონე** - ფაქტებისა და მოვლენების ინდივიდუალური აღქმა. იგი ინდივიდის პერსპექტივიდან აღქმული სურათია და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მისი შეცვლა, ჩანაცვლება ან ერთი ინდივიდიდან მეორეზე გადატანა. ამასთან, არცერთი მეხსიერება არ არის სრულად ინდივიდუალური და მასზე კოლექტიური კონტექსტი ახდენს გავლენას. (Maturana, 1987:62) თუმცა ინდივიდუალური აღქმა მაინც განსხვავებულია და ჯგუფის ვერსიას ხშირად არ ემთხვევა. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურიდან კოლექტიურ მეხსიერებაში გადასვლის პროცესი ყველაზე დაუმუშავებელი ასპექტია მეხსიერების კვლევების პროცესში (Kansteiner, 2006:102-46, 147- 66);
2. **კოლექტიური დონე** - როდესაც სხვადასხვა ჯგუფები და ინსტიტუტები, მათ შორის მედია, ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენებით ქმნიან საერთო მეხსიერებას. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივი ინდივიდთა ერთგვარ მათემატიკურ ჯამს წარმოადგენს, კოლექტიური მეხსიერება ინდივიდუალურ მეხსიერებათა მათემატიკურ ჯამს არ წარმოადგენს. იგი ინდივიდუალური მეხსიერებების არაინდივიდუალური კომპონენტების ნაკრებია.
3. **ინსტიტუციური მეხსიერება** - როცა წარსულის განსხვავებული ვერსიები აწმყოს გამოწვევებისა და საჭიროებების შესაბამისად იქმნება, ამ დროს ხდება კოლექტიური მეხსიერებიდან ინსტიტუციურ დონეზე გადასვლა. **ნედ ლებოუს** განმარტებით - „პოლიტიკური ელიტის წევრების, მათი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მცდელობა შექმნან წარსულის მნიშვნელობა, გაავრცელონ ფართო მასებსა და საზოგადოებაში“ (Lebow, 2006:6). ამდენად, ინსტიტუციური მეხსიერება განპირობებულია პოლიტიკური დღის წესრიგით და სწორედ ამით განსხვავდება კოლექტიური მეხსიერებისგან.

მეხსიერების შესწავლის მნიშვნელობაზე საუბრობს ფრანგი მკვლევარი, მეხსიერების კვლევების ცნობილი წარმომადგენელი პიერ ნორა: „ჩვენ ვცხოვრობთ მეხსიერების საყოველთაო ზეიმის ეპოქაში. უკანასკნელი ოცი თუ ოცდახუთი წლის მანძილზე ყველა ქვეყანაში, ყველა სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფში წარსულისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა: ისტორიის ოფიციალური ვერსიების კრიტიკა, ისტორიული პროცესის ადრე მივიწყებული ან მიჩქმალული მხარეების გახსენება, „წართმეული წარსულის“ დაბრუნება, „ფესვების კულტი“, მემორიალური ღონისძიებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, წარსულთან „ანგარიშსწორება“... მსოფლიოს თავს დაატყდა მოგონებათა ნიაღვარი, რომელმაც რეალური თუ მოგონილი წარსულისადმი ერთგულება მჭიდროდ დაუკავშირა კოლექტიურ ცნობიერებას, მეხსიერებასა და იდენტობას“ (Hopa 2005:391).

კოლექტიური მეხსიერების ნაწილია **კოლექტიური ტრავმა**. ტრავმული მოვლენა მოქმედებს ინდივიდზეც და საზოგადოებაზეც. მდგომარეობა, რომელიც ტრავმის მონაწილეებს ექმნებათ, **პოსტტრავმული სტრესის** სახელითაა ცნობილი. ტერმინი პირველად მარდი ჰოროვიცმა გამოიყენა, რომელიც კოლექტიური ტრავმის საკითხს ვიეტნამის ომის მაგალითზე იკვლევდა. ზოგადად, კოლექტიურ ტრავმას არაერთი კვლევა მიემდვნა, მათ შორის არიან ცნობილი ამერიკელი მეცნიერები დომინიკ ლაკაპრა (LaCapra, 2001), ჯეფრი ალექსანდერი (Alexander, 2004), პოლონელი სოციოლოგი პიოტრ შტომპკა (Sztompka, 1991) და სხვები. მკვლევრები თანხმდებიან, რომ პოსტტრავმული სტრესის დამღევის ხერხია „მეხსიერების აღდგენა“, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასზე საუბარი, ნარატივების შექმნა, ტრავმული მოვლენის აღწერა (მემუარები, ნოველები, ისტორიული და დოკუმენტური ლიტერატურა), რაც ისტორიოგრაფიის, მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს განეკუთვნება.

ამრიგად, წარსულსა და აწმყოს ერთმანეთთან აკავშირებს მეხსიერება, რომელიც **ინდივიდუალური, კოლექტიური და ინსტიტუციური** დონეებით არის წარმოდგენილი. კოლექტიური მეხსიერების კონტექსტში განიხილება საზოგადოებასა და ინდივიდზე მოქმედი ტრავმა, რომელმაც ფართო ასახვა ჰპოვა საქართველოს, კერძოდ კი აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში.

1.2. მეხსიერებისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ისტორია, როგორც მეცნიერება, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. მის სათავეებთან გერმანელი ისტორიკოსის **ლეოპოლდ ფონ რანკეს პოზიტივისტური სკოლა** იდგა. სკოლის მთავარ პრინციპს წარმოადგენდა ფრაზა - „ფაქტები, ფაქტები და არაფერი ფაქტების გარდა“. რანკეს თანახმად, ისტორიის მიზანს წარმოადგენს წარსულის შესახებ სინამდვილის დადგენა, თეორიული მსჯელობის გარეშე, მხოლოდ პირველწყაროებზე დაყრდნობით, რაც ისტორიკოსს საშუალებას აძლევს ზუსტად და დაუმახინჯებლად გადმოსცეს ფაქტები. პოზიტივისტურმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საისტორიო წყაროების გამოვლენასა და შესწავლას, ასევე, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენას.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აღნიშნულ მეთოდს კრიტიკოსები გამოუჩნდნენ „**ანალების**“ **ფრანგული სკოლის** სახით. ანალების სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის **ლუსიენ ფევრის** აზრით, ისტორიკოსები თავს იწონებდნენ წვრილმანების ცოდნით და ვერ ხედავდნენ ისტორიაში ცოცხალ ადამიანებს, რომელთა ცხოვრების შესწავლა საისტორიო მეცნიერების მიზანი უნდა იყოს. ისტორიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ საკვლევი ეპოქის მენტალობა - მსოფლალქმა, ფსიქოლოგია, ტრადიცია, რელიგია, რაც ადამიანთა ქმედებებისა და მათი შედეგების ახსნის შესაძლებლობას იძლევა.

ამდენად, ისტორიის გაგება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: იგი წარსულის დამახსოვრებაა, მაგრამ ამავე დროს დასავიწყებლის შერჩევაც. ხშირად ფილმები, წიგნები, მემორიალები თუ მუზეუმები თანამედროვეობის ინტერესების შესახებ უფრო მეტს ყვებიან, ვიდრე წარსულზე. **პიტერ ბერკის** აზრით, არც მეხსიერება და არც ისტორია აღარ განიხილება როგორც ობიექტური ფენომენი, ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია ინფორმაციის შერჩევისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობა (Burke, 1980: 97-98). **პიერ ნორას** თანახმად, მეხსიერება ასახავს მომხდარ მოვლენებს, ისტორია კი სუბიექტური ასახვაა იმისა, რაც ისტორიკოსმა მიიჩნია მნიშვნელოვნად და დამახსოვრების ღირსად. ცნობილი თანამედროვე

ისტორიკოსი **იორგ რიუზენი** ისტორიასა და მეხსიერებას ერთმანეთთან კიდევ უფრო აკავშირებს და მათ პარალელურ ფენომენებად განიხილავს.

ამდენად, ისტორია, ისევე როგორც მეხსიერება, არ იქმნება მყისიერად, არამედ ხდება მისი რეკონსტრუქცია სამეცნიერო შრომებში, მუზეუმში, მხატვრულ ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში. ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედია.

პ. ბერკი საუბრობს 5 მედიუმზე, რომელთა საშუალებითაც ხდება მეხსიერების გადაცემა:

1. ზეპირი ტრადიცია;
2. ისტორიკოსის შემოქმედება;
3. გამოსახულებითი და ფოტოგრაფიული ხატები;
4. მოქმედებები, რიტუალები;
5. სივრცე, სადაც ლოკალიზდება მეხსიერების „ხატები“.

ისტორიკოსის შემოქმედებისა და ზეპირი ისტორიების საშუალებით გადაიცემა ცოდნა და გამოცდილება, რიტუალების მეშვეობით კი ხდება წარსულის კვლავწარმოება, ინტერპრეტაცია და მეხსიერების ფორმირება (Burke 1980: 100-101).

ისტორიასა და მეხსიერებას შორის განსხვავებების საილუსტაციოდ გამოდგება ქვემოთ მოცემული ცხრილი (ბოლქვაძე, 2017), რომელიც თეორეტიკოსების (ნიცშე, ჰალბვაქსი, ნორა) მუშაობის შედეგად წარმოჩნდა:

მეხსიერება	ისტორია
მეხსიერების მატერიალიზებული ფორმა.	მეხსიერების არამატერიალიზებული ფორმა.
ხაზს უსვამს განსხვავებებს.	წარმოადგენს უნივერსალურ ფორმას.
დაკავშირებულია ინდივიდის, ჯგუფის, ან საზოგადოების იდენტობასთან.	არ უკავშირდება ინდივიდის, ჯგუფის, ან საზოგადოების იდენტობას.
ერთმანეთთან აკავშირებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.	გამოჰყოფს წარსულს აწმყოსა და მომავლისგან

შერჩევითია და ექვემდებარება დავიწყებას.	ავითარებს მოვლენას და მიუკერძოებელ ყურადღებას მის მიმართ.
ქმნის ღირებულებებსა და მნიშვნელობას, უზრუნველყოფს მოქმედებისკენ ორიენტაციას და მოტივაციას.	ემებს სინამდვილეს და ცდილობს ღირებულებების შეჩერებას, თიშავს რა მათ მოქმედებისგან.

ამდენად, მეხსიერება და ისტორია ნამდვილად არ არის სინონიმური ცნებები. ისტორია წარსულის რეპრეზენტაციაა, რომელიც ანალიზსა და კრიტიკულ დისკურსს ემყარება. მეხსიერების მატარებლები კი ცოცხალი სოციალური ჯგუფები არიან, ამიტომ იგი მუდმივი ევოლუციის პროცესშია, ღიაა დამახსოვრებისა და დავიწყებისთვის. როგორც ჰალბვაქსი ამბობდა, არსებობს იმდენი მეხსიერება, რამდენიც სოციალური ჯგუფი; მეხსიერება, ერთსა და იმავე დროს, მრავალია და თან განუყოფელი, ინდივიდუალური და კოლექტიური. ისტორია კი ეკუთვნის ყველას და არავის, მისი მოწოდება უნივერსალურობაა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, ვის მიერ არის ისტორია შექმნილი, რადგან სინამდვილის აღდგენაც კონკრეტული პიროვნებების მიერ ხდება. მითუმეტეს, როცა ისტორიის წერა გარკვეულწილად გასცდა პროფესიონალ ისტორიკოსთა წრეს.

ისტორიასა და მეხსიერებას შორის ურთიერთობას ემატება კიდევ მესამე ელემენტი და ყალიბდება სამკუთხედი: **ისტორია – მეხსიერება – პოლიტიკა**. **მეხსიერების პოლიტიკა** წარმოადგენს პოლიტიკური ელიტებისა თუ სახელმწიფო ინტიტუტების მცდელობას, გარკვეული ძალაუფლების ფლობისა და ამ ძალით მანიპულირების საშუალებით გავლენა მოახდინოს კოლექტიურ მეხსიერებაზე (Verovsek, 2007).

იქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკური ძალები ისტორიას ყოველთვის იყენებდნენ თავიანთი ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად, მეხსიერების პოლიტიკის შესწავლისას ხდება მისი დიფერენცირება და გამოყოფენ ორ დონეს:

1. არაოფიციალური პოლიტიკური მეხსიერება, რომელიც ხელოვნებაში, მედიასაშუალებებსა თუ სხვადასხვა სახის აქციებში აისახება;

2. ოფიციალური პოლიტიკური მეხსიერება, რომელიც ოფიციალური აქტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებსა და მათთვის მისაღებ დისკურსს გულისხმობს (ქარაია, 2017).

ამრიგად, ისტორია ანალიზსა და კრიტიკულ მიდგომაზე დაფუძნებული წარსულის რეპრეზენტაციაა, მეხსიერება კი ცოცხლობს ინდივიდებში, ცოცხალ სოციალურ ჯგუფებში. ისტორია ყველასია, უნივერსალურია, მეხსიერება (კოლექტიური, ინდივიდუალური) კონკრეტულ ინდივიდსა თუ სოციალურ ჯგუფებში ცოცხლობს. ქართველი პოლიტიკური ლიდერების, ისტორიკოსების და სხვათა ნააზრევში ნათლად ვლინდება ქართული კოლექტიური მეხსიერების თავისებურებები. საბჭოთა ეპოქაში მათი იდეოლოგია ემსახურებოდა საბჭოთა იდენტობის, კოლექტიური საბჭოთა მეხსიერების ჩამოყალიბების ბოლშევიკურ პრინციპებს. მომდევნო სათაურში განხილულია მეხსიერების პოლიტიკის ის ძირითადი ტენდენციები, რაც საბჭოთა სისტემისთვის იყო დამახასიათებელი.

1.3. მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციები საბჭოთა საქართველოში

„კულტურული რევოლუცია“, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო და საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა, საბჭოთა ადამიანის, ჰომოსოციეტის შექმნას ემსახურებოდა და მოახერხა კიდეც. ქართული საბჭოთა კულტურა მთლიანი საბჭოთა კულტურის ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, ქართული საბჭოთა იდენტობაც ყალიბდებოდა როგორც ერთიანი საბჭოთა იდენტობის ნაწილი. ყველა მიმართულება - პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, მედია ჩაყენებული იყო საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში, რომელიც გამორიცხავდა ინდივიდუალიზმს და აღიარებდა კოლექტივიზმს.

საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა ისტორიული კვლევები, მუზეოლოგია თუ ანთროპოლოგია. როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება, ახალგაზრდული ორგანიზაციები, ბანაკები, დღესასწაულები, სიმღერები, სიმბოლიკა თუ ტოპონიმიკა იდენტობის საერთო მარკერების შექმნას ემსახურებოდა და საბჭოთა მოთხოვნების შესაბამისად იქმნებოდა. მორჩილი და უკრიტიკო ადამიანი, პარტიული ნომენკლატურა და საბჭოთა ინტელიგენცია კარგად გამოხატავდა საბჭოთა ადამიანის ხასიათს.

საბჭოთა ადამიანის ფორმირებისა და მომავალი თაობის სოციალისტური იდეოლოგიით აღზრდაში განმსაზღვრელი იყო საშუალო განათლების საფეხურებიანი (ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი) სისტემა, რომელიც ეხმარებოდა სისტემას სოციალისტური კადრების აღზრდაში. ხელისუფლება ზრუნავდა სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენასა და გამოცემაზეც, რომლებიც ოფიციალური იდეოლოგიის შესაბამისად იქმნებოდა.

განათლების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა მიერ მომზადებული კადრები ავსებდნენ საბჭოთა ინტელიგენციის რიგებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა მრავალი ინსტიტუტი: 1928 წელს პოლიტექნიკური ფაკულტეტი გადაკეთდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტად; 1929-30 წლებში აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1932 წელს მას გამოეყო ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, 1930 წელს კი - სამედიცინო ინსტიტუტი. ამავე წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად, წარმოიშვა პედაგოგიური, საფინანსო-კოოპერაციული, საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტები. უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავში, სტალინირში (ცხინვალი), რომელთა კურსდამთავრებულებმა მიიღეს დიპლომი და შეუერთდნენ საბჭოთა ინტელიგენციის რიგებს. 1936 წლისთვის ქვეყანაში 20 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა, სადაც 21.584 სტუდენტი სწავლობდა, 113 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელში კი - 21.752 სტუდენტი (ციფრები მოტანილია **ლავრენტი ბერიას** მოხსენებიდან, რომელიც მან საქართველოს კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე წაიკითხა 1937 წლის 15 მაისს). 1939 წელს 1000 სულ მოსახლეზე 133,4 საშუალო და 11,2 უმაღლესი განათლების მქონე პირი მოდიოდა (კულტურის კვლევები, 2017).

პოლიტიკური ლიდერების, საბჭოთა მასწავლებლების, საბჭოთა ისტორიკოსების, კოლმეურნეების, მუშების და სხვათა ნააზრევი ქმნიდა საბჭოთა იდენტობას, აყალიბებდა საბჭოთა კოლექტიურ მეხსიერებას. მაგალითად, 1954 წლის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კრებული „ისტორიის სწავლების საკითხები

სკოლაში” ქართველ საბჭოთა მეცნიერთა შრომებს მოიცავს და ძირითადი აზრი ისტორიის სწავლებას უკავშირდება.

საბჭოთა ადამიანებისთვის, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებდნენ, მნიშვნელოვანი იყო ათეიზმის პროპაგანდა. შესაბამისად, აუქმებდნენ რელიგიურ დღესასწაულებს და აფუძნებდნენ საგნობრივ ან პროფესიულ დღესასწაულებს, რომლებიც საბჭოთა „მეხსიერების ადგილებად“ უნდა ქცეულიყო. მაგ.: ჩაის დღე, მევენახის დღე, ვაჭრობის მუშაკთა დღე, მედიცინის მუშაკთა დღე, მასწავლებლის დღე, მემახტის დღე და ა.შ.

ქართული საბჭოთა იდენტობის მარკერებს წარმოადგენდა - გერბი, ხუთქიმიანი ვარკვლავის ფორმის და ნამგალისა და უროს გამოსახულებით, ქართულ და რუსულ ენებზე წარწერით: “პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!” დროშა, რომელზეც ასევე დიდი ადგილი უჭირავს ოქროს ნამგლისა და უროს გამოსახულებას და ჰიმნი, რომელსაც ამტკიცებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი (საბჭოთა კონსტიტუცია, 1979; კულტურის კვლევები, 2017).

საბჭოთა მოქალაქეების თვითიდენტიფიკაციაზე გავლენის მოხდენა იყო საბჭოთა ლოზუნგების მთავარი მიზანი, რაც ნათლად ჩანს მათ შინაარსში. საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ მასობრივ სიმღერებს, რომლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა კომპოზიტორებმა: რ. გაბიჩივაძემ, შ. მილორავამ, ს. მირიანაშვილმა, რ. ლალიძემ და სხვებმა (კულტურის კვლევები, 2017).

როგორც ცნობილია, ლენინისა და ტროცკის პროლეტკულტურული ექსპერიმენტების საშუალებით ადამიანებს შორის სოციალური და კულტურული განსხვავებულობა უნდა წაშლილიყო და საბჭოთა კავშირს ნაციონალური იპერიის ადგილი დაეკავებინა, როგორც მსოფლიო ინტერნაციონალის ზესახელმწიფოს. სტალინი კი ეროვნულობის პრინციპით აგებდა საბჭოთა იმპერიას, სადაც ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებს ექნებოდათ პატარა იმპერიოზის ილუზია, საკუთარ ცენტრებს დაქვემდებარებული ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქებით. ასეთი სტრუქტურა მას სეპარატიზმისგან დაცვის მექანიზმად მიაჩნდა. იმისთვის, რომ საბჭოთა ეროვნებები თავიანთ გამორჩეულობაში დარწმუნებულიყვნენ, მათ

უნდა მიწოდებოდათ ისტორიები, რომელიც, ერთი მხრივ, მათ ეროვნულ სიამაყეს განუმტკიცებდა, ხოლო მეორე მხრივ, მათ მიერ არჩეული კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის ჭეშმარიტებაში დაარწმუნებდა. ამ მიზანს ემსახურებოდა სახალხო თუ კულტურული გმირების ხატები, რომლებიც სტალინის იდეოლოგიურ ინსტრუმენტებს წარმოადგენდა. ეს პროცესი გაგრძელდა სტალინის შემდგომაც. თბილისში 1956 წლის 9 მარტის საპროტესტო დემონსტრაცია ქართული ნაციონალიზმის პირდაპირი გამოხატულებაა. თავად თანამედროვე ქართული ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი - აღმატებითი ხარისხი, სწორედ საბჭოთა ნაციონალიზმით არის სტიმულირებული (მაისურაძე, 2009:16).

გამომდინარე აქედან, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს სხვადასხვა ერის ნაციონალური კულტურის ეგზოტიკური ელემენტების წარმოჩენას. მოსკოვში იმართებოდა გამოფენები, ლიტერატურული შეხვედრები, კულტურის კვირეულები. 1937 წელს ქართული დელეგაციის მიერ რუსეთში გაიმართა ქართული მწერლობის, მუსიკის, ცეკვის და ხელოვნების სხვა დარგების პრეზენტაციები. ამ ღონისძიებაზე გაისმა პირველად საქართველოს მიმართ ეპითეტი „Солнечная Грузия“ (მზიანი საქართველო) (ქარცივაძე, 2019). ამასთან, ითვლებოდა, რომ ყველა რესპუბლიკას უნდა ჰყოლოდა ეროვნული პოეტი. ითარგმნებოდა პუშკინის, რუსთაველის, შევჩენკოს და სხვა რესპუბლიკების პოეტების ნაშრომები და ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. 1937 წელს საქართველომ იზეიმა ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილე. ამავე წელს საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე (გაზეთი „პრავდა“, 1937; ქარცივაძე, 2019). ხოლო 1940 წელს იაკობ გოგებაშვილის 100 წლის იუბილე აღინიშნა. ეს ტრადიცია გაგრძელდა სტალინის შემდგომაც. იუბილეები, კონგრესები, სპარტაკიადები, ყრილობები და სხვა აქტივობები ერთიან საბჭოთა ნარატივში იყო მოქცეული. 1976 წელს ჩატარდა „დედა ენის“ 100 წლის იუბილე; 1983 წელს, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლის იუბილე, როგორც „ორი ხალხის მეგობრობის და ძმობის მანიფესტი“.

საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც, მიმდინარე ნაციონალური და პატრიოტული სენტიმენტების აქტიური პროპაგანდის ფონზე იჩაგრებოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები,

უგულებელყოფილი იყო სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური, კულტურული ჯგუფის კოლექტიური მეხსიერება, რომელთა ნიველირება უნდა მომხდარიყო „ტიტულოვანი“ ერების იდეის ქვეშ (Gerhard, 1991; იუნგე, 2015). 1930-40-იან წლებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დეპორტაცია მათი კვალის წაშლას ემსახურებოდა. იგივე მიზანს ისახავდა ქალაქებისა და სოფლების ისტორიული სახელების შეცვლაც.

მნიშვნელოვანი გახდა მტრის ხატის მუდმივი ძიება. ვერ შესრულებული დანაპირები „ხალხის მტრებს“ და კაპიტალისტური სამყაროს „ჯაშუშებს“ ბრალდებოდა. ხელისუფლება სისტემატურად მიმართავდა შიშის დათესვასა და ტერორს. ოპოზიციური პარტიების, პარტიული და სამხედრო კადრების მიმართ მიმდინარეობდა სასამართლო და არასასამართლო ანგარიშსწორებები. 1936-1938 წლების რეპრესიების მიზანი სოციალური დაძაბულობის მოხსნა „მტრის“ გამოვლენის და დასჯის გზით, ნებისმიერი ოპოზიციური განწყობის ჩანასახშივე ჩახშობა და ხელისუფლების გარანტირება იყო. საბჭოთა ხელისუფლება ისწრაფვოდა აბსოლუტურად ყველა სფეროს კონტროლისაკენ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა – ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ სფეროში. საზოგადოებრივი ცხოვრების გასახელმწიფოებრიობა უმთავრესი ტენდენცია გახდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემისთვის 20-30-იან წლებში, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული საბჭოთა საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირები, ხელისუფლებასთან ასოცირებული ინტელიგენცია და საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილი.

მკვლევართა აზრით, კომუნისტური იდეოლოგიის მთავარი მიზნის - ყოფილ საბჭოთა კავშირში წაეშალა განსხვავებები ხალხებს შორის და ჩამოეყალიბებინათ თვისობრივად ახალი ადამიანი - წარმატებით განხორციელებას საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურის ეროვნულმა დაყოფამ შეუშალა ხელი. ეროვნული ერთობები, რომელთაგან შედგებოდა საბჭოთა კავშირი, არ იყო ეთნიკურად ჰომოგენური. ამ ჰეტეროგენულობის შედეგი იყო „სატიტულო ეროვნებების“ მიერ უმცირესობათა ასიმილაციის ფარული თუ აშკარა პოლიტიკა. ეროვნული, რელიგიური, რეგიონული, ტრადიციული იდენტურობის დაძლევა ხანგრძლივი და იძულებითი პროცესია. ყველაზე მტკივნეული და პრობლემური იყო ნაციონალური იდენტურობა, რომელსაც ყველა ერი სხვადასხვა გზითა და ფორმით აგებს. (Svante, 2001:47-60, 142-196).

სამაგიეროდ, მასობრივმა რეპრესიებმა, მბრძანებლურმა სისტემამ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი აზროვნების და ქცევის ისეთი თვისებები, როგორიცაა: დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უუნარობა, ბრძანებების ბრმად მორჩილება, პასუხისმგებლობის შიში, შემოქმედებითი ინიციატივის დაცემა, შიში და ეჭვი. ჩამოყალიბდა ფუნქციადაკარგული ხალხი, რომელიც მხოლოდ იარაღი იყო არსებული რეჟიმის ხელში, რაც კულტურული რევოლუციის ძირითადი მიზანი იყო.

როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, სტერეოტიპები ადაპტირდა ახალ რეალობასთან ან მეხსიერებით მანიპულირების საშუალებად იქცა. დაიწყო ისტორიის გადაწერა ძველი მითების საფუძველზე. ვიქტიმიზაციისა და „გარე ზეწოლის“ მსხვერპლის როლის მორგების პროცესში ზოგიერთი ხალხი „სხვათა“ უბედურების მიზეზად იქცა და სწორედ ეს გახდა ჯგუფებისა და ერთობების მთავარი ამოსავალი წერტილი. როგორც **რობერტ ფრანკი** აღნიშნავს, *სხვაზე წარმოდგენის გამარტივებით, ნაციონალური სტერეოტიპი ამარტივებს საკუთარ თავზე წარმოდგენასაც.*

ამრიგად, კომუნისტური იდეოლოგია მიზნად ისახავდა იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხებს შორის განსხვავებების გაქრობას და თვისობრივად ახალი „საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბებას. ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელი გახდა ეროვნული რესპუბლიკების არსებობის გამო, თუმცა შეძლო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უუნარო, ბრძანებების ბრმად მორჩილი, უინიციატივო ადამიანების ჩამოყალიბება, რომლებიც წარმოადგენდნენ ხელისუფლების იარაღს მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე.

თავი II - პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში

ქართული საბჭოთა კოლექტიური მეხსიერების პროდუქტებს წარმოადგენს როგორც ისტორიული, ისე მხატვრული ნარატივები. მომდევნო თავში განხილულია რეპრესიული წარსული სარქივო დოკუმენტების, ისტორიის სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის ბაზაზე, რომლებიც ფართო წარმოდგენას ქმნიან საბჭოთა იდენტობაზე. ასევე, წარმოდგენილია ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ტრავმული მეხსიერების სხვადასხვა ასპექტი.

2.1. პოლიტიკური რეპრესიების ასახვა საარქივო დოკუმენტებში

როგორც ცნობილია, საქართველოში საბჭოთა რეპრესიები რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთი შემოიჭრა, დაამხო დემოკრატიულად არჩეული მთავრობა და მთელ ტერიტორიაზე კონტროლი დააწესა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და პარლამენტის წევრები (1918-21) რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ. მთავრობის რამდენიმე წევრი და მასთან აფილირებული ხალხი ემიგრაციაში ევროპაში წავიდა და ასე გადარჩა (დამფუძნებელი კრება, 1919; SovLab, 2016).

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენის ყველაზე დიდი მცდელობა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო. ევროპაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების მიერ დაწყებულმა, მაგრამ ცუდად დაგეგმილმა აჯანყებამ წარმატებას ვერ მიაღწია. მარცხს აჯანყების წევრების პატიმრობა და მასობრივი გასამართლება მოჰყვა. ორივე ამბოხების გარდაცვლილების რიცხვი (მათ შორის სიკვდილით დასჯის) 630-დან 4000-მდე მერყეობს. მათ შორის იყო საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი, რომელიც 1921 წელს ემიგრაციაში ევროპაში წავიდა, მაგრამ მოგვიანებით დაბრუნდა საქართველოში, აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად (Jones, 1988: 616-639).

1937 და 1938 წლები იყო დიდი ტერორისა და საბჭოთა კავშირის ეპოქის ყველაზე მასშტაბური რეპრესიების პერიოდი. ამ პერიოდის საბჭოთა საქართველოს 29.000 ადამიანზე მეტი მსჯავრდებული ჰყავდა, რომელთა საქმეების თითქმის ნახევარი ე.წ. "ტროიკას" ეკუთვნის. მათ შორის, 3621 დაისაჯა პირდაპირი ბრძანებით მოსკოვიდან, იოსებ სტალინის და პოლიტიკური ბიუროს სხვა წევრების ხელმოწერით (ე.წ. "სტალინური სიები") (იუნგე, 2015).

1941-1951 წლებში რეპრესიები გაგრძელდა ეროვნული ნიშნით, ქვეყნიდან გაასახლეს ეთნიკური ჯგუფები. დეპორტაციის პირველი ტალღა შეეხო საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს, ქვეყნიდან გაასახლეს დაახლოებით 24 ათასი გერმანელი. განსაკუთრებით მასობრივი იყო ე.წ. „თურქი მესხების“ გასახლების ოპერაცია, რომლის დროსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შუა აზიის რესპუბლიკების სპეცდასახლებებში გადაასახლეს 20 ათასამდე ოჯახი.

გადასახლებულთა ნაწილი მოგზაურობისას დაიღუპა (Pentikäinen, 2004). საქართველოდან გადასახლებულთა შორის იყვნენ აგრეთვე ეთნიკური ბერძნები. მასობრივი გადასახლების პროცესი შეეხო აჭარასაც.

ზემოხსენებული მოვლენების გარდა, პოლიტიკური რეპრესიები ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც გამოიხატებოდა მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებული სამხედროების ნაწილის შრომა-გასწორებით ბანაკებში გადასახლებით, ადამიანების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იძულებითი მკურნალობით. ფიზიკური განადგურებისა და პატიმრობის პარალელურად, მრავალ ადამიანს ჩამოერთვა კერძო საკუთრება და გაასახლეს საკუთარი სახლებიდან.

საგანგებოდ უნდა დავასახელოთ ორი ისტორიული მოვლენა, რომელმაც ქართველთა მესხიერებაზე ტრავმული გავლენა მოახდინა - 1956 წლის 9 მარტის და 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლიანი დარბევა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ამ ორი ისტორიული მოვლენის პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ისტორიული ანალიზი, არც ერთი მოვლენა არ არის ჯეროვნად გამოკვლეული და შეფასებული დღემდე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც, საბჭოთა რეპრესიების კვლევების თვალსაზრისით ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა დღემდე რეპრესიების მასშტაბი და მსხვერპლთა რაოდენობა დაზუსტებული არ არის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალების კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ 1937-38 წლებში საქართველოში სულ 14 372 ადამიანი დახვრიტეს, აქედან 1050 აჭარაში (მათ შორის 11 ქალი იყო).

ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მონაცემებით, მხოლოდ 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ პერიოდში, საქართველოდან რეპრესიის მსხვერპლი 30 000-ზე მეტი ადამიანი გახდა, მათ შორის 3616 „სტალინური სიებით“, უშუალოდ იოსებ სტალინის პირადი ხელმოწერით დაისაჯა (IDFI, 2014). ცხადია, ეს მონაცემები ვერ იქნება ზუსტი, თავად საარქივო მასალების ფრაგმენტაციის გათვალისწინებით.

პოლიტიკური რეპრესიების მასშტაბის შესახებ აჭარაში ოფიციალურად პირველად 1956 წლის 13 აგვისტოს პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აქტივის

კრებაზე გაჟღერდა (თურმანიძე, 2019:98). საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **დავით მამულაძის** მოხსენებასა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის **ტიტე ჩიქოვანის** სიტყვაში პირველად გახმოვანდა საიდუმლო მასალები: საქართველოში 1937-38 წლებში რეპრესირებული იყო 50 ათასი ადამიანი, მათ შორის 20 ათასი დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის არიან პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები: **მიხეილ კახიანი, ბუდუ მდივანი, კონსტანტინე ცინცაძე, გერმანე მგალობლიშვილი, ლევან ღოღობერიძე, ლავრენტი ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი, მაღაქია ტოროშელიძე, მიხეილ ოკუჯავა, შალვა ელიავა, სამსონ მამულია და სხვები** (თურმანიძე, 2019:98).

როგორც ცნობილია, განაჩენი სასამართლოს და ყოველგვარი გამოძიების გარეშე ე.წ. სამეულის სხდომაზე გამოჰქონდათ, რომელსაც ჰყავდა მომხსენებელი და ფორმალური პროცედურით თითოეულ სხდომაზე ასობით ადამიანს ედებოდა ბრალი. ასევე ცნობილია, რომ ე.წ. „ლიმიტები“ „ცენტრიდან“ ისაზღვრებოდა. თუმცა თანამედროვე კვლევებით ირკვევა, რომ რესპუბლიკები აჭარბებდნენ დადგენილ „ლიმიტებს“. საქართველოში მოქმედებდა კულაკური, მილიციის და ნაციონალური სამეულები, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს ადამიანთა სიკვდილით დასჯისა და დევნის შესახებ. საქართველოში კულაკური სამეულის მიერ ჩატარებული რეპრესიები საწყის „ქვოტასთან“ შედარებით 4.2- ჯერ გაიზარდა, რაც აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს - 3.5-ს. სიკვდილმისჯილთა ლიმიტი საქართველოში 5.3-ჯერ გაიზარდა საკავშირო მთავრობის მიერ დაწესებულ ლიმიტთან შედარებით, რაც საშუალო საკავშირო მაჩვენებელს - 5.7-ს - ჩამორჩებოდა.(იუნგე, 2015ბ:66-67).

„სამეულები“ შეიქმნა 1937 წლის ივლისში, ყოფილი კულაკების, კრიმინალებისა და ანტისაბჭოთა სხვა ელემენტების რეპრესირების ოპერაციის შესახებ" სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის No00447 ოპერატიული ბრძანების საფუძველზე. **კულაკურ სამეულში** შედიოდნენ: შინსახკომის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო, სამხარეო თუ რესპუბლიკური კომიტეტის პირველი მდივანი, და ადგილობრივი პროკურორი ან მილიციის უფროსი. „ანტისაბჭოთა ელემენტებში“ გულისხმობდნენ

„ბოლშევიკთა ყოფილ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, როგორებიც იყვნენ მენშევიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები და ა.შ. ასევე, მოიაზრებოდნენ მღვდელმსახურები, თეთრი არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები, სამეფო ადმინისტრაციის მოსამსახურეები“ ეს სსრკ-ში, მათ შორის - საქართველოშიც, ჩატარებული ყველაზე უფრო მასშტაბური რეპრესიული ოპერაცია იყო. საქართველოში კულაკური სამეული ასევე აწარმოებდა ე.წ. „სტალინის სიის“ პირთა საქმეებს. კულაკური სამეულის მიერ სულ გასამართლებულია 21,107 ადამიანი (იუნგე, 2015ბ, გვ.31).

საქართველოში მცხოვრები სხვა ქვეყნების მოქალაქეთა და ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ საქმეები საწყის ეტაპზე მიყავდა ე.წ. **„ნაციონალურ ორეულს“** (რესპუბლიკის პროკურორისა და შინსახკომის სამმართველოს უფროსის შემადგენლობით). **შემდგომში, ორეული სამეულად გადაკეთდა** (დაემატა სკკპ(ბ)-ს სამხარეო ან საოლქო კომიტეტის მდივანი). ნაციონალურ სამეულს უკვე შეეძლო საკუთარი განაჩენის აღსრულება „ცენტრიდან“ დამტკიცების გარეშე. 1938 წელს საქართველოში შექმნილი ნაციონალური სამეულის თავმჯდომარე გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **სერგო გოგლიძე, ხოლო წევრები – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი და რესპუბლიკის პროკურორი ილარიონ ტალახაძე**, რის გამოც ქართული ნაციონალური სამეული პირადი შემადგენლობით განსხვავდებოდა საქართველოს სსრ შინსახკომის კულაკური სამეულისგან, რაც იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისა და ოლქებისთვის არ იყო დამახასიათებელი. ტრადიციული წესრიგი საქართველოში მხოლოდ 1938 წლის 9 ოქტომბერს აღდგა, როდესაც რესპუბლიკის მილიციის უფროსი **შალვა წერეთელი** შეიცვალა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნით – **კანდიდ ჩარკვიანით**, როგორც კულაკური სამეულის მუდმივი წევრით. ნაციონალურმა სამეულმა მსჯავრი დასდო სულ 494 ადამიანს. აქედან, სიკვდილი მიუსაჯეს 115 ადამიანს (იუნგე, 2015ბ; იუნგე, 2015გ; იუნგე, 2015დ).

მილიციის სამეული საქართველოში 1934 წლის მაისიდან მოქმედებდა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკისთვის, ხოლო 1938 წლიდან - მხოლოდ საქართველოსთვის. სამეულის წევრები იყვნენ: მილიციის ადგილობრივი სამმართველოს უფროსი, რომელიც ამზადებდა საგამომიებო საქმეებს, საოლქო ან

სამხარეო პროკურორი და, შინსახკომის სამმართველოს უფროსი. ამ სადამსჯელო ოპერაციის ძირითადი სამიზნე არა სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ, არამედ ე.წ. „დეკლასირებული ელემენტები“ - მარგინალიზებული ადამიანები/ჯგუფები: უსახლკარონი, მეძავეები, არასრულწლოვანები, რომლებიც მშობლების გარეშე დარჩნენ (რეპრესიებისა თუ სხვა მიზეზით) და ა.შ. ათას სამას ოთხმოცდაორი რეპრესირებულიდან მათი წილი 5%-ს შეადგენდა. აქ ყველაზე მკაცრი სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა იყო.

ექვმიტანილთა საქმეების განხილვა და განაჩენის გამოტანა დაახლოებით იდენტური პროცედურით ხდებოდა სამივე სამეულის მიერ: ტარდებოდა სხდომა, რომელსაც ესწრებოდა სამეულის ყველა წევრი, მდივანი, ე.წ. მომხსენებლები, რომლებიც ექვმიტანილთა საქმეებს წარმოადგენდნენ. სხდომებზე ხდებოდა საქმეების მოსმენა და განაჩენის გამოტანა. კულაკური სამეულის სხდომების მოძიებული 122 ოქმი მოიცავს ინფორმაციას 21,000-ზე მეტი ექვმიტანილის საქმის განხილვის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ 21,000 ადამიანის ბედის განხილვა სულ 122 სხდომის მანძილზე მოხდა. ამდენად, განხილვა ხდებოდა ნაჩქარევად, ფორმალურად, მინიმალური სამართლებრივი ნორმების დაცვის გარეშე (იუნგე და ბონვეჩი, 2015).

სულ, არასასამართლო ინსტანციების მიერ (ორეული, „კულაკური“ „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულები) საქართველოში მასობრივი ოპერაციების ფარგლებში სულ მცირე 25.430 პირს დაედო მსჯავრი, რომელთაგან 43%-ს (10.930 პირი) სიკვდილით დასჯა, ხოლო 52%-ს (13.263 პირი) ბანაკებში თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. დამატებით 1.237 ადამიანს (5%) ნაკლებად მძიმე განაჩენი გამოუტანეს. საქართველოს სსრ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.75% იქნა რეპრესირებული.

საქართველოს სსრ-ში ორეულის, „კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულების მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა (იუნგე, 2005:48)

არასასამართლო ინსტანცია	სულ	I კატეგორიის მიხედვით	II კატეგორიის მიხედვით	%
„კულაკური“ სამეული	21107	10563	1555+989	83
ორეული	1624	248	1376	6,4

„ნაციონალური “ სამეული	495	119	296+80	1,9
„მილიციის“ სამეული	2204	0	2036+168	8,7
ს უ ლ	25430	10930	13263+1237	100

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში „სამეულები“ არ შექმნილა. აქაურ მსჯავრდებულებზე დადგენილებებს იღებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული „სამეულები“. აჭარაში 1937 წლის 11 აგვისტოდან 1938 წლის 11 ოქტომბრამდე „კულაკური“ სამეულის დადგენილებით სასჯელი დაედო 719 ადამიანს, მათგან დახვრეტა მიუსაჯეს 334, ხოლო პატიმრობა - 385 პირს. აქედან ქ. ბათუმიდან იყო (შესაბამისი თანმიმდევრობით) 239, 129, 110; ქედის რაიონიდან - 136, 49, 87; ხელვაჩაურიდან - 118, 59, 59. გარდა ამისა, არსებობდა სტალინური სიები, რომლითაც საქართველოში მსჯავრდებულია 36 ათას 116 პირი (თურმანიძე, 2019).

ამდენად, 70-წლიანი საბჭოთა პერიოდის მმართველი ელიტის ნამდვილი სახის ძიება გარკვეულწილად შესაძლებელია "საიდუმლო" დოკუმენტებში. თანამედროვე კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საარქივო მასალებს ეყრდნობა, რითაც სრულიად ახალი გარემოებები და დანაშაულები იკვეთება, რომელზეც დღემდე ქართული და არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფია არ საუბრობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დოკუმენტაციის დიდი ნაწილი სწორედ საბჭოთა ელიტის ქმედებების გაფორმებას ემსახურება და არაფერი აქვს საერთო გულწრფელობასთან.

არქივებში დაცული დოკუმენტები ინსტიტუციური მეხსიერების ერთ-ერთი ძირითადი სახეა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მნიშვნელოვანი საარქივო მასალა კვლევებისთვის მიუწვდომელი იყო, შესაბამისად შეუძლებელი იყო საბჭოთა ტერორის პროცესის, მასშტაბის და მსხვერპლთა იდენტიფიკაცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, უმთავრესი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოში საარქივო საქმეს არეგულირებს, არის 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი - „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, რითიც არქივმა მოიპოვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი

და გადავიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში. დღესდღეობით საქართველოს ეროვნული არქივი აღარ ინახავს საიდუმლო დოკუმენტებს და ისინი ხელმისაწვდომია ყველასთვის, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს ან ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციას. თუმცა, საარქივო დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა. საუბარია შინსახკომის ორგანოების დოკუმენტებისა და საბჭოთა პერიოდში გასამართლებულ და შემდგომ რეაბილიტირებულთა სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობა, რომელშიც დაცული იყო რეაბილიტირებულთა საარქივო-საგამომძიებლო საქმეები, სამოქალაქო ომის დროს მთლიანად დაიწვა. ასეთივე ბედი ეწია თბილისში მილიციის არქივს, რის შედეგადაც დაიკარგა ინფორმაცია 1930-იან წლებში სკპ(ბ) ხელმძღვანელობის მიერ სოციალური თუ პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციის მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ საქართველოში.

მიუხედავად ამისა, გადარჩენილია დიდი რაოდენობის დოკუმენტური მასალა, მათ შორის ისინი, რომლებიც “დიდ წმენდას” შეეხება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.

საქართველოს შსს არქივის I განყოფილებაში დაცულია საბჭოთა ისტორიის პერიოდის არარეაბილიტირებული პირების საგამომძიებო საქმეები. საუბარია, ძირითადად, მილიციის ორგანოების მიერ აღძრულ საქმეებზე, ანუ სისხლის სამართლის დამნაშავეთა და ე.წ. დეკლასირებული ელემენტების (მარგინალების) საქმეებზე. რაც შეეხება “პოლიტიკური” მუხლით აღძრულ საგამომძიებო საქმეებს, გადარჩენილია მცირე რაოდენობა, რადგან “პოლიტიკურ” მსჯავრდებულთა უმრავლესობა რეაბილიტირებული იყო, ხოლო მათი საარქივო საქმეები განადგურებულია.

ამდენად, ისტორიკოსთა განკარგულებაში პრაქტიკულად არ არის პარტიული და საბჭოთა ფუნქციური ელიტის წარმომადგენლების, ისევე როგორც იმპერიის სამეფო კარის ელიტის წევრების წინააღმდეგ აღძრული საქმეები. ასევე დაკარგულია უბრალო, ან არაპრივილეგირებული მოსახლეობის დიდი ნაწილის საგამომძიებო საქმეები: გლეხების, სოფლის მღვდლების, ბერების, მოღვაწისა და მუშების, რომლებიც მასობრივი წესით გაასამართლეს და მათი რეაბილიტაციის პროცესი ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო.

საქართველოს შსს არქივის I განყოფილებაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტურ კომპლექსს ქმნის ე.წ. „**დახვეტილთა სიები**“. მასში გაერთიანებულია განაჩენის სისრულეში მოყვანის ამსახველი არა მხოლოდ ფორმალური აქტები, არამედ თანდართული დოკუმენტებიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გაანალიზდეს “ხალხის მტრების” გამოვლენის მექანიზმი, მსხვერპლის გადაცემა ერთი სადამსჯელო ინსტანციიდან მეორისთვის და ამ პროცედურების ამსახველი წვრილმანები, მათ შორის მითითებულია, თუ როგორ უნდა დაესაჯათ სიკვდილით “ხალხის მტრები” – “მარჯვენა საფეთქელში გასროლით”. ვინაიდან შსს არქივის პირველ განყოფილებას ასევე გადაეცა “მილიციის” არქივის საქმეთა კომპლექსი, მასში გაერთიანებულია აქტებისა და ბრძანებების კრებული, რომლებიც განკუთვნილი იყო მილიციის ორგანოებისთვის 1936-1938 წლებში. თუმცა სადამსჯელო ორგანოების ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებშიც 30-იანი წლების რეპრესიებია ასახული, 1937-1938 წლების დიდი ტერორის მასობრივი ოპერაციების ამსახველი დოკუმენტური მასალების შემორჩენილი კომპლექსი წარმოადგენს.

ასე რომ, საარქივო მასალის მოცულობა და სრული შინაარსი გაურკვეველი რჩება, რის გამოც შეუძლებელია მოვლენების სრული სურათის აღდგენა. თუმცა, აქ პრინციპულად გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს: კგბ-ს არქივები რომ გადარჩენილიყო, რამდენად სანდო იქნებოდა არქივის მასალები? ზოგადად, უნდა ითქვას, რომ კგბ-ს არქივები საფუძვლიანად იძლევა სპეკულაციისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

ამდენად, საქართველში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა პროცესის ანალიზსა და მათი რაოდენობის დაზუსტებას ართულებს საარქივო სფეროში არსებული პრობლემები. ერთი მხრივ, ყოფილი არქივების ფრაგმენტაცია და მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა შეუძლებელს ხდის 1921 წლიდან სსრკ-ს დაშლამდე საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობის განსაზღვრას, რაც ასევე აფერხებს სამეცნიერო კვლევებს და ართულებს საერთო სურათის აღდგენის საკითხს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეებთან და პირად ინფორმაციასთან, დაცულია ეროვნულ არქივში. კანონმდებლობის თანახმად, 1950-იანი წლების რეაბილიტაციის მასალები

კვლევისთვის ხელმისაწვდომი 2030 წლიდან იქნება. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ამჟამად შეუძლებელია ზოგიერთი დოკუმენტის მიღება (შემთხვევების სია), რომელთა საიდუმლოობის პერიოდი არ არის ამოწურული. ამდენად, მკვლევრებს არ აქვთ წვდომა კონკრეტული პირის სარეაბილიტაციო ჩანაწერებსა და არსებული შემთხვევების სრული სიის დამუშავებაზე საერთო სურათის აღდგენის მიზნით (Daniel and others, 2016).

ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის (IDFI) შეფასებაში, რომელიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობდა, ვკითხულობთ, რომ ადამიანის უფლებების მასობრივად დარღვევის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც ადრე თუ გვიან ცნობილი გახდება, ერთი მხრივ იმეორებს ადამიანის უფლებების დარღვევის მეთოდებს და ზრდის წარსულის ტოტალიტარული პრაქტიკის გამეორების შანსს, ხოლო მეორე მხრივ, არ აცნობებს საზოგადოებას რეპრესიული რეჟიმის შესახებ და ამცირებს დარღვეული უფლებების აღდგენის შანსს (IDFI, 2016).

„ღია და გამჭვირვალე არქივები საშიშია გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვის მათი წარსულიდან გამომდინარე. ზოგადად, ღია არქივების პირობებში უფრო ჩქარდება სრულფასოვანი კვლევები, გაცილებით უფრო მეტი რესურსები მიემართება ამ კვლევების სიღრმეზე და ანალიტიკურ მხარეზე, რაც საბოლოო ჯამში ამოავსებს იმ სიცარიელს, რაც გვაქვს უახლესი ისტორიის მიმართულებით – ანუ, დაამსხვრევს ძალიან ბევრ მითს, სტერეოტიპს და უკვე ჩვეულ შეხედულებებს ჩვენს წარსულზე, რაც შეიძლება ასევე აშფოთებდეს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების გარკვეულ წრეებს; ეშინიათ, რომ „სათუთი და წმინდა“ ვერსიები ჩვენი წარსულის შესახებ გადაისინჯება, გაკრიტიკდება, შეიცვლება და სრულიად სხვაგვარი სურათი შეიძლება დაფიქსირდეს“, - ამბობს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი, ირაკლი ხვადაგიანი (ხვადაგიანი, 2019).

ბევრ ქვეყანაში საბჭოთა ეპოქის დოკუმენტები კლასიფიცირდება და ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი. არის ქვეყნები, სადაც არქივები დღემდე მოუწვდომელია ისტორიკოსებისა და მკვლევრებისთვის. საქართველო, საკანონმდებლო დონეზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, შეიძლება

პოსტსაბჭოთა ქვეყნის კარგი მაგალითი იყოს ღია და ხელმისაწვდომი საბჭოთა არქივების თვალსაზრისით. თუმცა, პრაქტიკულ დონეზე, არსებობს გამჭვირვალობის პრობლემები, რადგან მკვლევრები მუშაობენ არქივების სამკითხველო ოთახებში და მათ არ აქვთ ფოტოგადაღების უფლება. თითოეული დოკუმენტის ოფიციალური გამოთხოვა კი ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. არც დიგიტალიზებული არის დოკუმენტები, რაც შეუძლებელს ხდის მასალების სისტემურ დამუშავებას. სასურველი იქნება დიგიტალური ბანკის შექმნის შედეგად მისი „გახსნა“, რათა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მკვლევართათვის, ისე ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, რაც ხელს შეუწყობს წარსულის საერთო სურათის წარმოჩენას, გააზრებასა და ანალიზს. დღეს, როცა საბჭოთა წარსულის კვლევების სიმწირეზე ვსაუბრობთ და გამოვთქვამთ შენიშვნებს მკვლევართა მხრიდან აღნიშნული საკითხის მიმართ ნაკლებ ინტერესზე, ერთ-ერთი განმაპირობებელი შეიძლება სწორედ ეს ფაქტორი იყოს. თანამედროვე კვლევათა გამოწვევებს ვერ პასუხობს ფაქტოლოგიური მასალის მოპოვება, ამიტომ სასურველია, რომ მკვლევრის დრო და ენერგია რუსერსების მანუალურ დამუშავებაზე არ იხარჯებოდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარქივო დოკუმენტები ხშირად უალტერნატივოა, რომელიც საშუალებას იძლევა მოვიპოვოთ ინფორმაციები კონკრეტული პიროვნებების შესახებ, გავაანალიზოთ რეჟიმის მოქმედების სპეციფიკა და შევქმნათ რეპრესიების სტატისტიკური სურათი. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს წიგნი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, რომელიც ერთობლივი ქართულ-გერმანული კვლევითი პროექტის „სტალინური მასობრივი რეპრესიები საქართველოში. 1937-1938 წწ. კავკასიის პერიფერიის პერსპექტივები“ ფარგლებში გამოიცა (იუნგე, 2015ა; იუნგე, 2015ბ).

ნაშრომში, შსს-ს საარქივო მასალებებზე დაყრდნობით, საქართველოს მაგალითზე გამოკვლეულია შინსახკომის მიერ ჩატარებული სამი ოპერაცია: ე.წ. „კულაკური“ ოპერაცია, „ნაციონალური ხაზის“ ოპერაციები და სოციალური წმენდა („მილიციის“ სამეული), რომლებიც განხილულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი კუთხით, დათვლილია სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი. შედარებულია 1937 და

1938 წლების რეპრესიები და სხვა რეგიონებში განხორციელებული დევნის მასშტაბები საქართველოსთან მიმართებაში.

წიგნის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საქართველოში ტერორის სპეციფიკას. სადამსჯელო უფლებამოსილების ნაწილის ცენტრიდან პერიფერიისთვის გადაცემის ფაქტებსა და საქართველოს სსრ შინსახკომის „სამეულის“ მიერ საზოგადოების მასობრივ გასამართლებას. ამ თვალსაზრისით მოყვანილია აჭარის არ შინსახკომის უფროსის მოადგილის ს. ი. კუტელის მიერ საქართველოს სსრ შინსახკომის უფროსის მოადგილის ა. ნ. რაფაეასთვის გაგზავნილი წერილი, რომელიც „კულაკური“ სამეულებისთვის კონტინგენტის შერჩევის მექანიზმებზე მოგვითხრობს. დოკუმენტი 1937 წლის 13 აგვისტოთი არის დათარიღებული და სრულიად საიდუმლო მასალას წარმოადგენდა.

„ამხ. რაფაეა!

ქ. ბათუმი

რადგან ადამიანები და საქმეები უკვე მზად იყვნენ, გადავწყვიტეთ მათი გამოგზავნა დღეს, ასე ვთქვათ, რიგის დასაკავებლად.

საქმე ისაა, რომ ჩვენ დაახლოებით 700 საგამოძიებო საქმე გვაქვს და ვგვეგმავეთ 200-ზე მეტი ადამიანის აყვანას, იმათ გარდა, ვისაც სამეულის სპეციალური სიით დააპატიმრებენ.

ამიტომ ჩვენ დაუფონებლივ გამოვყავით დაახლოებით 315 საქმე - 154 ჩართულია სამხედრო კოლეგიის სიებში (76 - პირველ სიაში, 79 - მეორეში).

როდესაც ამხ. გოგლიძეს გამოძიებითა და დაპატიმრებულებით ჩვენი დატვირთვის შესახებ მოვახსენე, მან თქვა, რომ შეიძლება სამხედრო კოლეგიის სიების გაცხრილვა სამეულისთვის. ამიტომ სამხედრო კოლეგიისთვის დავტოვეთ დაახლოებით 100 ადამიანი, ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი. ამ რაოდენობიდან 10-მდე ადამიანი გავა საჯარო პროცესზე, მაგრამ სამხედრო კოლეგიისთვის უნდა შევადგინოთ ახალი, 30-კაციანი სია.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ სამხედრო კოლეგიისთვის 110-120 ადამიანი გვეყოლება.

თქვენთვის გამოგზავნილი 315 საქმიდან:

1. დაახლოებით 105-110 - აჭარის მეამბოხური ორგანიზაციის მონაწილეა;
2. 95 - ტროცკისტია;
3. 60-65 - მენშევიკი და სოც. ფედერალისტია;

4. 40-50 - ფაშისტი და დივერსანტი;

(საბოლოო ციფრები ხვალ მექნება).

შესაძლოა, ზოგიერთი ჯგუფური საქმე უფრო მიესადაგება სამხედრო კოლეგიას, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, აუცილებელი განტვირთვის თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ შესაძლებლად ჩათვლით მათ სამეულობელო გატარებას.

სამეულობის შესახებ ჩვენი გეგმები ასეთია:

1. სიები იზრდება თქვენი დავალების შესაბამისად, კონტრრევოლუციურ-მემზობური ორგანიზაციის მონაწილეთა, აგრეთვე მენშევიკების, ოფიცრებისა და ა.შ. ხარჯზე.

ზუსტდება ყ[ოფილ] კულაკთა სიები, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე გაიზრდება.

სიებს გამოვაგზავნით 15-20 აგვისტოს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ოპერაციის ჩატარება.

2. შეგროვდება კიდევ უფრო დიდი კონტინგენტი - (როგორც ჩანს, არანაკლებ 200 ადამიანისა) - დაუმთავრებელი საგამოძიებო საქმეებიდან.

ყვირილიანს და გაგუას მოაქვთ 96 საქმე. ხვალ, ე.ი. 14/VIII - უნდა წამოვიდნენ მინინი და ცომადოსი 120 საქმით და 15/VIII - ქობულოვი და კონსტანტინიდი ასევე წამოიღებენ 100-მდე საქმეს.

კუგელი

13/8-1937 წ.

ბათუმი“

(შსს არქივი, პირველი განყოფილება, ფ. 12, ს. 57, ფ.32, 33; იუნგე, 2015ბ:65).

ამდენად, ვარაუდი იმის შესახებ, რომ რეპრესიული ორგანოები ასრულებდნენ მხოლოდ ცენტრის ნებას და მოქმედებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის ბრძანებების შესაბამისად, არ დასტურდება. მასობრივი ოპერაციებისთვის დაპატიმრებისა და სიკვდილმისჯილთა ე.წ. "ლიმიტები" განისაზღვრებოდა ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ საარქივო მასალის მიხედვით ირკვევა უამრავი შემთხვევა, როდესაც რეგიონული "ნომენკლატურა" სთხოვს ცენტრს რეპრესიების "ლიმიტების" გაზრდას (იუნგე, 2015).

აჭარის მოსახლეობის მიმართ გამოტანილ სასჯელს ეხება შსს-ს არქივის მე-8 ფონდი, რომელიც აჭარის შინსახკომის სამეულობის სხდომის 1800 ოქმს აერთიანებს.

ფონდი ასევე მოიცავს ცნობებს ნაციონალური ოპერაციების დროს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დასჯის შესახებ, რომლებიც აჭარაში ცხოვრობდნენ.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ე.წ. „სამეულები“ არ შექმნილა. აჭარასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული „სამეულები“. (იხ. დანართი 2: შსს-ს არქივის 8-ე ფონდში დაცული ოქმების ასლები, 1937-38 წლებში ე.წ. სამეულების მიერ აჭარაში მცხოვრებთა მიმართ წაყენებული ბრალდებებისა და გამოტანილი სასჯელების შესახებ). ნაციონალურ ოპერაციებში სხვა ეროვნების - თურქების, ებრაელების, რუსების, ბულგარელების, უკრაინელების, გერმანელების, სომხების, ქურთების, ჩუვაშების, ბერძნების, ლიეტუველების გვერდით არიან აჭარლები, ლაზები, აფხაზები, რომლებიც ოქმების მიხედვით, ძირითადად, თურქეთის არმიაში მსახურობდნენ. არის შემთხვევები, როცა ქართული გვარების გვერდით, ეროვნულობის გრაფაში თურქია მითითებული. მაგალითად: ზოიძე ხასან ახმედის ძე, ქობულეთის რ-ნი, ეროვნებით თურქი (შსს-ს ციფრული არქივი, ფონდი 8).

არის შემთხვევები, როცა ეროვნულობის გრაფაში აჭარელი არ არის მითითებული და ქართველად არის განხილული. მაგალითად: დუმბაძე ყედი (თეარის) ძე, ქედის რ-ნი, ქართველი, თურქეთის არმიის განყოფილების უფროსი (შსს-ს ციფრული არქივი, ფონდი 8).


ოქმების მიხედვით ირკვევა, რომ ერთ დღეზე დაახლოებით 100-150 ადამიანის განაჩენის გამოტანა ხდებოდა, რაც აღნიშნული ოქმების ფორმალობაზე მიუთითებს. მაგალითად, 1937 წლის 22 ნოემბერს 30-ზე მეტი ადამიანია გასამართლებული, ხოლო ამავე წლის 15 ოქტომბერს - 100-ზე მეტი, რაც კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას ოქმების ფორმალურობასთან დაკავშირებით (შსს-ს ციფრული არქივი, ფონდი 8).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ საარქივო დოკუმენტების მონაცემების აღქმა უტყუარ ინფორმაციად შეუძლებელია, რადგან ისინი ხშირად დანაშაულებრივი ქმედებების ლეგიტიმაციას ემსახურება და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. აჭარასთან დაკავშირებით მთავარი ბრალდებები, პროთურქულ ორიენტაციას, რელიგიურ განწყობებს, ანტისაბჭოთა აჯანყებებში მონაწილეობას, გლეხების მიმართ სიძულვილს, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ მიმართულ

ქმედებებს უკავშირდება, რაც ძირითად შემთხვევაში, რეალობასთან ახლოს არ დგას და საქმეთა დიდი ნაწილი გამიზნული დასმენების თუ შიშის ქვეშ მიცემული ჩვენებით არის შეკერილი.

საქართველოს შსს არქივში დაცული რამდენიმე საარქივო დოკუმენტი 1937-1938 წლებში ბათუმში განხორციელებული რეპრესიების შესახებ.

1. 1938 წლის 8 იანვრის წერილი აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ჯინჯოლიასადმი 19 გასამართლებულის სიკვდილით დასჯის თაობაზე:



86.

10. КАЗАРЬЯН Варлам Сергеевич, 1904г.р., 1904г.р., урож. гор.Тропизунда /Турция/, проживал в г.Батуми, дело №-32418.

11. ЗОИДЗЕ Сулейман Исабирович, 1869г.р., урож.села Аквистани, Кобулет.р., проживал там же, дело №- 28678.

12. МХИТАРОВ Лука Мхитарович, 1876г.р., урож.Турции, проживал в г.Батуми, дело №- 33244.

13. ВОЛОШЕНКО Александр Алексеевич, 1887г.р., урож.Слободы-Даниловка, Донской области, проживал в г.Батуми, дело №- 32470.

14. ВАСИЛЬЕВ Иван Стефанович, 1890г.р., урож.мест.Ивановка, Луганского округа, проживал в г.Батуми, дело №- 32471.

15. ГЕРГЕИ Людвиг Иванович, 1892г.р., урож.гор.Сиума, /Италия/, безопределенного местожительства, дело №- 33270.

16. ТЕДОРАДЗЕ Ахмед Бсүфович, 1885г.р., житель и урож. села Джо, Батум.р., дело №- 32379.

17. ИНАСАРИДЗЕ Леван Алексеевич, 1888г.р., урож.гор. Ахалцихе, прож. в мест.Махиндлури, Батум. р., дело №- 32062.

18. РЕЗЕНКО Георгий Онуфриевич, 1898 г.р., урож.гор.Батуми, проживал в селе Орта-Батуми, дело №- 33153.

19. КУРИШВАДЗЕ - ~~ОИДНИ~~ Огли Мусейн Сулейманович, 1883г.р., урож.села Лиди-Джаме, Чаквинского района, прож.в селе Халвашети, Батумского района, дело №- 32380.

Об исполнении донести мне актами в 2-х экз.на каждого.Лично принадлежащее имущество - конфисковать.

ПРИЛОЖЕНИЕ: копии обвин.заключений.-

Врид
НАРОДНЫЙ КОМИССАР ВНЕШН.ДЕЛ Груз.ССР
Комиссар Госуд.Безопасности
В-го Ранга (гор.адм.)-
Берн В. Гей

2. საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 27 სექტემბრის ოქმი აჭარაში კონტრრევოლუციონერობის ბრალდებით დაკავებული 8 პირისთვის დახვრეტის, ხოლო 3-ისთვის პატიმრობის მისჯის თაობაზე:

სრულიად საიდუმლო
Строго секретно 22

№ 380 — ПРОТОКОЛ № 38

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. ბიუროს სხდომისა — заседания Бюро ЦК КП (б) Грузии
 21-сентября 1937 г. მუხლი — пункт № 4016

ინდექსი
Индекс

Особая папка

О процессе над участниками контр-революционной, повстанческой, шпионской, диверсионной, вредительской организации в Аджарии.


Привлеченных в качестве обвиняемых по процессу к-р повстанческой, шпионской, диверсионной, вредительской организации в Аджарии ЛОРИЯНИДЗЕ З.Д., КИКАВА Д.М., РАМИШВИЛИ Г.Е., ЛАТИДЗЕ Г.Е., БАСИЛАДЗЕ К.Х., МЕГРЕЛИДЗЕ И.И., БЕСАНИДЗЕ С.Ю., РОМАНАДЗЕ О.Р. приговорить к высшей мере наказания — расстрелу; остальных обвиняемых ЧАЛ-ОГЛИ Х.Х., ДЗНЕЛАДЗЕ Х.Ф. и ВАНАДЗЕ О.К. к разным срокам тюремного заключения.

СЕКРЕТАРЬ ЦК КП(б)Г *[Подписи]*


დოკუმენტს ხელს აწერს ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

აღნიშნული დოკუმენტით დგინდება, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლო პროცესი ფორმალობას წარმოადგენდა, ხოლო პიროვნებებისთვის განაჩენი პარტიის საიდუმლო სხდომებზე გამოჰქონდათ.

3. 1937 წლის 18 ნოემბრის აქტი: ჰუსეინ ასაგბას, იოსებ ცეცხლაძის და მიხეილ აფხაზავას დახვრეტის თაობაზე:



4. 1938 წლის 16 ოქტომბრის აქტი, განსაკუთრებული სამეულის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის და 12 გასამართლებული პიროვნების დახვრეტის თაობაზე



ზოგადად, საზღვრისპირა რეგიონების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების უნდობლობა არაერთი ისტორიული ფაქტით დასტურდება. სწორედ ამით იყო განპირობებული 50-იან წლებში საზღვრისპირა რეგიონებიდან მოსახლეობის გადასახლება, ე.წ. თურქი-მესხების საკითხი. აჭარის შემთხვევაში საზღვრისპირა მდებარეობას ემატებოდა ისტორიული წარსული, განსხვავებული რელიგია და თურქეთის მხარის მიერ თავის სასარგებლოდ წარმოებული აგიტაცია-პროპაგანდა, რაც საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულ უნდობლობას იწვევდა. ერთი მხრივ, თურქეთი ცდილობდა ესარგებლა აჭარის უკიდურესად შეჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობით, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადებით კიდევ უფრო დამძიმებული ყოფა აჭარაში სათავისოდ გამოეყენებინა და გადაებირებინა მოსახლეობა, ხოლო მეორე მხრივ, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს საბჭოთა მთავრობა აწესებდა დამატებით კონტროლს და მუშაობდა ანტისაბჭოთა აგიტატორების გამოსავლენად. შედეგად, რეგიონის მოსახლეობა ფსიქოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამის დასტურად გამოდგება ლ. ბერიას მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მდივნისთვის მიწერილი წერილი, რომელშიც 1920-30-იანი წლების აჭარაში მიმდინარე პროცესებია ასახული:

**„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის
მდივანს აშხანაგ კახიანს
მოხსენებითი ზარათი:**

1921 წელს ყარსსა და მოსკოვს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული უფლებით, აჭარისტანში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს შეუძლია მიიღოს თურქეთის მოქალაქეობა და საცხოვრებლად გადავიდეს თურქეთის ტერიტორიაზე.

შეთანხმების შესასრულებლად ბათუმში ჩამოვიდა თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსახლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ამიერკავკასიაში მარუფ-ბეი. ბათუმში მისი ვიზიტის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „ფუხარაში“.

განცხადებაში ნათქვამია: „ბათუმში თურქეთის საკონსულოს განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის მიერ დადებული და ანგორაში 1927 წლის 11 მარტს რატიფიცირებული ხელშეკრულების საფუძველზე პროტოკოლით გათვალისწინებულია: ადგილობრივ ქალაქებსა და სოფლებში ყველა მუსლიმანი, ვინც საუბრობს თურქულ ენაზე, გახდეს ეროვნებით თურქი. თავისუფლად შეუძლიათ გაყიდონ თავიანთი საცხოვრებლები და გადავიდნენ თურქეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად. თურქეთის მთავრობა ჰპირდება მათ, რომ შეუქმნის ყველანაირ საცხოვრებელ პირობებს. ქალაქის მაცხოვრებლებს აუშენებს სახლებს და გამოუყოფს სავაჭროდ მაღაზიებს. სოფლის მოსახლეობისთვის კი გამოყოფს მიწებს, ბაღებსა და ბოსტნებს. ამ ყველაფერთან ერთად ემიგრანტები ორი წლის განმავლობაში გათავისუფლებული იქნებიან სამხედრო სამსახურისგან.

ეს განცხადება ყარსის ხელშეკრულების მე-12 და მე-13 პუნქტების აშკარა დამახინჯებაა. თურქების შეფარვითი განზრახვა, გადასახლება გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ. ამის შესახებ სააგენტოს მეშვეობით, ჩვენ დაუყოვნებლივ მივაწოდეთ ინფორმაცია ბათუმის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, შედეგად გაზეთ „ფუხარაში“ შესწორებები შევიდა.

ამავდროულად გაირკვა, რომ ბათუმსა და ტიფლისში ვიზიტისას მარუფ-ბეი დაინტერესდა აჭარისტანში მცხოვრები გლეხებით, მათი საცხოვრებელი პირობებით, მიწებით უზრუნველყოფითა და ა.შ.

თურქეთში გადასახლებაზე აგიტაცია უფრო გააძლიერა თურქეთის საკონსულომ. აგიტაციაში ჩართულები იყვნენ თურქი პედაგოგები და კონსულთან დაახლოებული პირები.

ცხადი გახდა, რომ თურქეთის საკონსულო სწორედ იმ გზით იყენებდა გადასახლების აგიტაციას, რის შესახებაც საუბარი იყო გაზეთ „ფუხარაში“.

გამოვლენილია შემთხვევა, რომ თურქეთის საკონსულომ დაიბარა სოფლის პედაგოგი, რომელმაც სოფელში დაბრუნების შემდეგ დაიწყო აგიტაცია და სოფლის მოსახლეობას მოუწოდა თურქეთში გადასახლება.

ასევე გამოვლინდა განსაკუთრებით მავნე აგიტატორების ვინაობა, რომლებსაც თურქეთის საკონსულოში ვიზიტის შემდეგ უნდოდათ ხულოს მაზრის სოფელ ლომანაურში მოღობის ჩასახლება.

ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის მთელ აჭარისტანში დარეგისტრირებული იყო ოპოციზიურად განწყობილი მხოლოდ 17 ოჯახი, თუმცა გაირკვა, რომ გადასახლების საკითხმა გაცილებით არასასიამოვნო სახე მიიღო. წარმატებულმა აგიტაციამ აჭარისტანის გლეხებში ხელი შეუწყო ისეთი პირების გააქტიურებას, რომლებსაც პირდაპირ შეხება არ ჰქონიათ არსებულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხდარმა წყალდიდობამ უდიდესი ეკონომიკური ზარალი მიაყენა მოსახლეობას და გააძწავა სიტუაცია. ამის გამო გადასახლებასთან დაკავშირებული საკითხის წამოწევას მოსახლეობა ანტისაბჭოთა აგიტაციად მიიჩნევდა.

მიუხედავად გამწვავებული სიტუაციისა თურქები და ანტისაბჭოთა ელემენტები ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ. ისინი იყენებდნენ მუსულმანური რელიგიის მაღალ სასულიერო პირებს - მოღობს, ასევე კულაკებს, რომლებიც განაწყენებულები იყვნენ აჭარისტანის მთავრობაზე რელიგიის სწავლების საკითხებთან, ასევე მეჩეთის ქონების გასხვისებასა და არალეგალურად შემოჭრილი 4 მუსლიმური სასულიერო პირის (მოლის) დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

გადასახდებთან მიმართებაში თურქ აგიტატორებს შემდეგი არგუმენტები მოყავთ:

- ა) აჭარისტანში გლეხებზე დაკისრებული მაღალი გადასახადები;
- ბ) საბჭოთა სკოლებში რელიგიისა და სასულიერო საკითხების უგულვებელყოფა;
- გ) ჩადრების ჩამოხსნა, მეჩეთების დახურვა და მოსახლეობის აღწერა-რეგისტრაცია.

ამ არგუმენტებიდან გამომდინარე მათ, ვინც დატოვებს აჭარას და გადასახლება თურქეთის ტერიტორიაზე, თურქული მხარე განსაკუთრებულ პირობებს და შეღავათებს პირდება.

თურქოფილური მუშაობისა და დაპირებების შედეგად ჩვენ მივიღეთ, რომ გადასახლებასთან დაკავშირებით, აჭარისტანის ზოგიერთ რაიონებში მოსახლეობას დიდი მისწრაფება და სურვილი გაუჩნდა. განსაკუთრებულად დაუფარავი სურვილი გამოთქვა ქედის და ხულოს მაზრების მოსახლეობამ.

აჭარის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსთვის გადაგზავნილ მასალებში გადასახლებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულია მსგავსი ფაქტები - ესენია სოფლები: გიგინაური, ლომანაური, პაპაშვილები, კარაპეტი, სულ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 687, მსურველები არიან ასევე ალადაურის რაიონის ყველა სოფლიდანაც.

ზემოაღნიშნული საკითხის დეტალურად შესასწავლად ადგილზე ჩავიდნენ სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი მემედ ლოღობერიძე და პარტიული კომიტეტის წარმომადგენლები. ამხანაგმა ლოღობერიძემ აჭარის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსგან მოითხოვა მუსავატური ხასიათის პროკლამაციები და შეიარაღებული ძალები, რათა მოეწყო პროვოკაცია განსაკუთრებულად მავნე აგიტატორების დასაჭერად.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო თვლის, რომ ვიდრე საკითხი ბოლომდე არ იქნება შესწავლილი და არ გაირკვევა დეტალები, რეპრესიული ქმედებები არ გატარდეს.

ვთვლი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სიტუაციის უკეთ შესწავლისთვის აჭარისტანში გაიგზავნოს ცენტრალური ორგანოების პასუხისმგებელი თანამშრომლები“.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ლ. ბერია

СЕКРЕТАРЬ ЦК КП(б) Грузии Т. КАХИАНИ.-

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА.

Оптация, предусмотренная Карским и Московским договорами 1921г., предоставлявшими право всем гр-нам, жившим в момент заключения договора в Аджаристане оптировать турецкое подданство и выехать в Турцию-проводится с июня мес.т.г. по май мес. 1928г.

Для проведения оптации из Турции прибыл в Закавказье Зам. Директора переселенческого департамента Министерства Внутренних Дел МААРУФ БЕЙ. По прибытии последнего в Батум, в газете "Пухара" было помещено следующее об"явление:

"Турецкое Консульство в Батуме сим об"являет, что согласно протокола, составленного между правительствами республики Турции и СССР, подписанного и ратифицированного в Анкаре 11-го марта 1927г., все говорящие в городах и селениях на турецком языке мусульмане в течении 9-ти месяцев могут принять подданство республики Турции, свободно продавать свое имущество, или взять таковое с собою и эмигрировать со своими семействами в Турцию. Выехавшим эмигрантам Турецкое правительство выстроит на здоровых местностях дома, отведет в городах лавки, а в селениях земли, сады и огороды. Причем, эмигранты освобождаются от воинской повинности в течении двух лет и т.д."

Явное искажение ст.ст.12 и 13 Карского договора, скрывающее стремление турок использовать переселение в целях развития туркофильских настроений было нами своевременно отмечено и через Агентство НКВД в Батуме опротестовано, в результате чего Бат.Туркконсульство поместило в газете "Пухара" соответствующее исправление.

Одновременно было выяснено, что во время пребывания в Батуме Зам. Директора МААРУФ БЕЙ интересовался положением Аджаристанского крестьянства, обеспеченностью его землем и т.д.

В дальнейшем агитация за переселение в Турцию со стороны Батумского Туркконсульства еще более усилилась и стала проводиться через турецких учителей и вообще близких Консуль-

(შსს არქივი(II), ფ. 14. აღწ.3, ყუთი 7, საქმე 43, გვ.4; კაციტაძე, 2017).

სწორედ უნდობლობის ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველი მდივნის ლ. ბერიას წინააღმდეგობა საქართველოს საზღვრისპირა - ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ახალქალაქის რაიონებში სსრკ

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ივლისის დადგენილების გატარების შესახებ და ითხოვდა ძალაში დარჩენილიყო 1936 წელს არსებული წესი, რომლის თანახმადაც სამლოცველო სახლები (მეჩეთები) ამ რაიონებში შენობისა და მიწის გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ.

„1937 წლის 16 სექტემბერი

აჭარის ასსრ-სა და საქართველოს სსრ საზღვრისპირა რაიონებში სამლოცველო სახლების (მეჩეთების) დაბეგვრის შესახებ

1. აჭარის ასსრ-სა და საქართველოს სსრ-ის ზოგიერთ საზღვრისპირა რაიონში შენობებისა და მიწის რენტის გადასახადით სამლოცველო სახლების (მეჩეთების) დაბეგვრა მუსულმანმა სასულიერო პირებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა შეიძლება პროვოკაციული მიზნით გამოიყენონ. ვთხოვთ სკპ(ბ) ცკ-ს ნება დაგვთოს, რომ 1937 წელს აჭარის ასსრ-სა და საქართველოს საზღვრისპირა - ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ახალქალაქის რაიონებში არ გავატაროთ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ივლისის დადგენილება, ძალაში დავტოვოთ 1936 წელს არსებული წესი, რომლის დროსაც სამლოცველო სახლები (მეჩეთები) ამ რაიონებში თავისუფლდებოდნენ შენობების და მიწის რენტის გადასახადისგან.

2. დაევალოთ ამხ. ბათამარძეს, ჩარკვიანს და კოჭლამაზიშვილს, შეიმუშავონ წინადადებები სამლოცველო სახლებიდან (მეჩეთებიდან) შენობებისა და მიწის რენტის გადასახადის აკრეფის შესახებ 1938 წელს და წარმოადგინონ ისინი დასამტკიცებლად.

საქართველოს კპცკ მდივანი:“

(შსს არქივი, მეორე განყოფილება, გ.14. აღ.11. ს.109; იუნგე, 2015/ზ:113).

ამდენად, ზემოთ ნახსენები ციფრები, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მიერ აჭარის მიმართ რეპრესიული პოლიტიკის სიმკაცრეზე მიუთითებს, სრულიად ლოგიკურია. როგორც ცნობილია, საბჭოთა რეპრესიების ე.წ. „ნაციონალური ოპერაციები“ სწორედ იმიტომ ხორციელდებოდა, რომ ისინი სხვა, უმრავლეს შემთხვევაში, კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, რაც საზღვარგარეთთან კავშირს ნიშნავდა და შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-

პოლიტიკურ ხედვებს. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას მსგავსი მიზეზები თავისუფლად შეიძლებოდა დაენახა აჭარასთან მიმართებაში, რომელსაც გააჩნდა ავტონომია რსფსრ-ის ხელშეკრულებებით თურქეთთან და წარმოადგენდა საზღვრისპირა რეგიონს, იდენტობის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებით.

ამრიგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ასევე ეროვნულ და ნაწილობრივ რეგიონულ არქივებში დაცულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები რეპრესიებისა და პოლიტიკური ტერორის საკითხებზე. ცნობილი მოვლენების შემდეგ, დოკუმენტების ნაწილის განადგურების მიუხედავად, გადარჩა დიდი რაოდენობის მასალა, რომელიც იძლევა მსჯელობის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დოკუმენტების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ გასაიდუმლოებულია, რაც ტოვებს ადამიანის უფლებების დარღვევისა და წარსულის ტოტალიტარული პრაქტიკის გამეორების შესაძლებლობას.

საარქივო დოკუმენტური მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. დახვრეტილთა სიები და არარეაბიტირებულთა - დეკლასირებული ელემენტების საგამოძიებო საქმეები (სოციალურად მოტივირებული რეპრესიების სურათის აღსადგენად). აღნიშნული მასალები შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს „ხალხის მტრების“ გამოვლენის მექანიზმები და ამ პროცედურების ამსახველი სხვა წვრილმანები.

საარქივო დოკუმენტები ნათლად წარმოაჩენს საქართველოში განხორციელებული ტერორის თავისებურებებს - სადამსჯელო უფლებამოსილების ნაწილის ცენტრიდან პერიფერიისთვის გადაცემისა და ცალკეულ შემთხვევებში, რეგიონული "ნომენკლატურის" მიერ კრემლის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი „ლიმიტების“ გაზრდის მოთხოვნას. ამასთან, ირკვევა, რომ აჭარაში „სამეულები“ არ შექმნილა, თუმცა გადაწყვეტილებებს იღებდა შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული „სამეულები“.

საარქივო დოკუმენტების ანალიზით ასევე ნათლად იკვეთება საბჭოთა ხელისუფლების უნდობლობა აჭარის მოსახლეობისადმი, რაც განსხვავებულ რელიგიას, გეოგრაფიულ მდებარეობასა და თურქეთის მხარის მიერ წარმოებულ აგიტაცია-პროპაგანდას უკავშირდებოდა. ამიტომაც აწესებდნენ აჭარის

მოსახლეობის მიმართ დამატებით კონტროლს და ფსიქოზურ მდგომარეობაში ამყოფებდნენ რეგიონის მოსახლეობას.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა რეპრესიები ოთხი ძირითადი ეტაპის მიხედვით განხორციელდა, როცა საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა ანტიბოლშევიკური ელემენტები, 1924 წლის აჯანყების მონაწილენი, მოგვიანებით კი, 1930-იან და 1940-50 -იან წლებში, რეპრესიებმა არნახული მასშტაბები შეიძინა.

გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი - საბჭოთა საქართველო „ცეტრიდან“ დადგენილ „ლიმიტებს“ ხშირად აჭარბებდა; პროცენტული თვალსაზრისით რეპრესიების მასშტაბები აჭარაში უფრო მაღალი იყო, მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით; ე.წ. „სამეულის“ სხდომები სრულიად ფორმალურ პროცესს წარმოადგენდა.

ხშირად ემპირიული მასალა და მათ შორის, საბჭოთა რეჟიმთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტებიც იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას და მკვლევარზეა დამოკიდებული, თუ რა კონტექსტის დანახვა სურს, რა საკითხს წამოწევს და რას დატოვებს ყურადღების მიღმა. ისტორიაც ხომ ინტერპრეტაციაა და წარსულის მოვლენებისა და ფაქტების უბრალოდ აღწერა არასდროს ხდება. იგი თითქმის ყოველთვის კონკრეტულ პოლიტიკურ კონტექსტს ატარებს. ოფიციალური ვერსიების მიღმა კი არსებობს განსხვავებული, ალტერნატიული ისტორიები, რომელთა მიჩქმალვა ან უკანა პლანზე გადაწევა ხდება. ისტორიის სახელმძღვანელოებშიც უმეტესწილად ის პროცესებია აღწერილი, რომლის დამახსოვრება იმ პერიოდის მმართველი ძალისთვის იყო მომგებიანი. ქვემოთ შევეცდებით მიმოვიხილოთ სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების მეხსიერების პოლიტიკის ფორმირებაში ჩართვის საკითხი და აღვწეროთ ცვლილებათა დინამიკა.

2.2. პოლიტიკური ტერორის ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში

პოლიტიკური რეპრესიებისა და მასთან დაკავშირებული მეხსიერების საკითხების კვლევა წარმოუდგენელია სასკოლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის გარეშე. ბოლო ათწლეულების მანძილზე ისტორიის ინტერპრეტაცია და ახალი კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბება ქვეყნის პოლიტიკურ დღის

წესრიგსა და იდეოლოგიას ემთხვევა. საზოგადოებას ისტორიის მეშვეობით საშუალება აქვს საკუთარი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური დისკურსი შექმნას. ამდენად, კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში, ისტორიკოსთა როლი განმსაზღვრელია. შესაბამისად, წარსულის შესწავლის პროცესში საინტერესოა სახელმძღვანელოების ანალიზი, რომელიც ქვეყნის ისტორიული მოვლენების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა.

ისტორიის წერის, როგორც პროფესიის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოს უკავშირდება, როცა ისტორიკოსების პროფესიონალური ჯგუფი გამოჩნდა. საქართველოს და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის - ივანე ჯავახიშვილის მთავარი მიზანი იყო წარსულის დემისტიფიკაცია, როგორც საქართველოს ისტორიის საერთო გააზრების მცდელობის ნაწილი. ჯავახიშვილის ისტორია არის ქართველი ერის პირველი ქართული ისტორიული ნარატივი, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი ქართული ისტორიოგრაფია.

ქართული ისტორიოგრაფიის მიზნები შეიცვალა საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით 40-იან წლების დასაწყისში, როდესაც სტალინის რეჟიმმა დაიწყო ისტორიის, როგორც პოლიტიკისა და იდეოლოგიის ინსტრუმენტის გამოყენება. სტალინმა განსაზღვრა ერი, როგორც ჯგუფი, რომელიც დაფუძნებულია ისტორიულად დადგენილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქოლოგიური სტრუქტურის საერთოობაზე (მაისურაძე, 2009). ამ საფუძველზე ისტორია გახდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის პოლიტიკის ელემენტი და პოლიტიკური პრეტენზიების წინ წამოწევის მთავარი ინსტრუმენტი. ისტორიის ამგვარი გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სტატია სახელწოდებით „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომლის ავტორები არიან ქართველი ისტორიკოსები - ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია. სტატია 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. გამოქვეყნებიდან მალევე, იგი რუსულად ითარგმნა და უკვე 20 დეკემბერს საკავშირო პრესაში დაიბეჭდა (გაზეთ „პრავდასა“ და „იზვესტიაში“), 22 დეკემბერს კი იგი გადაბეჭდა უკრაინის წამყვანმა გაზეთმა „პრავდა უკრაინიმ“. სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სტატიას მოჰყვა არნოლდ ჩიქობავას, დავით ზავრიევის, ექვთიმე თაყაიშვილისა და

სხვათა პუბლიკაციები. ამ კამპანიაში ჩაერთო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი რასიხ ბერიძე.

1934 წელს, დაიწყო სსრკ-ის ისტორიის პირველი სტანდარტიზებული სახელმძღვანელოს წერა. სახელმძღვანელოს მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ისტორიების ერთ საერთო ნარატივში გაერთიანება. ამასთან, გაემართლებინა რესპუბლიკების შეერთება ჯერ რუსეთის იმპერიასთან, შემდეგ კი - საბჭოთა კავშირთან. საბოლოოდ, 1937 წელს გამოქვეყნდა ანდრეი შესტაკოვის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო „Краткий курс истории СССР“ („სსრკ-ის ისტორიის მოკლე კურსი“). ისტორიკოსთა ჯგუფები შეიქმნა რუსეთის გარეთაც, საბჭოთა რესპუბლიკებშიც და მათ დაევალათ შესაბამისი რესპუბლიკების ისტორიის დაწერა(Шестаков, 1937; ქარცივაძე, 2019).

საბჭოთა რესპუბლიკებში ახალი ნაციონალური ისტორიის წერის პროცესი „ხალხთა შორის მეგობრობის“ კამპანიის ქვეშ მიმდინარეობდა. ისტორიის წერის პროცესი ამ კამპანიის ქვეშ ორად იყოფოდა - ერთი მხრივ, წახალისებული იყო ნაციონალიზმის „პრიმორდიალური“ ხედვა, რაც გულისხმობს ერის, როგორც ბუნებრივი, თავისთავადი და ანტიკური ფენომენის განხილვას, მეორე მხრივ კი ხაზგასმული იყო რუსეთის ცენტრალური როლი სსრკ-ში, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე წინ უნდა გაძღოლოდა (ქარცივაძე, 2019). შედეგად, საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალისტური და პატრიოტული სენტიმენტების აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობდა. იჩაგრებოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, რომელთა ასიმილირება უნდა მომხდარიყო „ტიტულოვანი“ ერების ქვეშ. ამდენად, საბჭოთა რესპუბლიკებში დაიწყო ტიტულოვანი ერების ისტორიის შექმნა, რომელიც ასევე შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შესტაკოვის ნარატივთან. ამ პოლიტიკამ გავლენა იქონია ისტორიის წერის პროცესზეც.

სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ისტორიული ნარატივები შეიცვალა საბჭოთა გამოწვევების შესაბამისად, სადაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რუსებისა და ქართველების მეგობრულ ურთიერთობებს ენიჭებოდა. ასევე, XIX საუკუნეს, როცა ერეკლე II-მ ორიენტაცია „ერთმორწმუნე რუსეთისაკენ“ აიღო. „დიდი ოქტომბრის

რევოლუცია“ განხილული იყო, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა და ახალი ეპოქის დასაწყისი.

საბჭოთა სისტემა ცდილობდა საერთო წარსულის ხატი შეექმნა, ცნობილი სოციოლოგის ე. ზერუბაველის განმარტებით, *საერთო წარმოშობა არის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ერთიანობის განცდისთვის, რომელზეც სოციალური სოლიდარობის ტრადიციული ფორმებია დაფუძნებული. საერთო წარსულის ქონა, ასევე გულისხმობს საერთო აწმყოს ქონასაც. იმის გაცნობიერება, რომ საერთო წინაპარი გვყავს, ერთმანეთთან გვაკავშირებს* (Zerubavel, 1981:189; კულტურის კვლევები, 2017).

საბჭოთა კავშირში არსებობდა კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეები, რომელშიც ჩართული იყვნენ პროპაგანტისტები. ტარდებოდა ლექცია-სემინარები, კონფერენციები, „ისტორიის საღამოები“, რომელიც ერთგვარ „მეხსიერების ადგილებს“ წარმოადგენდა. ასეთივე ფუნქცია გააჩნდა საბჭოთა ბიბლიოთეკებსაც.

საბჭოთა კავშირის სათავეში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლასთან ერთად დაწყებული გარდაქმნის პოლიტიკის ერთ-ერთ ნაწილად საჯაროობა იქცა. იგი ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე ღიად საუბარს გულისხმობდა. სხვა საკითხებთან ერთად, საჯაროობა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებულ პრობლემებსა და საკამათო საკითხებსაც შეეხო. 1987 წლის თებერვალში გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ისტორიაში „თეთრი ლაქების“ ადგილი არ იყო (Davies, 1989), რასაც ისტორიის გამაღებელი შესწავლა და გადაფასება მოჰყვა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კომუნისტური რეჟიმის პირობებში "დავიწყებული" ისტორიული მეხსიერების დაბრუნება გახდა, რაც უპირველესად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის წინ წამოწევას და საბჭოთა მმართველობის დანაშაულებრივი სახის ჩვენებას ითვალისწინებდა. პროცესში ისტორიკოსები ჩაერთვნენ. პოსტსაბჭოთა საქართველოში საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ყურადღება გამახვილდა იმ ისტორიულ ნარატივებზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კონკრეტული გეოპოლიტიკური არეალისთვის გავლენის მოხდენაზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოების შესწავლის მიზნით არაერთი კვლევა ჩატარდა, რათა გაერკვიათ როგორ აღიქვამენ ეს ქვეყნები საკუთარ წარსულს. „საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ცენტრისა“ და „ევრაზიის მონიტორის“ მიერ 12 საბჭოთა სახელმწიფოს 187 სასკოლო სახელმძღვანელო კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიები მორგებულია „ნაციონალურ ინტერესებს“ და რიგ შემთხვევებში ფაქტები გაყალბებულია. გამონაკლისს მხოლოდ ბელორუსისა და სომხეთის სახელმწიფოები წარმოადგენს. მაგალითად, აზერბაიჯანის მე-6 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს მიხედვით, აზერბაიჯანელთა წინაპრები შუმერების თამედროვენი არიან, რადგან თავდაპირველი ცნობები მათ შესახებ შუმერულ ეპოსებში გვხვდება. საქართველოს ისტორიის რუკებში კი, ქვეყნის ფარგლებში არის მოხსენიებული თანამედროვე აზერბაიჯანის, რუსეთის და თურქეთის ტერიტორიები. კვლევის დასკვნით, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები რუსეთს ბრალს სდებს გენოციდში. ყირგიზეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში სსრკ-ს და რუსეთის მთელი პოლიტიკა ამგვარადაა შეფასებული. რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის შეფასებას, თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი საქართველოს, მოლდავეთის და უზბეკეთის სახელმძღვანელოები საბჭოთა რუსეთს აგრესორად მიიჩნევენ და ფაშისტურ გერმანიასთან ერთად თანაბარ ბრალს სდებენ ომის დაწყებაში. საქართველოში უკვე პირველი კლასის სახელმძღვანელოდანვე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე არის საუბარი, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს მიიღეს. კონკრეტულად ნათქვამია 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა შეირაღებული აგრესიის გზით ოკუპაცია განახორციელა, რასაც შემდგომ ფიზიკური ანექსია მოჰყვა. საქართველოს მთელს ყოფნას საბჭოთა კავშირში თან სდევდა სისხლიანი ტერორი და რეპრესიები და ა.შ. კვლევის ავტორების თქმით, სახელმძღვანელოში საერთოდ არ არის ნახსენები თუ რა სარგებელი მიიღეს ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებმა (ქარაია, 2017).

აუგუსტუსის უნივერსიტეტის (გერმანია) ფილოსოფიის დოქტორის და კავკასიაში საბჭოთა წარსულის მეხსიერების კვლევების ავტორის ოლივერ რაისნერის თანახმად, საქართველოს შემთხვევაში, არსებობს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების სამი განსხვავებული თაობა. ისტორიის სახელმძღვანელოების პირველი თაობა, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა სახელმძღვანელოების

განახლებულ ვერსიას, სადაც მხოლოდ სიმბოლოები და ტერმინები შეიცვალა. მეორე თაობის სახელმძღვანელოები - დისიდენტური განწყობით, რაც მიზნად ისახავდა პატრიოტული გრძნობების გაღვივებას და მესამე თაობის სახელმძღვანელოები, სადაც უფრო მეტადაა გამოკვეთილი კრიტიკული ანალიზის საწყისები (Reisner, 2019).

ისტორიის სახელმძღვანელოები, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალევე გამოქვეყნდა, ახლად დაბეჭდილ ძველ სახელმძღვანელოებს წარმოადგენდა, სადაც მხოლოდ სახელმწიფო სიმბოლოები იყო ჩანაცვლებული და საბჭოთა კავშირის ზოგიერთი მოძველებული ტექსტი შეცვლილი სიტყვებით - „დამოუკიდებელი საქართველო“.

90-იანი წლების ბოლოდან საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში შემოდის ეროვნული ნარატივი "დისიდენტური" გადმოსახედიდან, სადაც ქართველები წარმოჩენილია ეროვნულ გმირებად, რომლებიც იბრძოდნენ უცხოელი დაპყრობლების წინააღმდეგ. რუსეთი წარმოდგენლია როგორც აგრესიული ძალა, რომელმაც 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დაარღვია და დაცვის ნაცვლად საქართველოს ანექსია ორჯერ მოახდინა - 1801 წელს (ქართლ-კახეთი) და 1921 წელს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა). საბჭოთა კავშირი წარმოჩენილია, როგორც რუსეთის მიერ გაფართოება, ქართველი ერის დამორჩილებით. ეს წიგნები არ საუბრობდა საქართველოს მონაწილეობის შესახებ საბჭოთა იმპერიის მართვაში, სადაც ქართველები მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ როგორც ბოლშევიკური პარტიის, ისე სამხედრო და საიდუმლო სამსახურებში (NKVD). მე -20 საუკუნის საქართველოს ისტორია, როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილი, ძირითადად იგნორირებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქართველი გახდა "დიდი ტერორის" მსხვერპლი. ამდენად, 1990-იანი წლების ბოლოს სახელმძღვანელოები მიზნად ისახავდა პატრიოტული გრძნობების განმტკიცებას იმ სერიოზული და ტრავმული დამარცხებების საპირწონედ, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს სახელმწიფო მშენებლობაში იყო. ახლო წარსულის ყველა პრობლემის სათავედ წარმოჩენილია რუსეთი, ხოლო ქართველები განთავისუფლებულია ყველა პასუხისმგებლობისგან, რაც წინა ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა.

ზოგადად, პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობამ უმაღლესი განათლების რეფორმების რამდენიმე ეტაპი გაიარეს და ძირითადად, დასავლური განათლების სისტემის იზიარებდნენ. საქართველოში საგანმანათლებლო სფეროში ფართომასშტაბიანი რეფორმების დაწყება 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“ უკავშირდება, რადგან სწორედ ამ პერიოდში ინიცირდა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ განათლების სისტემასთან დაახლოება. 2004-2009 წლებში განათლების რეფორმა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით განხორციელდა: ზოგადი განათლება ანუ სკოლები, უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლება და სკოლამდელი განათლების რეფორმა. რეფორმა მიზნად ისახავდა კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების წახალისებას, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვასა და ცოდნასთან ერთად უნარ-ჩვევების განვითარებას. ამავდროულად, რეფორმა გატარდა მეცნიერების კუთხითაც, რაც უმაღლესი განათლების სფეროს რეფორმას მჭიდროდ უკავშირდება.

რაისნერი აღნიშნავს, რომ უახლესი, მესამე თაობის სახელმძღვანელოები საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მიდგომის სერიოზულ ცვლილებებს ასახავს ისტორიის სწავლებასა და სწავლის პროცესში. თუმცა, ბევრი ახალ სახელმძღვანელოში კვლავ ნაკლებად არის წარმოდგენილი უმცირესობების საკითხი. მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ ახალ სახელმძღვანელოები არ ეყრდნობა ახალ კვლევებსა ან ისტორიულ სინთეზს, განსაკუთრებით, სტალინიზმის შესახებ საქართველოში. ამიტომ, ახლად შემოღებული ისტორიის სასწავლო გეგმები არ არის სრულყოფილი და საჭიროებს გადასინჯვას და გულწრფელ უკუკავშირს ისტორიის მასწავლებლებისგან.

კვლევის ფარგლებში, ჩვენ გადავხედეთ ისტორიის იმ სახელმძღვანელოებს, რომლითაც დღეს სწავლობენ საჯარო სკოლებში ახალგაზრდები საქართველოს ისტორიას. რეპრესიებს ეხება მეცხრე და მეათე კლასის სახელმძღვანელოები, სადაც კვლავ ძირითადი აქცენტი ინტელიგენციის რეპრესიებზე კეთდება და მხოლოდ ერთი წინადადებით არის ნახსენები საზოგადოების არაპრივილეგირებული ნაწილიც, რომლებიც ტერორის მსხვერპლი გახდნენ და რომელსაც პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდათ საერთო. 2004 წელს სტუდენტებისთვის შექმნილ საქართველოს ისტორიის წიგნი, რომელიც მეოცე საუკუნეს აღწერს, ძირითადად საბჭოთა ანექსიას

და იმ ბიუროკრატიული მექანიზმების ჩამოყალიბებას აღწერს. რეპრესიების ქვეთავი კვლავ ინტელიგენციის დევნაზე აკეთებს აქცენტს და დანაშაულებრივი რეჟიმის შექმნას კვლავ რამდენიმე პიროვნების ბიოგრაფიათა ჭრილში განიხილვს. არც თანამედროვე კვლევები და ქართველ ჩინოვნიკთა მონაწილეობა არის ასახული რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერებაში. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა ნაწილი (გურული 2003:138; ჯანელიძე, 2012:347) მიუთითებს, რომ რეპრესიებმა მოიცვა საზოგადოების თითქმის ყველა სოციალური ფენა, მაგრამ საკითხის განვრცობა აღარ ხდება.

საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემულ მასალებს კრიტიკულად აფასებენ სკოლის პედაგოგებიც. მათი აზრით, დღეს არსებულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ქვეყნის ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტების დიდი ნაწილი უგულებელყოფილია. ამასთან, საქართველოს ისტორია სკოლაში მხოლოდ მე-9 კლასში ისწავლება, მე-11 კლასის სახელმძღვანელოში კი მხოლოდ რამდენიმე საკითხია შეტანილი.

ბათუმის #16 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლის ხათუნა ჯანელიძის აზრით, თანამედროვე მოსწავლეებს ყველაზე მეტად მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გააზრება და დამახსოვრება უჭირთ: „ცუდად იციან რეპრესიების პერიოდიც. მე ვაბრალებ იმას, რომ ამის შესახებ ისწავლება მხოლოდ ერთ კლასში და ისიც არა ამომწურავად. მხოლოდ სამოქალაქო განათლების საგანშია შეტანილი პიროვნების კულტი – სტალინის ამბავი იქ შეიძლება გაიხსენო, სხვაგან არსად“ („ბათუმელები“, 2016).

პედაგოგის თქმით, 9 აპრილის საკითხი მხოლოდ მე-9 კლასის ისტორიაშია შესული და იმდენად მშრალად, რომ შესაძლებელია არც კი დარჩეს მოსწავლეს მეხსიერებაში. ასეთივე მშრალადაა გადმოცემული სახელმძღვანელოში 9 მარტის ტრაგედიისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი, გასაბჭოება და ა.შ.

მასწავლებელთა აზრით, მოსწავლეებს თემის მიმართ მგრძნობელობა მაშინ უფრო უჩნდებათ, თუ დამატებით წყაროებად მხატვრული ფილმი, მხატვრული ნაწარმოები ან ფოტომასალაა გამოყენებული. საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის ნაწილში, ერთ-ერთ დამატებით წყაროდ სახელმძღვანელოში მითითებულია თენგიზ

აბულაძის ფილმი „მონანიება“. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეების დიდ ნაწილს, არც მე-9 და არც მე-11 კლასში ეს ფილმი ნანახი არ ჰქონდათ.

ისტორიის მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებმა პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსაზრებები უნდა გაითვალისწინონ. მათი თქმით, წლების წინ მოისმინეს კიდევ პედაგოგების მოსაზრებები ავტორებმა, თუმცა არ გაითვალისწინებიათ.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში რეპრესიების პერიოდის არასრულფასოვან სწავლებაზე საუბრობს ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი. სასკოლო სახელმძღვანელოებში რეპრესიების პერიოდის შესახებ ჩანაწერები შემოიფარგლება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პროცესის აღწერითა და ინტელიგენციის მიმართ გატარებული რეპრესიული პოლიტიკის კონტექსტით. სულ ერთი წინადადებით გვხდება ჩანაწერები ზოგიერთ მათგანში საზოგადოების სხვა ფენის მიმართ გატარებული რესპრესიული პოლიტიკის შესახებ, თუმცა ეს თხრობა აღარ გრძელდება, იგნორირებულია ეთნიკური უმცირესობების მიმართ გატარებული რეპრესიები და მის შესახებ ახალგაზრდა თაობას თითქმის არაფერი სმენია (Хвадагани, 2016). არც უმაღლეს სასწავლებლებშია ამ მხრივ სახარბიელო სიტუცია. ამჟამად მოქმედი რამდენიმე ათეული უნივერსიტეტიდან მხოლოდ ერთში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს საბჭოთა წარსულის კვლევის სამაგისტრო პროგრამა (ჯავახიშვილი, 2017).

ამდენად, საშუალო სკოლის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების ცვლილება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის თანამდევი ნაწილია და შესაბამისად, მოვლენები სხვადასხვა სფეროში პარალელურად ვითარდება. ბოლო 20 წლის განმავლობაში ისტორიის სახელმძღვანელოების განვითარება რამდენიმე იდეოლოგიურ პარადიგმას წარმოგვიდგენს:

1. ეთნო-ნაციონალისტური პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ნარატივები უფრო მეტად წარმოაჩენს ეთნიკური ქართველების როლს. ნაკლებად და თითქმის არ უსვამს ხაზს ეთნიკური უმცირესობის როლს სახელმწიფოს მშენებლობაში;

2. ჰეგემონური ნაციონალიზმის პარადიგმა, რომელიც ასახავს სოციალური ისტორიის ნაკლებობას (თითქმის არარსებობას) საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში. საქართველოს ისტორია გაჯერებულია მეფეების, იერარქების, არისტოკრატების როლით და უგულებელყოფილია სხვა სოციალური კლასი;

3. სოციალური კონსტრუქტივიზმის პარადიგმა, რომელიც თავის თავში მოიცავს სასწავლო პროცესის აქტორებისა და დონეების გააზრებას.

კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში, სკოლის სახელმძღვანელოების, ქრონიკების თუ სხვადასხვა სახის ნარატივის პარალელურად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელოვნება და მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც ტოტალიტარული მთავრობები აქტიურად „იყენებენ“, როგორც მანიპულირების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

მომდევნო სათაურში განხილულია, როგორ აისახა პოლიტიკური რეპრესიები ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში, რატომ არ გვხვდება საბჭოთა წარსულის მემორიზაცია კინოხელოვნებაში, სადაც პრეცედენტს თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი „მონანიება“ წარმოადგენს და ზოგადად, რა ემართება ხელოვნებას პოლიტიკური ტერორის პირობებში.

2.3. პოლიტიკური რეპრესიების ასახვა მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში

მწერლობა, მხატვრობა, თეატრი ერთადერთი საბრძოლო ასპარეზი იყო, სადაც ქართველი მოღვაწეები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ, ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების დარტყმის ობიექტი სწორედ ეს სფეროები გახდა. 1921 წლის შემდეგ, ხელოვნების ყველა დარგი მოექცა იდეოლოგიის ქვეშ. ყველაფერი შემოქმედებითი მოკვდა, რაც სოციალიზმის მიღმა იყო, რასაც მოჰყვა 1937 წლის რეპრესიები და შემდგომი მოვლენები.

1936 წლის მიწურულს და 1937 წლის დასაწყისში, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში და ცხადია, საქართველოშიც მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო, ქართველი მწერლების დიდმა ნაწილმა საბჭოთა კურსს მხარი აქტიურად დაუჭირა. იკრიბებოდნენ მწერალთა კავშირში და პარტიის მიერ დაკვეთილ საკითხებს

განიხილავდნენ. ეს მასალები ასახულია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, სადაც პირველი ინფორმაცია 1936 წლის 16 აგვისტოს ნომერში გვხვდება. დაბეჭდილია გაზეთ „პრავდას“ სტატიის „ხალხის მტრებს დანაშაულზე წაასწრეს“ თარგმანი, რომელსაც მწერალთა დიდი გუნდი მხარს უჭერდა. 1937 წლის 30 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილია „ქართველი მწერლების მიმართვა ამხ. ლავრენტი ბერიასადმი“, სადაც საუბარია „ტროცკისტთა ბუნაგში აღმოჩენილ ხალხის მტერზე“ ბუდუ მდივანზე. ბუდუ მდივანს გმობს – მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ბააზოვი, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ალიო მაშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, დემნა შენგელაია, სიმონ წვერავა, ირაკლი აბაშიძე. გაზეთი ამ თემაზე შემდგომ თვეებშიც აგრძელებს სტატიების გამოქვეყნებას.

1937 წლის 30 ივნისის „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს გიორგი ნატროშვილის სტატიას „ხალხის მტერი მწერლის ნილაბში“ – „მიწიშვილი,¹ რომელმაც საერთო ენა გამონახა ხალხის სამგზის და გათახსირებულ მტრებთან, თავის შემოქმედებით იდეებს ყოველთვის უხვად სესხულობდა დეკადენტური ლიტერატურიდან“ და ა.შ. (ბექირიშვილი, 2011).

როგორი იყო ქართული მწერლობა საბჭოთა კავშირის დროს კარგად არის აღწერილი აკაკი ბაქრაძის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ (ბაქრაძე, 1990), რომელშიც გარდა ანეკდოტური მომენტებისა, მოცემულია მნიშვნელოვანი საარქივო მასალა. ქართული მწერლობა 1900-იანი წლების დასაწყისსა და დამოუკიდებლობის პირველ წლებში აღწერილია ბელა წიფურიას ნაშრომებში, რომელიც XX და XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურას იკვლევს (წიფურია, 2016).

ბელა წიფურიას თანახმად, 1910-20-იანი წლების ქართულ მწერლობაში ცოცხალი ლიტერატურული პროცესი მიმდინარეობდა, საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ჩნდება მოდერნისტულ-ავანგარდისტული მიმდინარეობები, გამოიცემოდა რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალი (მაგ.: ფუტურისტული ჟურნალი **H2SO4**, რომელიც 1924 წელს დაარსდა), რომელთა ირგვლივ გაერთიანებული იყვნენ მწერლები. 1932 წლამდე საქართველოში

¹ ნიკოლო მიწიშვილი - „ცისფერყანწელთა ორდენის“ წევრი და ლიტვონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რედაქტორობდა ჟურნალ „ქართულ მწერლობას“.

ევროპული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის გავლენით, ჯერ კიდევ არსებობდა მწერალთა რამდენიმე ჯგუფი - **ცისფერყანწლები**, **აკადემიური ასოციაცია**, თეატრში - „დურუჯი“ და ა.შ. მათ მოახერხეს სინქრონიზაცია ამ პერიოდის დასავლეთის კულტურასთან, რაც კატეგორიულად შეწყდა საბჭოთა პერიოდში, მოხდა მოდერნისტული და ავანგარდისტული ესთეტიკის ტაბუირება და კულტურული მეხსიერების წაშლა. 1932 წელს დაარსდა მწერალთა კავშირი, რომელიც მთლიანად იდეოლოგიზებული იყო და სრულიად „ალაგმა“ ლიტერატურული აზროვნების თავისუფლება, აიკრძალა ლიტერატურული დაჯგუფებები, რომლებიც იძულებული გახდნენ ცენტრალიზებული მართვის მოდელის მქონე საერთო კავშირში გაერთიანებულიყვნენ. სოციალისტური რეალიზმი გახდა ერთადერთი და უალტერნატივო ლიტერატურული მიმდინარეობა. 30-იან წლებში მწერალთა კავშირში გაწევრიანება ნიშნავდა საბჭოთა იდეოლოგიისადმი მორჩილებას - მწერლები პარტიის იდეოლოგებად და მითების შემქმნელ აგიტატორებად იქცნენ (ბეჟირიშვილი, 2011).

ამდენად, 1900-იანი წლების დასაწყისში, მწერლები, რომლებიც მაშინდელი ევროპისთვის დამახასიათებელი მიმდინარეობებისა და იდეების (ფუტურისტები, დადაისტები, სიმბოლისტები) მიმდევრები იყვნენ და ქართულ ლიტერატურაში საინტერესო პროცესებს ქმნიდნენ, 1937 წლის მოვლენების შედეგად ფიზიკურად განადგურდნენ ან „სოციალისტური რეალიზმის“ მიმდევრებად იქცნენ.

პაოლო იაშვილს ისტორია იცნობს, როგორც რეპრესიების მსხვერპლს. 1924 წელს მას ძმა დაუხვრიტეს, მუდმივად ავიწროებდნენ, დაკითხვაზე ატარებდნენ, სხვადასხვა ბრალდებას უყენებდნენ. მწერლის მიმართ წარმოებული წნეხი 1937 წელს მწერალთა კავშირში თვითმკვლელობით დასრულდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ოქმი, სადაც ვკითხულობთ: "გამოაშკარავებული ჯაშუშის და სახელმწიფოს მტრის, პ. იაშვილის თვითმკვლელობა, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული გამოხტომაა, შესაბამისად, დაიკრძალოს როგორც ხალხის მტერი. ლავრენტი ბერიას დაევალოს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს მიაწოდოს ინფორმაცია პ.იაშვილის კონტრრევოლუციურ, ჯაშუშურ და მავნებლურ საქმიანობაზე". პაოლო

იაშვილის სახელის რეაბილიტაცია მოხდა 1954 წელს, გარდაცვალებიდან მხოლოდ 17 წლის შემდეგ. თუმცა მის შემოქმედებას თუ გადავხედავთ, ძალიან არაბუნებრივ კონტრასტს შევამჩნევთ 1910-იან წლებში პარიზიდან დაბრუნებული პაოლო იაშვილის შემოქმედებასა და მოგვიანებით მის კომფორმისტულ ლექსებს შორის, მაგალითად, როგორიცაა „ახალ საქართველოს“. 1927 წელს ის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად და თბილისის საბჭოს წევრად, ხოლო 1934 წელს – ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის - ცაკის წევრადც აირჩიეს, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. მართალია, ქართულ ვიკიპედიაში ვკითხულობთ, რომ პაოლო იაშვილი გულწრფელად მიემხრო საქართველოს გასაბჭოებას, მაგრამ სინამდვილეში ნათელია, რომ ეს არის ტოტალური ტერორის შედეგები.

ამდენად, 1917-1920 წლების და მთელი შემდგომი ხანის ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საბჭოთა პროპაგანდა. საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ძნელია დავასახელოთ მწერალი, რომელსაც საბჭოთა სისტემისთვის რაიმე არ მიეძღვნას. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, რომელიც 1921 წლიდან 1971 წლებს მოიცავს, ნათლად ასახავს საბჭოთა საზოგადოების მიერ განვლილ პერიოდს. მაგალითისთვის გამოდგება 1950 წელს იოსებ გრიშაშვილის მიერ „ბელადისადმი“ მიძღვილი ლექსი „ლენინი სამგორში“:

“მაშინ პირველად ვნახე ლენინი
მაშინ თბილისიც პირველად ვნახე.
იდგა ლენინი კაშხალის თავზე
და გაჰყურებდა მტკვარს ხელგაწვდილი.
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი,
იორზეც მოჩანს ვით ცისარტყელა.”

ქართულ ლიტერატურაში ძალიან ბევრია მაგალითები იმისა, თუ რა ემართება მწერალს დიდი ტერორის პირობებში. საქართველოში ლიტერატურული პროცესების მრავალფეროვნების შემქმნელი მწერლები დიდმა ტერორმა გაანადგურა ან საბჭოთა

მწერლებად აქცია. ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესს ნათლად წარმოაჩენს ქართველი მწერლის მარიჯანის - მარიამ ტყემალაძის შემოქმედება, რომელიც დაახლოებით 1924 წლამდე ეროტიკულ ლექსებს წერდა, ხოლო შემდგომ საბავშვო პოეტი ხდება და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც ის ასე არის მოხსენიებული (გაბუნია, 2017).

მიხეილ ჯავახიშვილსაც უწევდა საბჭოთა ცენზურასთან ბრძოლა სიცოცხლის ბოლო წლებში. 1936 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი „ქალის ტვირთი“, რომელმაც ბოლშევიკი აქტივისტების დიდი კრიტიკა დაიმსახურა. ასევე, ჯავახიშვილს ბრალად სდებდნენ, რომ მან გრიგოლ რობაქიძე გააფრთხილა მისი შესაძლო დაპატიმრების თაობაზე და გაქცევაში დაეხმარა. ბოლოს კი, ჯავახიშვილი ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა მწერალთა კავშირში, რომელმაც პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შემდეგ პოეტის გადაწყვეტილება გაამართლა და მას მხარი დაუჭირა. ამის გამო იგი განდევნეს მწერალთა კავშირიდან და მალევე დააპატიმრეს, როგორც კონტრრევოლუციონერი ტერორისტი. ერთი ვერსიით, პატიმრობაში იგი ბერიას თანდასწრებით სასტიკად აწამეს, „აღიარებაზე“ მოაწერინეს ხელი და ბოლოს, 1937 წლის 30 სექტემბერს დახვრიტეს. დახვრეტის შემდეგ, მწერლის არქივი სრულად გაანადგურეს, რეპრესიებში მოყვა მისი ოჯახიც, ცენზურას დაექვემდებარა მისი ნაშრომები, რაც მხოლოდ 1950-იან წლებში შეწყდა და ხელახლა დაიწყო მისი ნაწარმოებების გამოქვეყნება;

1937 წელს დაახლოებით 120 მწერალი გაანადგურეს სხვადასხვა ფორმით. ნაციონალისტურ-ფაშისტური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს ტიციან ტაბიძე. ნათესავებს განუცხადეს, რომ 1939 წელს 17 დეკემბერს ფილტვების კრუპოზული ანთებით გარდაიცვალა. სიკვდილი დარეგისტრირებულია ქ. თბილისის, ყოფილი კალინინის რაიონის მმჩის ბიუროში. 1954 წელს მის რეაბილიტაციამდე, ტიციან ტაბიძის ნაშრომები აკრძალული იყო საბჭოთა ცენზურის მიერ.

მის საბრალდებო ოქმში ვკითხულობთ:

„ტაბიძე ტიციან იუსტინეს-ძე

1937 წლის 22 ნოემბრის სია, ხელმოწერა: სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი

დაბადების თარიღი: 1893 წ.
ეროვნება: ქართველი
საცხოვრ. ადგილი: ქ. თბილისი, საქართველოს სსრ, გრიბოედოვის ქ. №18
განათლება: უმაღლესი
სოც. წარმომავლობა: სასულიერო წოდების
პარტიულობა: უპარტიო
სამუშაო ადგილი: პოეტი, საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.
განყოფილება: შინსახკომის მე-4 განყოფილება
გაასამართლა: შინსახკომის სამეული 1937 წ.
მომხსენებელი: ქადაგიშვილი
მონაწილეობდნენ: გოგლიძე, ტალახაძე, მოროზოვი
ბრალად ედება: რომ იყო საქართველოს ნაციონალისტურ-ფაშისტური
ორგანიზაციის აქტიური წევრი. მავნებლობდა ხელოვნებისა და კულტურის
სფეროში. ასევე ჯაშუშობდა საფრანგეთის დაზვერვის სასარგებლოდ.
მუხლი: 58-6, 58-7, 58-11
სასჯელის ზომა: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
დაპატიმრების თარიღი: 10/09/1937
სხდომის თარიღი: 12/15/1937

ლიტერატურის ტოტალური კონტროლი დაიწყო 1922 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო „მთავლიტი“. „საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის“ ინფორმაციით, მხოლოდ 1927-1947 წლებში მთავლიტის თანამშრომლების რაოდენობა 86-დან 6453-მდე გაიზარდა. მისი ცენზორები წყვეტდნენ საბჭოთა თუ უცხოური წიგნების გამოცემის ან აკრძალვის საკითხს.

საბჭოთა კავშირში აკრძალულ წიგნებს შორის იყო გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და „გველის პერანგი“. იგი 1931 წელს წავიდა გერმანიაში, სადაც 1946 წლამდე ცხოვრობდა, 1946 წლიდან კი - შვეიცარიაში. „ჩაკლული სული“ 1932 წელს დაიწერა და ერთი წლის შემდეგ გამოიცა გერმანიაში. იგივე ბედი ეწია რომანს „გველის პერანგი“. წიგნი 1926 წელს გამოიცა, რომელსაც

დიდი კრიტიკა შეხვდა, როგორც ბოლშევიკ მწერალთა რიგებში, ისე საბჭოთა ცენზურის მხრიდან;

აკრძალული იყო ქართველი ლიტერატურათმცოდნეს, მთარგმნელის და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის ერეკლე ტატიშვილის თარგმანები. 1931 წელს ხელისუფლებამ დაშალა „ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაცია“ და სხვებთან ერთად, ერეკლე ტატიშვილი გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან. ერეკლე ტატიშვილმა თარგმნა ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობა“, მაგრამ გამოსაცემად გამზადებული წიგნი სტამბაში „დაიკარგა“. ასევე, თარგმნა რამდენიმე პიესა – ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (პირველად დაიდგა 1935 წელს), ბერნად შოუს „კეისარი და კლეოპატრა“, რომლის დადგმაც ვეღარ მოხერხდა, მოგვიანებით მხოლოდ დაიბეჭდა. დღემდე მიუკვლეველია მაქსიმ გორკის „ეგორ ბულიჩოვის“ თარგმანის დედანი. მკვლევრების აზრით, ერეკლე ტატიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური რომანის „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ თარგმანი. სწორედ ეს წიგნი იყო მისი გარდაცვალების შემდეგაც, წლების მანძილზე აკრძალული. საბოლოოდ, იგი 1941 წელს დააპატიმრეს და საპატიმროში ორ წელზე მეტი გაატარა. იქიდან გამოსვლის შემდეგ კი დიდხანს აღარ უცოცხლია და 1946 წელს გარდაიცვალა. რამდენიმე მისი ნაშრომი დღემდე დაკარგულად ითვლება;

საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო: ჯორჯ ორუელის „ცხოველთა ფერმა“, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“, ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტა“, ჰერბერტ უელსის „რუსეთი ბინდში“, ვასილი გროსმანის „ცხოვრება და ბედი“, მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ (1936 წელს ასევე დახურეს ბულგაკოვის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები, „მოლიერი“, „პუშკინი“. „ივან ილიჩი“), ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“. აკრძალული იყო ალექსანდრე სოლჟენიცინის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორი ღიად აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმს. ასევე, აკრძალული იყო ემიგრირებული მწერლების ტირაჟირებაც, მათ შორის - ვლადიმერ ნაბოკოვი და ივანე ბუნინი. ცენზურის ქვეშ იბეჭდებოდა ან საერთოდ არ ქვეყნდებოდა ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას ნაწარმოებები. პოეტებს ემიგრაციაში წასვლა მოუწიათ.

საბჭოთა სისტემამ შექმნა „საბავშვო ლიტერატურის შემსწავლელი კომისია“, რომელმაც დაახლოებით 70 საბავშვო წიგნის გამოყენება აკრძალა. მათ შორის: ქ. შმიდტის - „მტრედი“, „მამის ერთგული“, „სვიის გვირგვინი“; კ. კარდანახელის - „საადღმომო საჩუქარი ანუ ბედდაკარგული“, ი. გოგებაშვილის - „ასპინძის ომი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „თავდადებულნი ქართველნი“, „სხივი წარსულისა“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, „საყმაწვილო კონა“ და სხვ., გ. წერეთელის - „ჩვენი ძველი გმირები“, „ლომკაცი“, შიო მღვიმელის - „სამი ცელქი“, „ძუნწი“, „ნაცარა“, „ოქროს თავთავი“, გოეთეს „რეინეკე კუდა მელა“, ანდერსენის ზღაპრები და ა.შ.

საბჭოთა ლიტერატურული გმირი აუცილებლად დადებითი უნდა ყოფილიყო, ამიტომ იქმნებოდა ახალი ლიტერატურული გმირები ისეთ რომანებში, როგორიცაა „მარადისობის კანონი“, „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“, „აქტიური მზის წელიწადი“, „კაპიტანი ბუხაიძე“, „არ დაიდარდო, დედაო“ და სხვ.

ახალი ადამიანის ფორმირებას, საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებას ეძღვნება ლეო ქიაჩელის ნაწარმოები „გვადი ბიგვა“. ამ ფონზე წინა პლანზეა წამოწეული „ახალი“ ცხოვრების მოწინააღმდეგენი არჩილ ფორიას სახით, რომლებიც წარმოდგენილნი არიან, როგორც კლასობრივი მტრები. ნაწარმოები ემსახურებოდა მსგავსი „ელემენტების“ წინააღმდეგ რეპრესიების გამართლებას. ამავე საკითხს ეხება კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ მისი პირველი სახელწოდება იყო „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“. იგი კლასიკური საბჭოთა რომანია, რომელშიც ასევე აისახა კლასობრივი ბრძოლის საკითხები და ემსახურებოდა საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის გამართლებას. ნაწარმოებების ეკრანიზაციაც არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ და დესტალინიზაციის ორი ტალღის შედეგად, სტალინურ პერიოდთან შედარებით ცენზურა შედარებით ლოიალური გახდა, იგი ბოლომდე არ გაუქმებულა მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი არ დაიშალა. სწორედ საბჭოთა პერიოდს უკავშირდება სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში შორეული წარსულის დისკურსის შემოსვლა. შორეულ წარსულზე საუბარი უსაფრთხო იყო, შესაბამისად - დასაშვები. (წიფურია,

2017). ბელა წიფურია აღნიშნავს, რომ გარდა სოციალიზმის მიერ დაშვებული თემებისა, ლიტერატურაში შემოდის ისტორიული წარსულის დისკურსი. მწერლები წერდნენ მეფეებზე, მათ სიდიადესა და დიდებულ წარსულზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ფორმით ქართულ მწერლობას საშუალება მისცა „ორთქლი გამოეშვა“ და ის უსაფრთხოების დისტანციაზე შეენარჩუნებინა, რაც შემდგომ ქართული იდენტობის ნაწილი გახდა (წიფურია, 2017).

ამ პერიოდის ქართულ მწერლობისთვის დამახასიათებელი იყო სოციალისტური რეალიზმი და ნაციონალიზმი, ხოლო 60-იან წლებში, როცა რეჟიმი შედარებით შესუსტდა, ნაციონალისტური მწერლობა კიდევ უფრო გაძლიერდა. წიფურია აღნიშნავს, რომ სწორედ ნაციონალისტური დისკურსით იყო გაჯერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც, 1978 წელს ქართული ენის დაცვის მოთხოვნით დაწყებული - 9 აპრილამდე.

ამ ფონზე, საბჭოთა კავშირში არსებობდა არალეგალური გამოცემები, რომელთა მეშვეობით ვრცელდებოდა ცნობები საბჭოთა რეჟიმის სისასტიკის შესახებ, თუმცა ხრუშჩოვამდელ პერიოდში ამას ფართომასშტაბიანი სახე არ ჰქონია. სტალინის გარდაცვალებისა და სსრკ-ის სათავეში ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ, რომელმაც ე.წ. დესტალინიზაციისა და „დათბობის“ პოლიტიკა გამოაცხადა, არალეგალურმა გამოცემებმა უფრო ორგანიზებული ხასიათი შეიძინეს. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება დისიდენტური მოძრაობები სსრკ-ის მასშტაბით, რომლებიც „სამიზდატების“ რეგულარულ გამოქვეყნებასა და მოსახლეობაში გავრცელებას იწყებენ. „სამიზდატების“ ფურცლებზე ხვდებოდა როგორც რეპრესირებულთა პირადი ისტორიები, ასევე ანალიტიკური ტექსტები და აკრძალული ლიტერატურა. დისიდენტური მოძრაობის სათავეში იყვნენ აკადემიკოსი ა.სახაროვი, მწერლები ა. სოლჟენიცინი, ვ. ბუკოვსკი და სხვები. ზოგადად კი, პროცესების ამგვარ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებამ, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირმა აიღო ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვის ვალდებულება და შეიქმნა ე.წ. „ჰელსინკის ჯგუფები“, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკებში ვალდებულებების შესრულებას უწევდნენ მონიტორინგს.

სანკტ-პეტერბურგში, ნაბოკოვის სახლში დაცულია სამიზდატის მიერ გამოცემული მისი ნაშრომების რეპროდუქცია.



"სამიზდატის" მიერ გამოცემული ნაბოკოვის ნაშრომების ასლები ნაბოკოვის სახლ-მუზეუმში

საქართველოში, ეროვნული მოძრაობის ლიდერების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ინიციატივით შეიქმნა “ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფი“, 1975 წელს კი თბილისში “სამიზდატის” ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟურნალი “ოქროს საწმისი” (რედ.: ზვიად გამსახურდია) გამოიცა. ჟურნალში იბეჭდებოდა აკრძალული ლიტერატურული ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები ქართული ენისა და კულტურის დევნაზე და ა.შ. 1976 წელს, კვლავ გამსახურდიასა და კოსტავას რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომლის მეშვეობითაც ძირითადად საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი ან მათ მიერ მიჩქმალული ინფორმაცია ვრცელდებოდა. საქართველოშივე გამოიცემოდა სხვა „სამიზდატებიც“ - „სამრეკლო“ (რედაქტორები - დავით და ლევან ბერძენიშვილები, ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ შონია) და სხვ.

ამდენად, რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად მწერლები, როგორც აკაკი ბაქრაძე იტყოდა, თანდათანობით დაექვემდებარნენ „მოთვინიერებას“. მათი ნაწილი ფიზიკურად შეეწირა რეპრესიებს, ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ნაწილი კი ნელ-ნელა ჩადგა პროპაგანდის სამსახურში.

მართალია, პოსტსტალინური პერიოდი აღარ იყო ისეთი მკაცრი, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ყველა ინსტიტუციური და ფინანსური ბერკეტი, რამაც 90-იან წლებამდე იარსება. 1980-იან წლებში დაიწყო მცდელობა და 1990 წლებში უკვე მძლავრად ამუშავდა მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის აქტიური მთარგმნელები. წიფურიას თანახმად, „ორდენების“ შექმნით ხდებოდა მცდელობა აღედგინათ 1910-იანი და 1920-იანი წლების ნაწილის ჯგუფური საქმიანობის გამოცდილება. 90-იანი წლების ავანგარდისტული ჯგუფი „რეაქტიული კლუბი“, „მარად ახალი ქნარი“ სწორედ სიმბოლისტური ჯგუფის „ცისფერყანწელების“ გავლენით და მწერალთა კავშირის საპირწონედ შეიქმნა, სადაც საქმიანობა ხდებოდა ჯგუფის სახელით (წიფურია 2017).

რეპრესიებს გადარჩენილი საბჭოთა პერიოდის მწერლები, შიშის გავლენით თავს არიდებდნენ საბჭოთა ტერორზე წერას. ერთადერთი ლიტერატურული შემთხვევა არსებობს, როცა მწერალმა აღიარება გააკეთა. ანა ახმატოვამ, რომელსაც სტალინზე ლექსების წერა უწევდა, მოგვიანებით თქვა, რომ თავადაც იქ იყო, სადაც მისი ხალხი და რეჟიმის წინააღმდეგ ვერაფერი გააკეთა (ბეჩირიშვილი, 2011).

Реквием

Нет, и не под чуждым небосводом,

И не под защитой чуждых крыл, —

Я была тогда с моим народом,

Там, где мой народ, к несчастью, был (Ахматова, 1961).

მემორიალური წიგნები არ შექმნილა მოგვიანო პერიოდშიც, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა. მათ შორის არის ავთო ქურხულის წიგნი „და რომ გვახსოვდეს“, რომელიც ეძღვნება 1921-53 წლებში რეპრესირებული ექიმების ხსოვნას (ქურხული, 2004).

გარდა მხატვრული ლიტერატურისა, საბჭოთა ტერორი შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და დარგს, მათ შორის, თეატრსა და კინოს. სწორედ ამ დიდი ტერორის შედეგებით აიხსნება პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, რომელიც ცალსახად იდეოლოგიზებულია და აბსოლუტურად განსხვავდება 1918 წლამდე დაწერილი მისი იმპრესიონისტული პიესებისგან, მაგალითად, როგორიცაა „გათენებამდის“.

1921 წლის 2 მარტს დაარსდა ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირი, რომელსაც განსაზღვრული მისია ჰქონდა. შეიქმნა საბჭოთა თეატრის ზოგადი მოდელი. გარდა ბელადის თემისა, პიესები იდგმებოდა საკოლმეურნეო თემაზე, მუშებისა და ინტელიგენციის ცხოვრებაზე. ქართულმა საბჭოთა თეატრმა მასობრივი ხასიათი მიიღო. გაზეთ “კომუნისტში” (#7) გამოქვეყნდა კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც გამოხატავდა ხელოვნების მოღვაწეთა სურვილსა და მზაობას, მხარში ამოდგომოდნენ საბჭოთა საქართველოს ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული საბჭოთა თეატრის როლი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რომელსაც, საბჭოთა კრიტიკოსების აზრით, განსხვავებული ფუნქცია დაეკისრა - ხალხში ჩაენერგა რწმენა და დახმარებოდა ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებაში. ქართული საბჭოთა თეატრი სწორედ ამ ამოცანას ემსახურებოდა.

საბჭოთა სისტემას არც კინოხელოვნების როლი გამოპარვია საბჭოთა იდენტობის ფორმირებაში. შედეგად, საბჭოთა კინო გადაიქცა მასობრივ სანახაობად.

პირველი ქართული საბჭოთა მხატვრული ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“ 1921 წელს 1905 წლის რევოლუციის თემაზე შეიქმნა.

საბჭოთა პერიოდში შექმნილი ფილმები პირდაპირ თუ ირიბად საბჭოთა სისტემის გამართლებასა და იდეოლოგიას ემსახურებოდა. ქართული საბჭოთა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნავდა ფილმები: „სურამის ციხე“, „წითელი ეშმაკუნები“, „გიორგი სააკაძე“, „ჭრიჭინა“, „მანანა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „კეთილი ადამიანები“, „თოჯინები იცინიან“, „ნარინჯის ველი“, „ელისო“, „თეთრი ქარავანი“ და ა.შ. „გიორგი სააკაძე“ უშუალოდ სტალინის დავალებით გადაღებული ფილმია, რომლის ბიუჯეტი 7 მილიონ მანეთს შეადგენდა. სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის შიდა თუ გარე მტრებისა და დაპირისპირებების ჩვენება მნიშვნელოვანი რეფლექსია უნდა ყოფილიყო საბჭოთა გაერთიანების დადებით კონტექსტში წარმოსაჩენად. რა თქმა უნდა, ფილმების მხატვრული ღირებულება განსხვავებულია, მაგრამ ამის განხილვა ჩვენი ნაშრომის მიზანს სცილდება.

სამაგიეროდ, ფორმალიზმის ბრალდებით აიკრძალა არაერთი ფილმი, მათ შორის: ნიკოლოზ შენგელაიას ფილმი „ელისო“, რომელიც გადაღებულია 1928 წელს,

ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით; მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე“, იგივე „მარილი სვანეთს“, გადაღებული 1930 წელს; ოთარ იოსელიანის ფილმი „აპრილი“, გადაღებული 1962 წელს; კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“; მიხეილ კალატოზიშვილის „ლურსმანი ჩექმაში“ და სხვ.

კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს მის იმ ფილმებს, რომლებიც იკრძალებოდა საბჭოთა რეჟიმის პერიოდში. „ერთი ცის ქვეშ“ არჩილ სულაკაურის მოთხრობის „ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფვიან“ მიხედვით შეიქმნა და შესაბამისად, სიუჟეტიც განსხვავებული იყო. მოსკოვის კომისიამ ჩათვალა, რომ ფილმი პაციფისტური იყო და საბჭოთა პატრიოტიზმით არ იყო გამსჭვალული. ამიტომ სიუჟეტის გადაკეთება მოუხდათ და ამავე სახელწოდების ფილმი, რომელიც ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის, შეცვლილი სცენარის მიხედვით გადაიღეს. დაბრკოლებები შეხვდა, როგორც „ცენტრის“, ასევე საზოგადოების მხრიდან რეჟისორის სხვა ფილმებსაც. მათ შორის - „როცა აყვავდა ნუში“, რომელიც ასევე აიკრძალა. „განიხილავდნენ რა იყო მორალური, ამორალური ან ცარისტული იდეოლოგიის მატარებელი, ფილმში შეიცვალა ბევრი დეტალი და ასე შედგა გადაღებები“, - იხსენებს ლანა ღოღობერიძე. ასევე, ცენზურის მოთხოვნით შეიცვალა ფილმის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ ფინალი შედარებით პოზიტიური დასასრულით, რადგან საბჭოთა კინო არ დაუშვებდა ტრაგიკულ დასასრულს. ფილმის „მე ვხედავ მზეს“ სცენარს საფუძლად ედო თამაზ ჭილაძის მოთხრობა „შუადღე“, მაგრამ საბჭოთა ცენზურის გავლენით რეჟისორმა გადაწყვიტა ფილმი „მე ვხედავ მზეს“ ნოდარ დუმბაძის იგივე სახელწოდების რომანის მიხედვით გასულიყო. ლანა ღოღობერიძის ფილმი „ვალსი პეჩორაზე“ ეძღვნება გარდაცვლილი დედის ხსოვნას, რომელიც ასევე რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ფილმში აღწერილია პირადი ისტორიები, რომლის გადატანა რეჟისორს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოუხდა.

რეჟისორების ნაწილი იძულებული გახდა, კინოს გადაღება შეეწყვიტა. მათ შორის იყო რეჟისორი მიხეილ კობახიძე, რომელსაც კინოს დამოუკიდებლად გადაღების საშუალება არ მიეცა. სამაგალითოდ დასაჯეს სერგო ფარაჯანოვიც, რომელსაც „ბროწეულის ფერის“ გადაღების შემდეგ, ჰომოსექსუალობის ბრალდებით, 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

მიუხედავად იმისა, რომ სერგეი აიზენშტეინმა რევოლუციის მთავარი ფილმი - „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ გადაიღო და პროპაგანდის სამსახურში ჩადგა, მოგვიანებით საბჭოთა ცენზორებმა მისი ფილმი „ბეჟას მდელო“ გაანადგურეს, ხოლო „ივანე მრისხანეს“ მეორე ნაწილი აიკრძალა. დასავლეთ ევროპას შეაფარა თავი რეჟისორმა ალექსანდრე დოვჟენკომაც, რომლის ფილმი „მიწას“ ცენზორებისა და პარტიის მაღალი რანგის პირთა კრიტიკის საგანი გახდა.

„საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ ის ძირითადი ბრძანებულებები, დეკრეტები, დადგენილებები და სხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც საბჭოთა ცენზურის ფუნქციონირებას განაპირობებდა.

საბჭოთა ცენზურის ქრონოლოგია ასე გამოიყურება:

- **1917 წლის ნოემბერი** - გამოიცა დეკრეტი ბეჟდვის შესახებ, რომლის საფუძველზეც 470-ზე მეტი ოპოზიციური გაზეთი დაიხურა. ამავე წელს გამოიცა დეკრეტი „განცხადებების ბეჟდვის მონოპოლიის შესახებ“, რომლის მიხედვით, განცხადებების ბეჟდვა მხოლოდ სამთავრობო გამოცემებს შეეძლოთ;
- **1918 წლის მარტი** - გამოიცა დადგენილება „კინოწარმოების კონტროლის შესახებ“, რომლითაც კერძო კინემატოგრაფები ადგილობრივ საბჭოებს დაექვემდებარა;
- **1918-1919 წწ** - მოხდა ქალაქის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია და ყველა საბეჭდი მანქანის კონფისკაცია. ამ პერიოდისთვის ყველა კინო და ფოტო სტუდია სახელმწიფოს ხელში გადავიდა;
- **1921 წლის ნოემბერი** - აიკრძალა „რეაქციული“ წიგნების ბეჟდვა, მათ შორის რელიგიური, მისტიკური, ანტისამეცნიერო, პოლიტიკურად მტრული შინაარსის წიგნები;
- **1922 წლის მაისი** - ლენინმა პერჟინსკის საიდუმლო წერილი გაუგზავნა, რომელიც „კონტრრევოლუციის მხარდამჭერი მწერლებისა და პროფესორების“ ქვეყნიდან გაძევებისთვის მომზადებას შეეხებოდა;
- **1922 წ. ივლისი** - „ყველა ტიპის ცენზურის გაერთიანების“ მიზნით, ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი

სამმართველო (მთავლიტი) შეიქმნა. მთავლიტის გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირში არ უნდა გავრცელებულიყო ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც „მტრულად“ იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ასევე იკრძალებოდა საბავშვო ლიტერატურა, რომელიც „ბურჟუაზიული მორალის“ ელემენტებს შეიცავდა და სხვა.

- **1923 წლის თებერვალი** - “მთავლიტის” ფუნქცია გაფართოვდა. შეიქმნა “რეპერტკომი”, რომლის მოვალეობებშიც სანახაობებისა და ღონისძიებების რეპერტუარის კონტროლი იყო. მუსიკალური თუ დრამატული ნაწარმოებების დადგმის გარდა, რეპერტკომი ნებისმიერი სახის საჯარო ღონისძიებებს, დაწყებული ლექციებით და მოხსენებებით, საესტრადო და საცეკვაო ღონისძიებებით დამთავრებული, აკონტროლებდა.
- **1924 წელი** - შეიქმნა “სახკინო” - პირველი ცენტრალიზებული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კინოორგანიზაცია, რომლის ფუნქცია ფილმების შინაარსის კონტროლი, ასევე საბჭოთა კინოს გავრცელება იყო;
- **1933 წლის იანვარი** - ნებართვის გაცემის გარეშე აიკრძალა სამკერდე ნიშნების, ემბლემების, ფოტოებიანი/ტექსტებიანი სამკლავურების, პოლიტიკური სკულპტურების, პოლიტიკური მოღვაწეების გამოსახულებებისა და ლოზუნგების გამოსახვა ფოსფორზე, ტექსტილზე, შუშაზე და ა.შ.
- **1939 წლის აგვისტო** - მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაფორმების შემდეგ საბჭოთა კავშირში ანტიფაშისტური ლიტერატურა აიკრძალა. ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს ანტიფაშისტური წიგნები, თეატრებიდან და კინო-გაქირავებიდან - ფაშიზმის მიმართ კრიტიკული ნაწარმოებები. აიკრძალა ჰიტლერისა და სხვა ნაცისტი ლიდერების კრიტიკა (ბაქრაძე, 2011).

ამრიგად, საბჭოთა საქართველოში განხორციელებულმა პოლიტიკურმა რეპრესიებმა ფართო ასახვა ჰპოვა მხატვრულ ლიტერატურაში, თეატრსა თუ კინოხელოვნებაში. საბჭოთა ეპოქაში ლიტერატურაც, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები და მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებები „პარტიული“ იყო, შესაბამისად გამოხატავდა ხელისუფლების იდეოლოგიურ ნებას, მაგრამ მათში მაინც ვლინდება საბჭოთა ხელისუფლების სახე. ცნობილი ქართველი მწერლები გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი,

გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები ერთგვარად საბჭოთა მწერლობას ქმნიდნენ და კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ, თუმცა ქმნიდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ორგვარად იკითხებოდა. თავადაც გაორებული იყვნენ. მათი სახით ჩვენს წინაშეა გაორებული, ზოგჯერ მერყევი შემოქმედის ტიპური მაგალითები, რომლებიც „თამაშობდნენ“ და გარკვეულწილად რისკავდნენ კიდეც. ასეთი ორმაგი ბუნება ქართული საბჭოთა ხელოვნების თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

პოსტსტალინურ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში, პიროვნების კულტის წინა პლანზე წამოწევით, ერთგვარად ჩაიკარგა პოლიტიკური ტერორის პრობლემები, რადგან სტალინის მემკვიდრეები თავად იყვნენ რეპრესიების სათავეებთან. 1970-იანი წლებიდან შეინიშნება ერთგვარი ლიბერალური დამოკიდებულება სტალინის ეპოქის მიმართ. გარდაქმნის პერიოდში და საბჭოთა იმპერიის დემონტაჟის შემდეგ პოლიტიკური რეპრესიების საკითხი კვლავ მოექცა შემოქმედთა თუ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში, მათ შორის, 2015 წელს შექმნილი დოკუმენტური ფილმების სერია: „ხანმოკლე მეოცე საუკუნე, საბჭოთა ტერორი“, „საბჭოთა საქართველო“ და ა.შ. თუმცა ბოლომდე განუსაზღვრელი დარჩა იმ დანაშაულის მასშტაბი, რომელიც 37 წლის რეპრესიების შემდეგ ქართულ ისტორიაში “ჩაკლული სულის” სახელით დარჩა.

2.4. პოლიტიკური რეპრესიები პერიოდულ პრესაში

ჯერ კიდევ დამწერლობის წარმოშობამდე, გამოსახულება ყოველთვის იყო მეხსიერების მედიუმი. მისი ფორმები - ფოტო ან ფილმი, რომელთა მონოპოლიზება ხელისუფლებას შეუძლია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური დაპირისპირებისა და ბრძოლის დროს. კოლექტიური მეხსიერებით მანიპულირების საშუალებებიდან საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული დღემდე კარგად მუშაობს და მთავრობები ეფექტურად იყენებენ მეხსიერების ტრადიციული ინსტრუმენტის – გამოსახულების თანამედროვე ვერსიებს. მასმედიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, სატელევიზიო არხები მანიპულირების იარაღად იქცევა ახალი ნაციონალური თუ ჯგუფური იდენტობების ფორმირების გზაზე. უფრო მეტიც - ხდება მათი ფაბრიკაცია. ასე იყო საბჭოთა კავშირშიც. საბჭოთა იდენტობის

ფორმირებაში ერთ-ერთი მთავარი როლი ჰქონდა საბჭოთა ტელევიზიას, რომელსაც პოლიტიკური, ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის ფუნქცია ჰქონდა. საქართველოში 1956 წელს დაიწყო ფუნქციონირება თბილისის სატელევიზიო ცენტრმა, რომელიც სხვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მაუწყებლობის მსგავსად, გამოყენებული იყო საბჭოთა იდეოლოგიის პოპულარიზაციისთვის.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში ბეჭდურ მედიას. საბჭოთა იდეოლოგიისა და ოფიციალური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას ემსახურებოდა პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთები: „საქართველოს კომუნისტი“, „Партийная жизнь“, „Правда“ და სხვ. 1955 წლის გამომცემლობა „კომუნისტის“ სტატიების კრებული „პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებიდან“ ნათელ წარმოდგენას ქმნის, თუ როგორ მიმდინარეობდა საბჭოთა იდენტობის ფორმირების პროცესი: „ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში ზუსტად ხორციელდება ერების ნებაყოფლობითი კავშირი. სკკპ ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ცარიზმი ერთმანეთს უსისინებდა მცირე ერებს, აწყობდა თათარ-სომეხთა ჟლეტას, ნერგავდა მათ შორის შურსა და მტრობას. მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებს ერთმანეთი შეაყვარა, ერთ მტკიცე, ძმურ ოჯახად გაგვკავშირებინა“ (პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებიდან, 1955: 55).

გაზეთი „კომუნისტი“, წარმოადგენდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ბეჭდვით ორგანოს და მასში ქვეყნდებოდა ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია. გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა ისტორიასთან დაკავშირებული სტატიები, როგორც სამეცნიერო, ისე ჟურნალისტური კვლევები. რედაქცია ორგანიზებას უკეთებდა მრგვალ მაგიდებს ისტორიკოსთა მონაწილეობით. გაზეთში გაშუქებული მოვლენები, პიროვნებათა ფოტოები, მათდამი მიძღვნილი სტატიები „მეხსიერების ადგილებს“ წარმოადგენდა. გაზეთი თავად იყო „მეხსიერების ადგილი“, რაც გამოიხატებოდა მის სახელწოდებასა და ლოზუნგში („პროლეტარებო ყველა


ქვეყნისა, შერტდით!“). გაზეთი ყოველდღიური იყო და საბჭოთა სისტემის მეხსიერების პოლიტიკას ასახავდა.

ასეთივე ფუნქცია ჰქონდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს. ცნობილია, 1937 წლის ლიტერატურული ჟურნალის - „მნათობის“ იანვრის გამოცემა, რომლის პირველ ფურცლებზე დაბეჭდილია ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემა „ლენინი“, ხოლო მას მოსდევს მასალა სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მთლიანობაში ამ მასალებს ლიტერატურული ჟურნალის 30-მდე გვერდი უჭირავს, რის შემდეგაც იწყება საქართველოს საბჭოთა მწერლების ცნობილი მიმართვა ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი. ამ პერიოდში შედგა რამდენიმე ხმაურიანი პოლიტიკური სასამართლო პროცესი „საბჭოთა კავშირის მტრების“ წინააღმდეგ. ქართველი მწერლები კი წუხილს გამოთქვამენ, რომ მუხანათურად მოუკლეს საბჭოთა ხალხს სერგეი კიროვი და „ხალხის მტრებისა და ჯალათების ამ გარეწართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიელთა ქართველ ნადირლებსაც, ხალხის მოსისხლე მტრისა და გამოუსწორებელი კონტრევოლუციონერი ტროცკისტის, ბუდუ მდივნის მეთაურობით“ და ა.შ. ქართველი მწერლების მიმართვას ლავრენტი ბერიასადმი ხელს აწერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი. კოლექტიურ მიმართვას მოსდევს ქართველი მწერლების გამოსვლა. პაოლო იაშვილი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ, მწერალთა სახლში მოიკლავს თავს, ამხელს ბუდუ მდივანს, მაღაქია ტოროშელიძეს და სხვებს - „ზიზღი და კრულვა შევუთვალეთ მათ და მოვითხოვთ დასჯა ისე, როგორც ხალხის დაუძინებელ მტრებს და სამშობლოს მოღალატეებს შეეფერება“. პაოლო იაშვილის შემდეგ, სიტყვით გამოდის ილო მოსაშვილი, მოსაშვილის შემდეგ - ტიციან ტაბიძე - „საბჭოთა სასამართლომ გამოუტანა სამართლიანი განაჩენი მავნებლების, ჯაშუშებისა და კონტრევოლუციურ ტროცკისტულ ბანდას. სასამართლოს განაჩენი განაჩენია ხალხისა, რომელიც დაუნდობელია თავის მოსისხლე მტრების, სოციალისტური სამშობლოს გამცემლების“. სტატიაში ასევე გვხვდება ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ლეონიძის გამოსვლები. ქართველ მწერალთა გამოსვლებს აჯამებს მწერალთა კავშირის მდივანი ბესო ჟღენტი (ბერძენიშვილი, 2018).

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1937 წლის 12 აპრილის ნომერი ასევე იუწყება, რომ გამომცემლობა „Заря Востока“-მ გამოსცა ქართულ და რუსულ ენებზე წიგნი. წიგნში დაბეჭდილია შემდეგი ლექსები და სიმღერები: შ. აფხაიძე - „სტალინი“, დ. გაჩეჩილაძე - „სტალინი“, ვ. გაფრინდაშვილი - „ოცნება ბელადზე“, „ოქტომბრის სტრიქონები“, გ. ლეონიძე - „სიმღერა ბელადზე“, სტალინს“, „სიმღერა სტალინზე“, ნ. მიწიშვილი - „სტალინი“, „პრომეთეოსი“, ი. მოსაშვილი - „ბელადს“, „სიმღერა სტალინზე“, ვ. ჟურული - „სტალინი“, გ. ტაბიძე - „სტალინი“, ტ. ტაბიძე - „სტალინის სამშობლო“, „კახელი გლეხის თქმა სტალინზე“, ს. ჩიქოვანი - „სიმღერა სტალინზე“, „ბელადის თვალი“, კ. ჭიჭინაძე - „სტალინისადმი“ და ა.შ. (ბერძენიშვილი, 2018).


1921 წელს ბათუმშიც დაარსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, რომელსაც სახელი რამდენჯერმე შეეცვალა. თავდაპირველად გაზეთს ერქვა „უწყებები“ და წარმოადგენდა ბათუმის საოლქო რევკომის და მე-11-ე წითელი არმიის პოლიტიკური განყოფილების ორგანოს, 1922 წლიდან - „პროლეტარული ბრძოლა“, 1923 წლის 29 მარტიდან - „ბრძოლა“, 1924 წლის 18 მარტიდან - „ფუხარა“ („ღარიბი“), 1929 წლის 17 მარტიდან 1936 წლის 6 თებერვლამდე - „საბჭოთა აჭარისტანი“, შემდეგ კი - „საბჭოთა აჭარა“, რომელმაც 1990 წლამდე იარსება და საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანოს წარმოადგენდა.

1937 წლის 28 ივლისის „საბჭოთა აჭარაში“ აღნიშნულია, რომ „გაზეთის თანამშრომლებად უნდა იყვნენ მხოლოდ კომუნიზმის ერთგული ადამიანები. ნამდვილ ბოლშევიკ-ჟურნალისტს არ შეუძლია დაიცვას დამპალი ნეიტრალიტეტი. იგი ვალდებულია ყოველგვარი საშუალებით მიაღწიოს იმას, რომ მისი სიტყვა პარტიის დასაცავად გაგონებულ იქნას.“ („საბჭოთა აჭარა“ (1937), 28 ივლისი).



გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1937 წლის აგვისტო, წყარო: www.netgazeti.ge

ქვემოთ მოტანილი სტატიის ავტორი აჭარის განათლების კომისარი, ილიას ქათამაძეა. ტექსტი მთლიანად საბჭოთა ნარატივს წარმოადგენს და მოგვითხრობს, როგორ „გამდრნენ“ და სკოლის ხელმძღვანელთა თუ პედაგოგთა რიგებში აღმოჩნდნენ „კონტრრევოლუციონერი ქვეწარმავლები“, „მოღალატე“ და „ხალხის მტერი“ ტროცკისტები, რამაც შეაფერხა აჭარის მაღალმთიანეთში სწავლების საქმე. სტატიის გამოქვეყნებიდან ოთხი თვის შემდეგ, თავად ქათამაძე დააპატიმრეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ბრალდებით და მიუსაჯეს დახვრეტა ქონების კონფისკაციით.



წყარო: www.netgazeti.ge

ასეთივე ბედი ეწია ბოლშევიკ ჟურნალისტებს: 1937 წელს 11 დეკემბერს „მირგამომთხრელი საქმიანობისთვის“ დახვრიტეს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგე აკაკი ხვინგია, 1938 წლის 19 იანვარს გაზეთის დროებითი რედაქტორი ალექსანდრე გოლიაძე დახვრიტეს და ჩამოართვეს პირადი ქონება. (ნეტგაზეთი, 2019).

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წელს შეიქმნა ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო „მთავლიტი“, რომელიც აკონტროლებდა საბჭოთა კავშირის მიმართ „მტრულად“ განწყობილი ნაწარმოებების, ნაშრომების თუ სტატიების გამოქვეყნებას. გარდა „მთავლიტისა“, საბჭოთა კავშირში მოქმედებდა ცენზურის სხვა ორგანოებიც: ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო იყო „სსრკ სამხედრო ძალების გენერალური შტაბის სამხედრო ცენზურა“. პრესის წარმომადგენლები მხოლოდ იმ შემთხვევაში გზავნიდნენ სტატიებს „სამხედრო ცენზურაში“, თუკი „მთავლიტი“ ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ეს უმეტესწილად ეხებოდა იმგვარ ტექსტებს, რომლებიც შეიცავდნენ ინფორმაციას სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, რედაქტორები თავად ხვდებოდნენ რომელი

ტექსტი საჭიროებდა „სამხედრო ცენზურას“ და პირდაპირ აგზავნიდნენ აღნიშნულ ორგანოში. ცენზურის ორგანო იყო „სსრკ-ის სახელმწიფო ატომური ენერგიის კომიტეტი“, რომელთანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იგზავნებოდა მასალა, თუკი მასში ნახსენები იყო ატომური ენერგია. კიდევ ერთი საბჭოთა ორგანო, რომელიც ცენზორის ფუნქციებსაც ითავსებდა, იყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიაში არსებული „კოსმოსური სივრცის კვლევის კომისია“, რომელიც კოსმოსსა და კოსმოსურ ხომალდებთან დაკავშირებულ მასალას აკონტროლებდა (IDFI, „საბჭოთა ცენზურა საქართველოში“, 2020 წლის 29 ნოემბერი). ამდენად, საბჭოთა კავშირში მოქმედებდა რამდენიმე კომისია, რომელიც განიხილავდა გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ტექსტებს, როგორც სამეცნიერო, ისე სახელმწიფო უსაფრთხოების თუ სხვა დარგებში.


რეპრესიების ტალღის გადავლის შემდეგ და დესტალინიზაციის პერიოდშიც პოლიტიკური ცხოვრებიდან გამქრალი პიროვნებები ქრებოდნენ პრესის ფურცლებიდანაც. მათ შორის, ნიკოლაი ეჟოვი, რომელიც 1936-1938 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო და სტალინმა მისი ხელით ჩაატარა „დიდი წმენდა“, თუმცა 1940 წელს დახვრიტეს; ლავრენტი ბერია, რომელიც 1953 წელს ასევე დახვრიტეს (IDFI: „ქართული პრესისა და ბეჭდური მედიის ცენზურა“ 2020 წლის 3 მაისი (მოძიებულია: 2021.20.12)).



გაზეთი კომუნისტი 1953 წლის 9 მარტი (გადაშლილია ლ. ბერიას ფოტო).

წყარო: IDFI-ს არქივი

პრესის ფურცლებზე ვერ მოხდა თბილისში, 1956 წლის 5-9 მარტის დემონსტრაციების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.



გაზეთი „კომუნისტი“, 1956 წლის 10 მარტის ნომერი.

წყარო: <https://www.idfi.ge/archive/>

მართალია, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ცენზურა შემცირდა, მაგრამ სისტემის დაშლამდე ქართული პრესა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს ექვემდებარებოდა და მათი ნაწილი იყო. შესაბამისად, საბჭოთა გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები ჩვეულებრივ გადიოდა კომპარტიისა და უშიშროების ტრადიციულ ფილტრებს.

თანამედროვე საქართველოში, ბეჭდურ მედიაში ცენზურა აღარ არსებობს, თუმცა არსებობს ქართული ბეჭდური თუ ინტერნეტ გამოცემები, რომლებიც მიზანმიმართულად ეწევიან სადეზინფორმაციო კამპანიას, რაც საზოგადოების პოლარიზებას უწყობენ ხელს. ასევე, პრობლემას წარმოადგენს მედიასაშუალებების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, რაც აქვეითებს თავისუფლების ხარისხს. 2020 წელს, საერთაშორისო ორგანიზაცია „Reporters Without Borders“-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს პრესა გლობალური ინდექსის თანახმად მე-60 ადგილზე იმყოფება (IDFI, 2020).

ამდენად, საბჭოთა პერიოდიდან დღემდე, მედიასაშუალებების დიდი ნაწილი გამოყენებულია, როგორც მანიპულაციის საშუალება და მთავრობების პოლიტიკისა თუ გარკვეული ჯგუფების ინტერესების გამტარებლები არიან.

საბჭოთა ეპოქაში განსაკუთრებით საშიში იყო რეპრესირებულ ადამიანებზე საუბარი ან მათ მიმართ თანაგრძნობა. ადამიანები ყოველგვარ კონტაქტს წვეტყდნენ რეპრესირებულთა ოჯახის წევრებთან. უფრო მეტიც - ხშირად გმობდნენ მათ საჯაროდ. ამ საყოველთაო შიშის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ფოტო, 1938 წელს დახვრეტილი ხასან გოგიტიძის ოჯახის ფოტოარქივიდან. ფოტოდან ამოჭრილია რეპრესირებული ადამიანები.



წყარო: batumelebi.ge

რეპრესიებზე საუბარი დღემდე მსხვერპლთა შიდა ჯგუფში რჩება და მათი ხმა ჯერ კიდევ ვერ აღწევს ფართო საზოგადოებამდე, რაც მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. მომდევნო ქვეთავში განხილულია რეპრესირებულთა ოჯახური ნარატივები, რომლებიც კვლევის ფარგლებში შეგროვდა.

2.5. ოჯახური ნარატივები ხალხის კულტურულ მეხსიერებაში

რეპრესიები არ დაწყებულა 30-იან წლებში და არც დასრულებულა ამ პერიოდში, მაგრამ „დიდი ტეორორის“ პერიოდი გამოირჩეოდა როგორც მასშტაბითა და სისასტიკით, ისე არაპროგნოზირებადობით. დევნის ობიექტი შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი მოქალაქე მისი სოციალური მდგომარეობის თუ პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად. არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა თავად ამ სისტემის სამსახურში იყო, მის წინააღმდეგ იბრძოდა, სასულიერო პირი იყო, გლეხი თუ აზნაური. სისტემის გაძლიერებაში თავისი წვლილი შეჰქონდათ როგორც ადგილობრივ ჩინოვნიკებს, ისე ნაცნობ-ნათესავებსა და მეზობლებს. საბჭოთა კავშირში 4 მილიონამდე ე.წ. „დანოსი“ დაიწერა (ჯავახიშვილი, 2017), თუმცა ეს ჩვენებებიც ზოგჯერ ნებით, ხშირად კი შიშისა და ზეწოლის ქვეშ იწერებოდა და ძნელია განსაჯო ადამიანის ქმდება მსგავსი ტერორის პირობებში. ამ ყველაფრის მიზეზი კი „წესრიგის“ დამყარება იყო, სრული კონტროლის დაწესება ადამიანების ცხოვრებასა და ქცევაზე, რისთვისაც საჭირო იყო ახალი - მორჩილი და

უკრიტიკო ადამიანის შექმნა. ეს შიში და შეურაცხყოფა დღემდე მოჰყვებათ ადამიანებს.

აჭარაში ბრალდებათა დიდი ნაწილი ანტისაბჭოთა საქმიანობას, აჯანყებებში მონაწილეობას, პროთურქულ ორიენტაციას, გლეხების მიმართ სიძულვილს, კოლმეურნეობის წინააღმდეგ აგიტაციას, სასულიერო საქმიანობას ეხებოდა. აჭარის ისტორიული წარსული, მისი საზღვრისპირა მდებარეობა და საზღვარს იქით დარჩენილი ნათესაური კავშირები, კიდევ უფრო ამძაფრებდა უნდობლობას აჭარის მოსახლეობის მიმართ. (იხ. დანართი, 1937-38 წლებში აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, ლაზების, თურქების, უკრაინელების, რუსების, გერმანელების და სხვათა დახვრეტის ოქმების ასლები). **შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მე-8 ფონდში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ისტორიულ წყაროებს წარმოადგენს, არ ემთხვევა მსხვერპლთა ჯგუფში შემონახულ ინფორმაციას.** ასევე, ხშირია შემთხვევა, როცა ოჯახის წევრებმა არც კი იციან მასობრივი დაკავებების შემდეგ რა ბედი ეწიათ მათი ოჯახის წევრებს. გარკვეული ნაწილისთვის მათი წინაპრის დახვრეტის შესახებ 2019 წელს გახდა ცნობილი, როცა ბათუმის შემოგარენში საბჭოთა ტერორის დროს დახვრეტილთა სავარაუდო საფლავები აღმოაჩინეს და ამ ფაქტთან დაკავშირებით, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ვებგვერდზე აჭარაში დახვრეტილ პირთა სია გამოქვეყნდა.

აღნიშნული ფაქტი ტრავმაზე ალაპარაკების მცდელობად შეიძლება განვიხილოთ, რომელმაც საზოგადოებას, და მათ შორის მსხვერპლთა ჯგუფს, გაახსენა ის ტრაგედია, რომელიც „დიდი ტერორის“ სახით გამოიარეს და რომლის შედეგადაც, რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ მათი ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები, საზოგადოების დიდი ნაწილი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ონლაინგამოცემა „ბათუმელებმა“ ჩაიწერა ისტორიები, რომელსაც რეპრესირებული ოჯახების შთამომავლები ყვებიან: 1938 წელს დახვრეტილი **ხასან გოგიტიძის** შვილიშვილი, ქეთი გოგიტიძე ბებიის მონათხრობს იხსენებს: „20 წლის იყო ბებია, როცა დაქვრივდა და ის რამდენიმე წელი, რომელიც ერთად ვიცხოვრეთ იყო უბედნიერესი“; ცრემელების გარეშე ვერ საუბრობს 1937 წელს დახვრეტილი **ტაშტან ხოზრევანიძის** შვილიშვილი თამაზ ხოზრევანიძე: „არაფრის გულისთვის, ეს არის ძალიან გულსატკენი, მეტი არაფერი“ და საუბარს

ველარ აგრძელებს; 1938 წელს დახვრეტილი **სულიმან ბერიძის** შვილიშვილი, თემურ ბერიძე ამბობს, რომ „რაც ბაბუა დაიჭირეს და წაიყვანეს, მას შემდეგ არავინ არაფერი იცოდა. ბაბუაჩემი სასულიერო პირი იყო. სოფელ ცხემლისში, პატარა დასახლებაში ვცხოვრობდით, ცეკვა ჰქვია. ბაბუა სასულიერო პირი იყო. სოფელში პატარა მედრესე იყო და იქ ასწავლიდა ახალგაზრდებს. აი, ამის გამო დაიჭირეს. 5 წლის იყო მამაჩემი და 2 წლის იყო მამიდა, როცა ბაბუა გომის მთაზე დაიჭირეს. ორი წლის ბავშვი (მამიდა) რომ მიუყვანეს სანახავად, ფეხის კვრით გამოუგდიათ. ხუთი ობოლი დარჩა და ბებიამ გაზარდა ობლები. ჩვენს ოჯახებს, როგორც რეპრესირებულებს, ძალიან ცუდად ექცეოდნენ. გამწარებული იყვნენ და ძლივსძლივობით დადგნენ ფეხზე. სამსახურს ვერსად იწყებდნენ. მამაჩემი იტყოდა, რომ არსად არ უშვებდნენ სამსახურში. ეუბნებოდნენ, რომ ვერ იმუშავებო. გაწვალებული ყავდათ. ცრემლები კიდევ მომადგა. მამაჩემი რომ იხსენებდა, სულ ტიროდა...“

საფლავების აღმოჩენის ფაქტს თემურ ბერიძე ასე იხსენებს: „ტელეფონზე დამირეკეს და მითხრეს, რომ ბაბუათქვენიც არისო. თან გამიხარდა, თან ვიტირე. მამაჩემი სულ ეძებდა, სად არის მამის საფლავი მაინც ვიცოდე, ძვლებს მოვიტან და დავმარხავო. გამოჩნდა ახლა და ამას არ მოვეშვები. დღეში თუ არა, სამ კვირაში ერთხელ მივდივარ ყოფილი სამხედრო ბაზის წინ და ვუყურებ. შიგნით არ გვიშვებენ. დნმ რომ დადგინდება, მე ასე მაქვს ჩაფიქრებული, ნეშტი გადავასვენო სოფელში და გვარის სასაფლაოზე, როგორც ღირსეული ადამიანი, დავასაფლავო.“ (ბათუმელები, 2019) რესპონდენტი საუბრობს იმ სიაზე, რომელიც ბათუმი-ლაზეთის ეპარქიის მიერ გამოქვეყნდა. საუბარია ბათუმში დახვრეტილ პირთა არასრულ ჩამონათვალზე, რომელიც სხვადასხვა დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ გაზეთში „სრულიად არასაიდუმლოდ“ იბეჭდებოდა. აღნიშნული სია 850 პირის სახელ-გვარს მოიცავს, რაც არ ადასტურებს, ერთი მხრივ, ზემოთ ნახსენები პირების ამ ადგილას დახვრეტის ფაქტს და მეორე მხრივ, თავად ეს სამარხი რამდენად არის საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ადგილი. ამ უკანასკნელის დადასტურების შემთხვევაში, სასურველია, სახელმწიფომ იფიქროს, საერთო სასაფლაოს მოწყობის თაობაზე, რომელიც პირველი შემთხვევა იქნება საქართველოში. ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში და სწორი კომუნიკაციის პირობებში, მსხვერპლთა შთამომავლებიც მათი წინაპრების საგვარეულო სასაფლაოზე

გადასვენებისა და ათწლეულების შემდეგაც ინფორმაციის ვიწრო ჯგუფში დატოვების ნაცვლად, არჩევანს საერთო სასაფლაოს მოწყობაზე გააკეთებენ, რადგან ეს სამარხი არა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის, არამედ მთლიანად საზოგადოების მიერ გაღებული მსხვერპლის სიმბოლოს წარმოადგენს.

რეპრესირებული ბაბუის დახვრეტის შესახებ ახმედ და მუჰამედ მეკეიძეებმაც 64 წლის ასაკში, 2019 წელს გაიგეს. ოჯახში შვილიშვილებს საგანგებოდ უმაღლავდნენ ბაბუის დახვრეტის ამბავს ან დასაშვებია, მეკეიძეებმაც არ იცოდნენ მათი შვილის ბედის შესახებ. ის ფაქტი, რომ ოჯახში ამ საკითხზე შვილიშვილების თანდასწრებით არ საუბრობდნენ, ცხადი ხდება ინტერვიუდან. ზოგადად, ძალიან ბევრი მაგალითია აჭარაში იმისა, როცა შვილიშვილები არ ფლობენ ინფორმაციას სწორედ იმ მიზეზით, რომ მასზე ოჯახის წევრები არასოდეს საუბრობდნენ. ეს „სიჩუმე“, ერთი მხრივ, საყოველთაო შიშით იყო განპირობებული, ხოლო მეორე მხრივ, მშობლები ცდილობდნენ ტრავმა აეცილებინათ შვილებისა და შვილიშვილებისთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. „*მე რომ ბაბუაჩემს ვიძახი, ცოტა მეუხერხულება, რადგან უკვე 64 წლის ვარ, ბაბუა პატიმრობაში რომ აიყვანეს, 26 წლის იყო. ბაბუა - ახმედ მეკეიძე, დააპატიმრეს 1936 წლის ოქტომბრის ბოლოს. ბიძაშვილი მყავს, ჩემზე უფროსია 2 წლით. როცა წამოვიზარდეთ, ვხედავდით ყველას ბაბუა ჰყავდა. ხომ იცით, შვილიშვილისთვის ბაბუა საინტერესოა. ჩვენ ბაბუა რომ არ გვყავდა, გადავწყვიტეთ გვეკითხა სახლში ამის შესახებ. მამაჩემის დედამ, დღესაც მახსოვს მისი ცრემლები, არ მოგვიყვა. მერე, ბაბუაჩემის დედამ გვითხრა, რომ თქვენი ბაბუა ციხეშიაო. ბავშვებმა ვიცოდით, რომ ბაბუა იყო ბათუმის ციხეში. ბათუმში რომ ჩამოვედით, 10 წლის ვიყავი, ბიძაშვილი - უფრო უფროსი, მოვიკითხეთ ციხე სად იყო. ფეხით ავდიოდით ციხეზე და ვუძახდით, გვეგონა ჩვენს ხმას ვაგონებდით. 10 წლიდან ვეძებდით. მერე როცა ჯარი მოვიხადე, რუსეთში ვეძებდი. მთელი რუსეთი შემოვლილი მაქვს, სადაც დიდი ციხეები იყო“ („ბათუმელები“ (2019), მანანა ქველიაშვილი, „რეპრესირებულთა ისტორიები“, 6 ივნისი).*

ბაბუის დახვრეტის ამბავი მეკეიძეებმაც 2019 წელს გაიგეს იმავე სიით და სავარაუდო სამარხების აღმოჩენის ფაქტით. „*ისე გამიხარდა, რომ ხელვაჩაურში აღმოჩენილაო. ჩემი ბაბუას გვარი რომ ვნახე, ჩავთვალე, სამოგზაუროდ იყო წასული და დაბრუნდა. ბებიები რომ ტიროდნენ, მათ თვალებზე ცრემლები რომ იყო და ჩვენ*

გვიმალავდნენ, მერე მათი ტირილით ვიტყვით... პატიმრობა, სასჯელი გასაგებია თუ კაცს ექნება დანაშაული. დანაშაულის გამო ადამიანს აპატიმრებენ და შეიძლება არც დაბრუნდეს, მაგრამ გულსატკენია ის, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და კაცი 26 წლის ასაკში მოსპეს. ამაზე დიდი სატკივარი არავისთვის არაფერი არ იქნება, არც ჩემთვის... ამან ისეთი კვალი დაგვიტოვა, რომ დღესაც ბევრი რამ გვაკლია... იმიტომ, რომ ისეთი დარტყმა მოადგა ზემო აჭარას გამოკვეთილად, ჩემ ოჯახს, რომ... ქარი გარეთ რაღაცას რომ გააქანებდა, სახლში ბებიები იმალებოდნენ, ვიღაცა გვიყურებდა. ეს ძალიან ცუდია, ხალხის ასე დაშინება... ამას რეპრესია ქვია თუ რა ქვია, არ ვიცი“ („ბათუმელები“ (2019), მანანა ქველიაშვილი, „რეპრესირებულთა ისტორიები“, 6 ივნისი).

ჯემალ და გულიზარ კახიძეების მამა **აბდულ კახიძე** 1938 წელს დახვრიტეს. 1949 წელს, მამის დახვრეტიდან 11 წლის შემდეგ, აბდულ კახიძის ოჯახი - ცოლი და შვილები ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც 7 წლის შემდეგ დაბრუნდნენ. „ლამის 3 საათზე შემოცვივდნენ სამხედროები და გვითხრეს, ხმა არ ამოგვეღო. ბათუმში წაგვიყვანეს და სატვირთო ვაგონში შეგვყარეს.“ - იხსენებს აბდულ კახიძის შვილი, 1937 წელს დაბადებული ჯემალ კახიძე, რომელიც სარფში ცხოვრობს. მისი და, გულიზარ კახიძე, რომელიც მასთან ერთად გადაასახლეს, ყველაზე მტკივნეულად შიმის ფაქტორს ასახელებს. „გვეშინოდა ძალიან, ხშირად მშვივრები ვიყავით... რა დანაშაული გვქონდა არ ვიცი, ვინმეს ვერ დავაბრალებ...“ საუბარში კვლავ ჯემალ კახიძე ერთვება - „სტალინს არ ჰქონდა იმდენი ბრალი, ეს სოფელმა გააკეთა, „ტროიკას“ იტყოდნენ ადრე, სტალინს შეიძლება ნათქვამი ჰქონდა, მაგრამ ჩემი სახელი ხომ არ იცოდა?!“ („რუსთავი-2“ (2020), ირაკლი იმნაიშვილი „უსაფლავო მიცვალებულები“, 30 ნოემბერი). ზოგადად, **მსხვერპლთა ჯგუფში ხშირად ისმის ფრაზა „სტალინმა არ იცოდა“**, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რესპონდენტს უნდოდა ხაზი გაესვა დასმენებისა და ადგილობრივი ჩინოვნიკების ბრალეულობისათვის, მაგრამ კონკრეტული პირების დასახელებისგან თავი შეიკავა.

შუახვევის მკვიდრი ახმედ მჟავანაძის 7-სულიანმა ოჯახმა დღემდე არ იცის, 1956 წელს რა მიზეზით გადასახლეს მისი მშობლები მცირეწლოვან შვილებთან ერთად. შვილები, რომლებიც გადასახლებაში თან ახლდნენ მშობლებს, რეალური მიზეზის ორ ვერსიას ყვებიან. 81 წლის ახმედ მჟავანაძე, რომელიც 2019 წელს ბათუმში ჩავწერე,

იხსენებს, რომ მჟავანადეებმა პარტორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს ქალი არ მიათხოვეს, რომელმაც მოგვიანებით ამ ფორმით იძია შური. რეპრესირებული ოჯახის მეორე წევრი ლადო მჟავანადე ამბობს, რომ 1929 წელს ბერიას უშუალო მონაწილეობით შუახვევის რაიონის სოფელ ჭვანაში ქალებისთვის ჩადრის საჯაროდ ჩამოხსნის მცდელობა იყო, რასაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მათ შორის მჟავანადეების ოჯახმა, წინააღმდეგობა გაუწიეს, რაც მოგვიანებით მათი გადასახლების მიზეზი გახდა. ინტერვიუში რესპონდენტები საუბრობენ ოჯახიდან მათი გაყვანის ტრავმებზე, როცა 4 წლის ბავშვი იარაღის დამიზნებით შეაჩერეს ჯარისკაცებმა. ამასთან, იხსენებენ, ქართველი ჯარისკაცის კეთილშობილურ საქციელს, რომელმაც სახლის ჩხრეკის დროს აღმოჩენილი თანხა ოჯახს უკლებლივ გადასცა, რითაც ისინი გადასახლების დროს თავს ირჩენდნენ. ოჯახმა იცის მათი გადასახლების აბსურდულობის შესახებ, თუმცა თვლიან, რომ სიაში შეცდომით მოხვდნენ. მსგავსი მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ ეს არის, ერთის მხრივ, გამართლების ძიების მცდელობა, მეორე მხრივ კი, ისინი უფრო მეტად გავრცელებული ნარატივების გავლენას განიცდიან. მითუმეტეს, დღეს მეორე და მესამე თაობის ადამიანებთან გვიწევს ინფორმაციის დაზუსტება, რომლებიც რეპრესირებულთა შვილები და შვილიშვილები არიან.

კვლევის ფარგლებში, რეპრესირებულთა შთამომავლებთან გამართული შეხვედრებისა და ჩანაწერების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ **ალტერნატიული მეხსიერება გაჯერებულია ოფიციალური ვერსიებით, რადგან სისტემა, რომელიც ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდა ადამიანებს, პარალელურად ცდილობდა მის მიერ შექმნილი ნარატივებით გამოეკვება, რომელსაც საზოგადოება, ცალკეულ შემთხვევებში, იჯერებდა და ამართლებდა კიდევ.** რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულები არიან, დღესაც ცდილობენ სისტემის გადაწყვეტილება რამენაირად გაამართლონ. გვხდება შემთხვევები, როცა რესპონდენტები ქართველ ჩინოვნიკებს გაცილებით უფრო დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ, რითაც სავარაუდოდ დისტანცირებას აკეთებდნენ დანაშაულის სხვაზე გადატანით, რაც შესაძლოა უფრო ნაკლებად მატრავმირებელი იყოს.

ოჯახების უმრავლესობისთვის ცნობილია მათი წინაპრების დამსმენების ვინაობა, მაგრამ თითქმის ყველა ერიდება ამაზე საუბარს. ამასთან, **დღემდე**

ცდილობენ დამალონ ინფორმაცია იმის შიშით, რომ ოჯახის წევრებს „მტრები არ დაუტოვონ“. არსებობს მაგალითები, როცა რესპონდენტები, ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რამდენიმე განსხვავებულ ვერსიას ჰყვებიან, რაც ასევე ინფორმაციის დეფიციტის პირობებში შექმნილი მითების არსებობას ადასტურებს. ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც სისტემის მიერ გასაიდუმლოებულ დანაშაულებრივ ქმედებებს უკავშირდებოდა, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა მითების ჩამოყალიბებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ზეპირი ისტორიები, როგორც ალტერნატიული მეხსიერება, სწორედ მსგავსი მითებით არის გამოკვეთილი.

ძალიან ბევრია მაგალითები იმისა, როცა მშობლების უმიზეზოდ აყვანის გამო შეშინებული შვილები დიდი ხნით არ უბრუნდებოდნენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს, რადგან თავისუფლად შეიძლებოდა რეჟიმის მომდევნო მსხვერპლი ისინიც გამხდარიყვნენ. მუდმივი შიში და უბედურების მოლოდინი რეპრესირებული ოჯახების ყოველდღიურობად იქცა. ამ ყველაფერს ემატებოდა შეშინებული საზოგადოების უარყოფითი რეაქციები მათდამი, რაც სისტემატურად გამოიხატებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში - სკოლაში, სამსახურში, ქუჩაში.

თინათინ ნიჟარაძე „ბათუმელებთან“ ინტერვიუში იხსენებს დედის მონაყოლს მამის - **რეჯებ ნიჟარაძის** დაპატიმრების შესახებ: „როცა მამაჩემი სამშობლოს ღალატით დახვრიტეს, ერთი წლის ვიყავი. დედას სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და ხშირად ვერ ახერხებდა საზოგადოებაში გამოჩენას, ალბათ ამიტომ გადარჩა. მამა ექვთიმე თაყაიშვილსა და ნოე ჟორდანიასთან მეგობრობდა. მამას ნოე ჟორდანიას ნაჩუქარი ფრანგული კალამი და ოქროს საკალმეები ჰქონდა. ჯალათებმა ისიც წაიღეს. დედას, როგორც მავნებლის ცოლს, სურსათის ტალონებს არ აძლევდნენ. სოფელში პატარა მიწის ნაკვეთი გვქონდა, ისიც ჩამოგვართვეს. მამას დაპატიმრების შემდეგ, საზოგადოებისგან გარიყულები ვიყავით. ნათესავებმაც შეწყვიტეს ჩვენთან ურთიერთობა. მამას სახელის ხსენებაც აკრძალული იყო. კლასში ერთ რიგში, გამოცალკევებული ვისხედით როგორც „ტროცკისტების“, „მავნებლების“, „სამშობლოს მოღალატეების“ შვილები. მასწავლებლები ყურადღებას არ გვაქცევდნენ. გაკვეთილს არ გვეკითხებოდნენ. ჩვენ კი ხელის აწევას ვერ ვხედავდით. მეხუთე კლასში ვიყავი, როდესაც პიონერთხელმძღვანელი შემოვიდა და გვითხრა,

ვისაც მამა ჯარში ჰყავს დაკარგული, მათთვის მაისურებსა და კალოშებს ვარიგებთო. მაისურებზე გული არ მიმსვლია, ჩემი და-ძმების ნაქონიც მქონდა, მაგრამ კალოში ძალიან მინდოდა, რადგან სკოლაში ჩემს ძმას ზურგზე მოკიდებული დავყავდი. ხელი მეც ავწიე. მეორე დღეს დირექტორთან დამიბარეს. პიონერთელმძღვანელი მიუბრუნდა მასწავლებელს და უთხრა, ეს არის მატყუარა, არაადამიანი, ცრუ, რადგან მოგვატყუაო. ჩამომხსნეს ყელსახვევიც. ეს მაშინ ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. ოთხი საათი გაუჩერებლივ ვტიროდი. შემდეგ დედა მოვიდა დირექტორთან და უთხრა, ციხეში წავალ და შვილის დაჩაგვრას არ შეგარჩენო. ცოტა ხნის შემდეგ სკოლაში სადამო გამართეს. მე კარგად ვსწავლობდი და ბევრი ლექსი მომეყოლეს, შემდეგ მითხრეს, ბოდიშს თუ მოიხდი, გაპატიებთო. ბოდიში არ მოვიხადე, ყელსაბამიც არ დამიბრუნეს. მთელი ცხოვრება უკან დახეული ვიყავი. მამა გაამართლეს, მაგრამ სხვა რომ ხარობდა, ისე მაინც ვერ ვხარობდით. წარსულის ტკივილი დღემდე მომყვება. მამის არაფერი დამიტოვეს. ფეხსაცმელი, ქუდი, წინდა არ მაქვს, როგორც მამის სახსოვარი. ახლა მეუბნებიან 400 ლარი გეკუთვნის კომპენსაციას, მაგრამ ეს ფული შემიცვლის იმ წლების დანაკლისს?“ („ბათუმელები“ (2014), 3-9 თებერვალი, #4).

რეპრესირებული მამის ხსოვნისადმი მიძღვნილ წიგნში ოსიკო გვარიშვილი მტკივნეულად იხსენებს იმ წლებს, როცა მასწავლებლები სასტიკად ექცეოდნენ დაობლებულ ბავშვებს. „ახლაც მახსოვს სკოლაში „ტროცკისტის“ შვილები ისხდნენ და „იდეურად მდგრადაი“, თავგამოდებული მასწავლებლები გაკვეთილსაც არ გამოკითხავდნენ. კიდევ მეტი, გვარებთან ერთად ზედ უმატებდნენ მეტად გავრცელებულ ტერმინებს - „მავნებლები“, „დივერსანტები“, „აგენტები“... კეთილი ადამიანებიც იყვნენ ქვეყნად. რა დამავიწყებს იმ მასწავლებლებს, რომლებიც შეშინებულ, კუთხეში მიყუჟულ „გველის წიწილებს“ თავზე ხელის გადასმით გვეფერებიდნენ. იცოდნენ უდანაშაულო მშობლების უპატრონოდ და ობლად დატოვებული შვილების სულიერი მდგომარეობა. იცოდნენ ისიც, ვინმეს რომ დაესმინა, მათაც არ ასცდებოდათ პატიმარ ქალთა ხვედრი, მაგრამ სხვანაირად მაინც არ შეეძლოთ“ (გვარიშვილი, 2000:86; „სრულიად არასაიდუმლოდ“ (1999), #1-2, გვ. 15).

ომარ გვარიშვილისა და დედის - ფადიმე ლამპარაძის შეხვედრის ისტორია აღწერილია ოსიკო გვარიშვილს მოგონებაში „დედის საიდუმლო“. როცა ფადიმე

ლამპარაძე-გვარიშვილი 10-წლიანი გადასახლებიდან მოულოდნელად დაბრუნდა, სახლში იმყოფებოდნენ ბებია, ბიძაშვილები ოსიკო და ომარი. კარი ომარმა გააღო და დაინახა ძონძებში ჩაცმული ქალი, რომელსაც გული წაუვიდა. ომარის დამახეზაზე, რომ წაქცეულ ქალს მიშველებოდნენ, ბებია და ოსიკო გარეთ გავიდნენ. ოსიკო გვარიშვილი იხსენებს, „შემოსასვლელში დავინახე, რაღაც ჭუჭყიან ძონძებში გახვეული „ტელეგრეიკიანი“ და ფეხებზე „ვალინკებიანი“ ქალი - იგი იატაკზე იწვა. სამთავე ერთად მივცვივდით წამოსაყენებლად. ბებია დაიხარა, ქალს ხელები მოხვია, წამოყენებაში მივეშველებიო. ქალს თვალებში ჩახედა და ... - ვაიმე, შვილო, ფადიმე, - დაიძახა და ჩაიკეცა. გაოგნებულმა ბებიამ ომარს უთხრა: დედაა შენი... დედა... ფადიმე... - დედა, დედიკო! იღრიალა და ქალს ჩაეხუტა! ოთახი თანდათანობით მეზობლებით გაივსო. აქა-იქ ჩურჩული ისმოდა: ომარის დედა დაბრუნდა, რომელი ომარის? ომარ გვარიშვილის... ციმბირიდან დაბრუნდა ათი წლის შემდეგ“ (გვარიშვილი, 1998:86).

ოსიკო გვარიშვილმა სხვა საკითხებთან ერთად აღწერა მამის დაპატიმრების პროცესი: 1937 წლის 14 ივლისის ღამეს „ოთახში ჩეკისტები შემოცვივდნენ, მამაჩემს ეცნენ, ჯიბეები გაუჩხრიკეს. ჩვენ ყველანი გაგვაფრთხილეს ხმა არ ამოგველო. მამაჩემი წაიყვანეს, მხოლოდ ჩემმა უფროსმა დამ, ნანამ მოასწრო მისთვის ზეწარი, გადასაფარებელი და მუთაქა გადაეცა“ (გვარიშვილი, 1998:90).

გულო კაიკაციშვილის შვილიშვილი მერი კაიკაციშვილი იგონებს, რომ მამა - იუსუფ კაიკაციშვილი კულაკად გამოაცხადეს და ჩამოართვეს უძრავ-მოძრავი ქონება: მიწა და ქობულეთის სოფელ სამებაში, ორსართულიანი სახლი ბათუმში, ავეჯი, წიგნები, ცნობილი ქართველი მწერლების მიერ ნაჩუქარი ნივთები. ქობულეთის სახლის პირველ სართულზე ვეტპუნქტი განათავსეს, ხოლო მეორე სართულის გარკვეულ ფართში ვეტპუნქტის გამგემ დაიდო ბინა. გულოს შვილიშვილები არ მიიღეს სკოლასა და საბავშვო ბაღში. მისი შვილიშვილი თინა იხსენებს: „მე მაშინ 8 წლის ვიყავი და სკოლაში დავდიოდი. დილით გამოვცხადდი სკოლაში. მასწავლებელმა სია ამოიკითხა: თინა კაიკაციშვილი, შენ კულაკის შვილს უფლება არ გაქვს გააგრძელო სწავლა. დატოვე გაკვეთილი! მე არ ავდექი. მაშინ მასწავლებელმა ხელი მომკიდა, კარებამდე მიმიყვანა, გარეთ გამაგდო და კარი მიიხურა“. მეორე შვილიშვილი ეთერი იგონებს: „მე 6 წლის ვიყავი, როცა დედამ

საბუთების შეგროვების შემდეგ, საბავშვო ბაღში მიმიყვანა, მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს, განცხადებაზე განათლების განყოფილების გამგის რეზოლუცია არის საჭიროო. მივედით განათლების განყოფილებაში, გამგემ დედას მკაცრი ტონით შეახსენა, კულაკის შვილებს არ ვღებულობთო“ (კაიკაციშვილი, 1998:45-49).

ფატმა ლორთქიფანიძე იხსენებს, რომ ბაბუა - **ხასან ლორთქიფანიძე** ბათუმის სატუსაღოში წამების შედეგად დაიღუპა, რომელსაც დარჩა მეუღლე და 4 შვილი. მეუღლე მავი ხიმშიაშვილი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას - მემანქანე-მბეჭდავმა, რომელსაც ბევრი სიკეთე ახსოვდა კაიკაციშვილების ოჯახისგან, ბრალდებულთა სიის ბეჭდვის დროს შეგნებულად გამოტოვა მისი გვარი. დაპატიმრების შიშით მავი ხიმშიაშვილი ღამეს სახლში ვეღარ ითევდა.

ვახტან სურმანიძე იხსენებს მამისა და ბიძის **მოედინ და ახმედ სურმანიძეების** დაპატიმრების ისტორიას. მოედინ სურმანიძის დაპატიმრების მეორე დღეს აიყვანეს მისი ძმა ახმედ სურმანიძე, რომელიც სოფ. აქუციდან ბათუმში მიდიოდა. ქედის ხიდზე შინსახკომის მიერ მოსყიდულმა პირმა ყალბი წერილი გადასცა, თითქოს დის ქმარს გამოეგზავნა თურქეთიდან, რომელიც სასულიერო პირი იყო და დევნის გამო თურქეთში გადავიდა. შინსახკომის მუშაკებმა სურმანიძე წერილის გადაცემის მომენტში აიყვანეს და შემდეგ დახვრიტეს. დააპატიმრეს მეუღლეს, რომელიც თბილისის საპატიმროში გარდაიცვალა. მოგვიანებით, მათი ერთადერთი ნათესავი - ხასან სურმანიძეც დაასმინეს, რომელიც მოედინ სურმანიძის ობლებს საკვებს აწვდიდა (თურმანიძე, 2020:573).

როგორც ცნობილია, მძლავრი ემოციური სტრესის დროს ადამიანს ეცვლება ჩვეული მიმართება ყველაფერთან. **მსგავსი ემოციური მდგომარეობები და მოვლენები იწვევს პიროვნების შინაგან რეზერვთა გააქტიურებას, რაც შესაძლოა მისი პიროვნული ზრდის, აქტუალიზაციის წინაპირობადაც იქცეს.** აღნიშნული ფაქტორები პიროვნებისთვის შესაძლოა იყოს ხელისშემწყობიც და დამანგრეველიც. რეპრესირებულთა ჯგუფში გვხვდება ორივე შემთხვევა - როგორც განადგურების, უკან დახევის, ვერ გამკლავების, ისე თავის დაღწევისა და მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევის. მრავალი ბარიერის მიუხედავად, საზოგადოებისგან აბსოლუტურად გარიყული ოჯახები მაინც ახერხებდნენ თავი გაეტანათ და ფეხზე დამდგარიყვნენ. დიდმა ნაწილმა მაინც შეძლო მიეღო უმაღლესი განათლება და თავიანთ სფეროში

ყოფილიყვნენ წარმატებულები, რომლის მთავარი მოტივატორი, შესაძლოა, სწორედ ამ პირობებით გამოწვეული სტრესული ფაქტორები გამხდარიყო.

აჭარაში XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში პოლიტიკურად გავლენიან კულაკებს ალა-ბეგები წარმოადგენდნენ. ამიტომ სხვა გვარებთან ერთად, რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ შერვაშიძეები, ავალიანები, ახვლედიანები, აბუსერიძეები, აბაშიძეები, ბიბინიშვილები, ბეჟანიძეები, ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები, სურმანიძეები, წულუკიძეები, ნაკაშიძეები, ჯაყელები, ხალვაშები, ფალავები, მიქელაძეები, ქიქავები, ვარშალომიძეები, ჯაფარიძეები, ხაბაზები, ხარაზები, ნაკაიძეები და სხვები.

ადამიანთა დასმენის მსხვერპლი გახდა **შაქირ შერვაშიძეც**, რომლის ოჯახსაც თავდაპირველად ქონების კონფისკაცია შეეხო, ხოლო შემდეგ დაიჭირეს, გარკვეული პერიოდი ბათუმის ციხეში აწამებდნენ და 37 წლის 11 სექტემბერს დახვრიტეს ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით. **შაქირ შერვაშიძის შვილი, შოთა შერვაშიძე** იხსენებს: *„მამაჩემის დაპატიმრების დროს სამი წლისაც არ ვიყავი (1937 წლის მაისი). მიკვირს, რაც მახსოვს, სინამდვილეა თუ მონათხრობის მთაბეჭდილებები. მახსოვს, მამა სახლში რომ დაბრუნდებოდა, ხელჩანთას გახსნიდა და ბავშვებს ტკბილეულს ან სათამაშოს მოგვაწოდებდა. მამის სახე დამამახსოვრდა, როცა დედამ და მამიდამ შინსახკომის ბათუმის საპატიმროში მიმიყვანეს. სარდაფში ღრმა ჩასასვლელის შუა კიბეზე იყო რკინის გისოსები. ხელში ვეჭირე მამიდას. მამა მოვიდა გისოსებთან, ხელი გადამისვა. მე კი სისხლისა და სიბინძურის სუნი ვიგრძენი. თავი შეხვეული ჰქონდა პირსახოცით. პირსახოცი რომ მოიხსნა, სისხლით იყო გაჟღენთილი. ეს იყო უკანასკნელი ნახვა“* (თურმანიძე, 2019:572). **შაქირ შერვაშიძე** 1915 წლიდან სოფელ ორცვაში ცხოვრობდა, რადგან დაბა ქედამი სახლი და ქონება ჩამოართვეს. **შაქირ შერვაშიძე**, რომელიც ქედის საშუალო სკოლაში გერმანულს ასწავლიდა, დირექტორმა ასლან სტამბოლიშვილმა სკოლიდან დაითხოვა და იქვე სთხოვა, მიზეზი არ ეკითხა. მეგობრები თავშესაფრის მიზნით თბილისში გადასვლას ურჩევდნენ, მაგრამ უარი განუცხადებია. **შაქირ შერვაშიძის** დახვრეტის მიზეზად შოთა შერვაშიძე მამის მაღალ ავტორიტეტს ასახელებს: *„1936 წელს ქედის რაიონულ ცენტრში ლენინის ძეგლი გაუხსნიათ, სადაც სიტყვით გამოსულა მამა. ამ სიტყვას ისეთი მთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე, რომ ხელში*

აუყვანიათ და ქედის ხიდამდე უტარებიათ. ცხადია, ასეთი ავტორიტეტული პიროვნება ხელისუფლებას არ მოეწონებოდა“. შოთა შერვაშიძე ასევე იხსენებს, თუ როგორ უთხრეს უარი კომკავშირის რიგებში მიღებაზე. „პირველი დარტყმა 14 წლისამ მივიღე, როცა კომკავშირის რაიკომის ბიურომ უარი მითხრა კომკავშირის წევრად მიღებაზე, მავენბლის შვილი ხარო“ (თურმანიძე, 2019:572). შოთა შერვაშიძემ, მიუხედავად ყველაფრისა, შეძლო და მიიღო უმაღლესი განათლება, წლების განმავლობაში ასწავლიდა იმავე სკოლაში, საიდანაც შაქირ შერვაშიძე ყოველგვარი განმარტების გარეშე დაითხოვეს, ხელმძღვანელობდა განათლების რაიონულ განყოფილებას. (მოგონება ჩაწერილია 2002 წლის 12 ივნისს).

ბაბუის დახვრეტის მიზეზებზე 2020 წელს გავესაუბრე შაქირ შერვაშიძის შვილიშვილს - სოსო შერვაშიძეს. როგორც აღვნიშნეთ, შაქირ შერვაშიძე დახვრეტილია 1937 წლის მაისში ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, რომელსაც ოჯახი არ ადასტურებს. „თავიდანვე ვიცოდით, ვინ მისცა ჩვენი ოჯახის საწინააღმდეგო ჩვენება, მაგრამ ეს ჩვენებაც იძულებითი იყო და შიშის ქვეშ დაწერილი, ამიტომ არ ვადასტურებდით. სავარაუდოდ, არც იცოდა, რაზე აწერდა ხელს, ამიტომ ჩვენს ოჯახებს შორის რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. ამის შესახებ იცის თავად იმ პიროვნების ოჯახმაც. ერთხელ მამას უთხრა, სამაგიეროს გადახდას ცდილობო, როცა გარკვეულ თხოვნაზე უარი მიიღო. ცხადია, უარი დასმენის ფაქტს არ უკავშირდებოდა... ბაბუა გერმანული ენის სპეციალისტი იყო, ქედის საშუალო სკოლაში ასწავლიდა. ქონების კონფისკაციის შემდეგ, სოფელ ორცვაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ხშირად ხვდებოდა მემედ დიასამიძეს, რომელიც ასევე პროგრესულად მოაზროვნე იყო და საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე. სწორედ ეს შეხვედრები გახდა ეჭვისა და დასმენის მიზეზი. მემედ დიასამიძეს შეუთავაზებია თბილისში გადასვლა, მაგრამ უარი უთქვამს. თავად დიასამიძე კი გადაბარგებულა და ასე გადაურჩა რეპრესიებს“, - განმარტავს სოსო შერვაშიძე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ადგილობრივი ჩინოვნიკებისა და სამეზობლო დასმენების როლზე რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერებაში. თუ რაიონს გარიდებული „დამნაშავე“ აღარ იყო საინტერესო სისტემისთვის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინიციატივა ადგილობრივებს ეკუთვნოდათ.

(შსს-ს ციფრული არქივი, ფონდი 8).

თევფიყ ავალიანის შვილიშვილი - ლია ავალიანი, რომელთან ინტერვიუც 2020 წელს ჩავწერეთ, ასევე გვიყვება ბაბუის ძმის - **ასლან ავალიანის** გადასახლების ისტორიას, რომელმაც მოახერხა ოჯახში დაბრუნება, ამიტომაც ინფორმაცია პირველი პირისგან იცის და გაცილებით სარწმუნოა. *„სამუშაო ოთახში კარის გაღებისას ლენინის ბიუსტი ჩამოვარდა, ბუნებრივად გამოხატა უარყოფითი ემოცია და ბიუსტი თავის ადგილას დააბრუნა. მოგვიანებით, სწორედ ეს გახდა მისი 20-წლიანი გადასახლების მიზეზი, რადგან ფაქტს მისი ერთ-ერთი თანასოფლელი შეესწრო“*, - ამბობს რესპონდენტი. ოჯახმა დაწვრილებით იცის მისი წინაპრების გადასახლებისა თუ დახვრეტის ისტორია. ავალიანი მიიჩნევს, რომ მათი დევნის მიზეზი გამორჩეული მატერიალური მდგომარეობა და განათლება იყო. *„ბაბუაჩემმა ხუთი ენა იცოდა“*, - აღნიშნავს რესპონდენტი. დევნა მოგვიანო პერიოდშიც გაგრძელდა - ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება. რესპონდენტი გულისტკივილს გამოთქვამს რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებითაც, რომელიც დროში ისე გაიწელა, რომ მეორე თაობაც ვერც მოესწრო. *„მიზერული თანხა, რომელიც რეაბილიტაციის პროცესს ახლდა, მშობლებს არ აუღიათ“*.

ამდენად, ჩვენს მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **ინდივიდუალური ისტორიები ძირეულად განსხვავდება „ოფიციალური“ ვერსიებისგან**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ მეხსიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ის ნარატივები, რომელსაც რეჟიმი ავრცელებდა, რაც ქმნიდა ერთგვარ ამბივალენტურ დამოკიდებულებას, როგორც მმართველი ელიტის მიმართ, ისე რიგითი ჩინოვნიკების მისამართით.

ზეპირი ისტორიების კვლევისას კიდევ ერთი ფაქტი გამოიკვეთა - **ინფორმაციის შენახვისა და თაობებზე გადაცემის მისია მამაკაცებს ჰქონდათ აღებული**. ქალების გარკვეული ნაწილი მიგვითითებდა, რომ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მისი ძმები ფლობდნენ. ინფორმაციის მამაკაციდან მამაკაცზე გადაცემა, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული, რაც სცილდება ჩვენი კვლევის მიზანს. თუმცა ინფორმაციის ტრანსმისიის ამ თავისებურებას (მამაკაცების ხაზით

გადაცემას) ადასტურებს ბოლო წლებში ზემო აჭარაში ჩატარებული კვლევებიც, რომელიც მეხსიერების ფორმების კვლევას მიეძღვნა (თანდაშვილი, 2021:173-175).

როდესაც რეპრესირებულთა შთამომავლებზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს *პოსტტრავმული სტრესის* დარღვევების არსებობა. ტრავმის გამომხატველ სიმპტომებს შორის გამოკვეთილად შესამჩნევია *გაუცნობიერებელი შიში*, რომელიც დღემდე თან სდევს რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს. ჩვენს რესპონდენტებზე დაყრდნობით თუ ვიმჯელებთ, ტრავმირებული მეხსიერებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელ სიმპტომებს შორის შესაძლოა გამოვყოთ *მომავლის შიში*, რაც გამოიხატება მუდმივად უბედურების მოლოდინში, რომელიც მეორე და მესამე თაობის რესპონდენტებში ვლინდება. „*მამა 1937 წელს არის დაზადებული და ცხადია, ბაბუის დახვრეტის შესახებ მამისგან იცის, მაგრამ სისტემის შიშის გავლენას ხშირად ვხედავდი მის ქმედებებსა და საუბარში. მახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ დროს პროცესებში ჩართვას მიკრძალავდა. არ არის აუცილებელი ყველა ცვლილებას ჩვენი ოჯახის წევრი შეეწიროსო. ასეთივე გაუცნობიერებელი შიში ჰქონდა საკვებთან დაკავშირებით. სულ იმაზე მეტს იმარაგებდა, ვიდრე ოჯახს სჭირდებოდა „შიმშილის“ შიშით. ზოგადად, ოჯახში პრიორიტეტული იყო სითბო და საკვები მაშინაც, როცა ამის ასეთი საჭიროება არ იდგა.“* (მესამე თაობის რესპ. 39 წლის, მდედრ.)

მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახის მეორე და მესამე თაობის შთამომავლებს შორის ტრავმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის *პრივილეგიზებულიობის* შეგრძნება. „*ბაბუაჩემი ხალხს არ უყვარდა, რადგან განათლებული და მდიდარი იყო. 4 ენა იცოდა. დღესაც არ ვუყვარვართ თავადები ხალხს, მაგრამ მე მკითხონ. ყოველთვის ვგრძნობ მათთან უპირატესობას, მაშინაც კი, როცა არ მინდა. ბუნებრივად ხდება“* (მესამე თაობის რესპ. 55 წლის, მდედრობითი).

ტრავმისგან სრულიად თავისუფალი არც მეოთხე თაობის შთამომავლები არიან, რომლებიც, მართალია, ჩვენი კვლევის საგანი არ ყოფილა, თუმცა თუ ოჯახში ცხოვრობდა რამდენიმე თაობა, საინტერესო იყო მათი პოზიციაც, რომელსაც *დანაშაულის გრძნობა* შეიძლება ვუწოდოთ. „*მე ვფიქრობ, ბევრი ცოდვა მოგვეყვება წინაპრებისგან. თავადები ალბათ ხშირად დამსახურებულად არ უყვარდა ხალხს.*

გლეხებს როგორ აწვალდნენ ვინ იცის. ამიტომ სულ მგონია, რომ მათი ცოდვები მოგვეყვება დღემდე“. (მეოთხე თაობის რესპ. 30 წლის, მდედრობითი).

გაუცნობიერებელი შიში და უნდობლობა თითქმის ყველა სოციალური ფენისთვის დამახასიათებელი სიმპტომია. რესპონდენტების უმრავლესობამ იცის, ვინ დაასმინა მათი ოჯახის წევრი, მაგრამ ერიდებიან ამაზე საუბარს „შვილებს მტერი არ დაუტოვოს“ მოტივით.

ძალიან ხშირია ისტორიები, როცა დახვრეტილთა თუ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი ვაჟები, ახალი უბედურების მოლოდინისა და შიშის გამო სახლში იმალებოდნენ ან საერთოდ არ ათევდნენ ღამეს სახლებში. „მამისგან ვიცი, ბაბუა მამის დახვრეტის შემდეგ, დიდხანს იმალებოდა, ზოგჯერ კი, ქალის ტანსაცმელს იცვამდა და ყანაში ისე მუშაობდა“. (39 წლის რესპონდენტი, მდედრობითი).

ტრავმული ინფორმაციის თაობებს შორის ტრანსმისიის კვლევისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ შესაძლოა მსგავს საკითხებზე საუბარს ერიდებოდნენ „დაქვრივებული“ დედები და ცდილობდნენ ოჯახის ტრაგედია შვილებს არ ეგრძნოთ, თუმცა ხშირად ოჯახის სხვა წევრებიც ხდებოდნენ დევნის სამიზნე და ეს საკმაოდ ხილული და დროში გაწელილი პროცესი იყო. შედეგად, საყოველთაო უნდობლობა, სიმართლის დაფარვა და შიში საკუთარი მეზობლის, ნათესავისა თუ სულაც აჩრდილის, თაობების ფსიქიკას აზიანებდა.

აჭარის რეგიონში, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ერთ-ერთი მთავარი ბრალდება თურქოფილი პარტიის წევრობა იყო, რომელიც, ცხადია, ანტისაბჭოთა ქმედებად ითვლებოდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ის ანტიქართულ საქმიანობადაც შეიძლება იქნას განხილული. მართალია, საყოველთაო რეაბილიტაციის დროს, საბჭოთა სისტემის მიერ რეპრესირებულ პირებს მოეხსნათ დანაშაული, მაგრამ საარქივო დოკუმენტებში არსებული ჩანაწერი, რომელიც შესაძლოა სრულიადაც არ წარმოადგენდეს ჭეშმარიტებას, ისევ ტოვებს კითხვის ნიშნებს რეპრესირებულთა შთამომავლებში. ჩვენთვის ცნობილია, რომ ფუნქციონირებდა თურქული ინტერესების გამტარებელი პარტია „სედაი მილეთი“, რომელმაც ფეხი ვერ მოიკიდა აჭარაში და პარტიის წევრთა უმრავლესობამ მოგვიანებით პოზიცია შეიცვალა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არსებული

კვლევები არ იძლევა სახელობით ინფორმაციას პიროვნებებზე, რომელზე დაყრდნობითაც ისინი თავს რეაბილიტირებულად ჩათვლიდნენ. ზეპირი ისტორიების, როგორც ალტერნატიული მეხსიერების კვლევისას აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებით გაესვა ხაზი. ამდენად, ამ მიმართულებით კვლევა საინტერესო იქნება იმ ბრალდების ანალიზისთვის, რომელიც არა მხოლოდ ანტისაბჭოთა, არამედ დღევანდელი, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც არ წარმოადგენს ნათელ მაგალითს პიროვნებათა ინდივიდუალურ მეხსიერებაში. მეხსიერება კი შერჩევითია. ადამიანები ცდილობენ დაივიწყონ ის ფაქტები, რომლებიც მათთვის ჯერ კიდევ ღია ტრავმას წარმოადგენს და მიჩქმალონ შემთხვევები, რომლებიც დღევანდელი გადმოსახედიდანაც შესაძლოა ნეგატიურად შეფასდეს.

მემედ შერვაშიძე, რომელიც ალიქოლლებში ცხოვრობდა (ქედის რაიონი, ახლანდელი სოფ. ოქტომბერი, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სოფელს დღემდე შემორჩა ეს სახელწოდება), მოტყუებით გაიყვანეს სახლიდან ჩინოვნიკებმა, თითქოს თურქული ენის მცოდნე ესაჭიროებოდათ ერთ-ერთი შეხვედრისთვის, გვიყვება მისი შვილიშვილი 83 წლის, 1937 წელს დაბადებული სერგო შერვაშიძე. მემედ შერვაშიძე ოჯახს მას შემდეგ აღარ უნახავს, თუმცა იცოდნენ, რომ კარგი არაფერი ელოდა. მოგვიანებით, სოფელში მისი დახვრეტის ინფორმაცია გავრცელდა. წაყენებულ ბრალდებაზე უარი თქვა, შეეპასუხა, რაც გახდა დახვრეტის მიზეზი, იხსენებს მამის მონათხრობ დეტალებს რესპონდენტი, თუმცა თავად მამას საიდან ჰქონდა ეს ინფორმაცია, ვერ ამბობს.

შსს-ს არქივში დაცულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მემედ შერვაშიძე 1937 წელს დახვრიტეს ორი ბრალდებით - რევოლუციამდე ავიწროებდა გლეხებს, რევოლუციის შემდეგ ხელმძღვანელობდა „სედაი მილეთის“ პარტიას ქედაში და ეწეოდა კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდას. საიდუმლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ ასევე დახვრეტის მისი ძმა ნური შერვაშიძე, რომელიც დოკუმენტების გასაჯაროებამდე დაკარგულად ითვლებოდა.

შსს-ს არქივში კიდევ ერთი საქმე არის დაცული, რომელიც აჭარიდან გადასახლებულ თავად-აზნაურებს ეხება, სადაც აღწერილია გადასახლებულთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობა, მათი დამოკიდებულება გლეხებთან და

ურთიერთობა საბჭოთა რეჟიმთან.² გადასახლებულთა სიაში მოხსენიებული არიან ძმები მემედ და ნური შერვაშიძეებიც. მართალია, მამის სახელად მითითებულია ჰაჯი, მაგრამ სინამდვილეში, როგორც დახვრეტის დოკუმენტშია მითითებული, ბრალდებულთა მამას ასლანი ერქვა და ჰაჯი ასლან ბეგად იწოდებოდა. გარდა ამ დაზუსტებისა, მნიშვნელოვანია ჩანაწერის ის ნაწილი, რომელიც ზემოთ ნახსენები ძმების საბჭოთა რეჟიმთან დამოკიდებულებას ეხება. დახვრეტის დოკუმენტისგან განსხვავებით აქ წერია, რომ 50 წლის მემედ შერვაშიძე მთავრობის წინააღმდეგ არ გამოდის. წარსულში ის არაფერშია შემჩნეული. კავშირი აქვს კულაკებთან. გლეხებს ის არ უყვართ. გადასახლებულთა სიაში არის მესამე ძმა ასან შერვაშიძეც, რომელიც ასევე ჰაჯის ძედ არის მოხსენიებული. გთავაზობთ საქმიდან ამონაწერს:

შერვაშიძე მამედ ბეგი ხაჯის ძე, 50 წლის, ოჯახთან ერთად ცხოვრობს სოფელ ალიკ-ოღლიში (ალიკოღლოები, ახლანდელი სოფ. ოქტომბერი). ფლობს 4 დესეტინა მიწას, რომელსაც ამუშავებს თვითონ. ღარიბები არ უყვარს. კავშირი აქვს კულაკებთან. მთავრობის წინააღმდეგ არ გამოდის. წარსულში არაფერშია შემჩნეული. გლეხებს ის არ უყვართ.

შერვაშიძე ნური(დ) ბეგი ხაჯის ძე, 37 წლის, 5-სულიან ოჯახთან ერთად ცხოვრობს სოფელ ალიკ-ოღლიში. ნური(დ) ბეგი ფლობს 3 დესეტინა მიწას, რომელსაც თავად ამუშავებს. როგორც წარსულში, ისე ამჟამად არაფერ ცუდში შემჩნეული არ არის.

შერვაშიძე ასან-ბეგი ხაჯის ძე, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ალი-ოღლიში. ფლობს 4 დესეტინა მიწას, რომელსაც ამუშავებს თვითონ. ღარიბები არ უყვარს. კავშირი აქვს კულაკებთან. მთავრობის წინააღმდეგ არ გამოდის. წარსულში არაფერშია შემჩნეული. გლეხებს ის არ უყვართ.

² შსს-ს არქივი (II), ფონდი 14, საქმე 43, აღწერა 3, ყუთი 7, გვ. 179-190

ПРОТОКОЛ № 34 Сов. Секретно

Заседания тройки при Народном Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР
от 10 X 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____

Члены _____ Прокурор по спецделам _____

Секретарь _____

С л у ш а л и:	П о с т а н о в и л и:
По следделу №- 28665 НКВД Аджарии <u>По обвинению:</u> ШЕРВАШИДZE Мамеда Аслановича, 1867 г. рожден. ж.с. Аликоглез, Кединского района, семейный, о(партийный, гражданский, семей, стражники, член к-р организации "Седая-Милиция", ранее не судимый. - 8 лет Обвиняется в том, что служил в дореволюционное время стражником угнетал крестьян, после Октябрьской революции в 1921 и 1923 гг. руководил к-р организацией "Седая-Милиция" в Кединском районе. Вел(а) агитацию против колхозостроительства находясь в тесной связи с бывш. беками и агала-рами. - Преступление предусмотренное ст. 58/10 УКГ. (Докладчик тов. КОНСТАНТИНОВИ) ПРЕДСЕДАТЕЛЬ: _____ Ч Л Е Н Ы: _____ СЕКРЕТАРЬ: _____	✓ <i>Рассуждение</i> <i>Министр. К. К. К. К.</i> <i>В. К. К. К.</i>

(შსს-ს ციფრული არქივი, ფონდი 8).

მემედ შერვაშიძე იყო ისტორიისთვის ცნობილი, ქვემო აჭარის მაზრის უფროსის - თუფან ბეგ შერვაშიძის ძმა, რომელიც როგორც ზეპირი გადმოცემით, ასევე საისტორიო წყაროების მიხედვით, ე.წ. მუჰაჯირობის დროს“ თითქმის მთელ სოფელს ეხმარებოდა, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მოსახლეობა იძულებით ტოვებდა მიწა-წყალს და თურქეთში გადადიოდა. თუფან ბეგ შერვაშიძის შვილი - სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 1921 წლის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი - ყადირ შერვაშიძეა, რომელმაც საცხოვრებელი სახლის საკუთარი ნაწილი უსასყიდლოდ გადასცა რაიონულ საავადმყოფოს და ასევე უსასყიდლოდ მკურნალობდა, „ტარტუს“ უნივერსიტეტში სამედიცინო განათლებამიღებული 27 წლის ახალგაზრდა, იმ დროს

გავრცელებული „ქოლერით“ დაავადებულ თანასოფლელებს. მართლია, მოგვიანებით, თავად „სედაი მილეთის“ პარტიის წევრებიც, რომლებსაც ადგილობრივ მოსახლეობაში თითქმის არ ჰყავდა დასაყრდენი, ნაწილი საბჭოთა სამსახურში ჩადგა, ნაწილი კი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრი გახდა (ჩოხარაძე, 2015). მაგრამ მაინც ბედის ირონიაა სწორედ გლეხების შევიწროებითა და ოსმალური იდეების გამტარებელი პარტიის ხელმძღვანელის ბრალდებით დაგსაჯონ. როგორც ჩანს, ადამიანს წაუყენო მისთვის ყველაზე მეტად შეუარაცხმყოფელი ბრალდება, ყველა რეჟიმის საერთო თვისებაა.

30-იან წლებში დაპატიმრებულთა დიდ ნაწილს "შეკერილი" ბრალდების საფუძველზე აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ ან გადასახლებაში აგზავნიდნენ, 60-იანი წლებში რეალურად სხვაგვარად მოაზროვნე, საბჭოთა რეჟიმისადმი უნდობლობით განმსჭვალული და სიმართლის მაძიებელ ადამიანებს დევნიდნენ, ოღონდ სხვაგვარად: აპატიმრებდნენ და შემდეგ ძირითადად ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იძულებით მკურნალობდნენ.

ამ მხრივ გამორჩეული ისტორია აქვს რევაზ ზივერის ძე ცინცაძეს, რომელიც 1936 წელს ბათუმის რაიონ სოფელ კირნათში დაიბადა. ომის შემდეგ შუა აზიაში გადასახლებულთა შორის ცინცაძის ოჯახიც იყო, საიდანაც დაბრუნება მოახერხეს. ცინცაძის ისტორია ნათლად ასახვს იმდროინდელი რეჟიმის დამოკიდებულებასა და მოქმედების სპეციფიკას ადამიანების მიმართ. „დაახლოებით მე-9 კლასიდან პოლიტიკამ გამიტაცა. მაშინ ძირითადად „კომუნისტი“ იყო გაზეთი. ამას ვკითხულობდი განსხვავებით სხვა მოწაფეებისგან და მჯეროდა, რომ მეუბნებოდნენ სიმართლეს, რომ ჩვენთან ყველფერი კარგია, დასავლეთში კი სიდუხჭირეა, უბედურებაა და ა.შ. „კომუნისტში“ მთელი გვერდი მიძღვნილი იყო ვიშინსკის გამოსვლისადმი გაეროში, ამას თავიდან ბოლომდე რომ წავიკითხავდი, მერე ეწერა აღვირახსნილი ანტისაბჭოთა გამოსვლით გამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი ლოჯიო. კი ვფიქრობდი, ერთხელ მაინც დამიწერონ მოკლედ მაინც, რა თქვა ლოჯმა-მეთქი. ასე იყო ცალმხრივად, ვერაფერს ცუდს სსრკ-ზე ჩვენ პრესასა და რადიოში ვერ ნახავდი, ამიტომ ცალმხრივად ვიყავით განვითარებულები“ (თუმურაშვილი, 2017:21-41).

სკოლის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც კვლავ სოციალიზმის უპირატესობაზე ესაუბრებოდნენ კაპიტალისტურ წყობასთან შედარებით. მცირე ეჭვების მიუხედავად, სრულად იზიარებდა მსგავს შეხედულებებს. „ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში რომ დავიწყე მუშაობა, შემეცვალა წარმოდგენა. ვფიქრობდი ესაა ჩვენი შრომის სწორი ორგანიზაცია, ესაა ჩვენი მექანიზაცია?! საბჭოთა პროპაგანდა არასწორ ინფორმაციას რომ ავრცელებდა, დარწმუნდა 1966 წელს გერმანიაში ვიზიტისას. „საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში მომიწია გერმანიაში გამგზავრება. ვნახეთ ქარხნები, ფაბრიკები. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც ცა და მიწა, ისეთი სხვაობა იყო. ჩამოვყალიბდი, რომ ჩვენი ცხოვრება ყოფილა მთლიანად ყალბი. იქაც იყო უარყოფითი მხარეები, მაგრამ წარმოების მექანიზაცია ის სულ აწყობილი იყო, ჩვენთან პარტიას უნდა ებრძანებინა, ეს ასე გამოუშვით და ამდენიო. სულელურ განკარგულებებს იძლეოდნენ. ვთვლიდი, რომ ვიყავი გაზრდილი ამ წყობილების მიმართ სიყვარულით, ამიტომ ეს ტყუილი ძალიან მეტკინა“ (თუშურაშვილი, 2017:21-41).

1967 წელს რევაზ ცინცაძემ პირველი წერილი მისწერა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. კოსიგინს, ასლი კი გაზეთ „პრავდას“ გაუგზავნა. წერილი რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა“ 1. შესავალი; 2. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვუთხრათ ხალხს სიმართლე; 3. „საკოლმეურნეო წყობა დაემხო“; 4. და მრეწველობა? 5. რამდენიმე სიტყვა განათლების შესახებ; 6. 99.9% „ერთხმად“; 7. ჩვენი არასამართლიანი პრესა; 8. სკკპ - ანტიდემოკრატიის, სამეურნეო წარუმატებლობების და სხვა სისულელების წყარო.

ცინცაძე შესავალში ა. კოსიგინს თხოვდა, ჩაფიქრებულიყო წერილში მოყვანილ შენიშვნებზე და იმედს გამოთქვამდა, რომ ადრესატში გამოიწვევდა თანაგრძნობასა და მხარდაჭერას. „მიუხედავად იმისა, რომ მთელი შემდგომი კრიტიკა პირდაპირ თუ არაპირდაპირ თქვენც გეხებათ, მიმართულია თქვენს წინააღმდეგ, მაქვს თქვენდამი დიდი სიმპათია და დიდი პატივისცემა.

მსურს, რომ თქვენ გულდასმით გაეცნოთ ჩემს წერილს და ჩაუფიქრდეთ, ჩაუფიქრდეთ და კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდეთ ქვემოთ დასმულ საკითხებს. მინდა მჯეროდეს, რომ თქვენთან ვიპოვი მხარდაჭერას და თანაგრძნობას. მინდა

მჯეროდეს, რომ მთავრობის წევრებსა და პარტიის უმაღლეს მუშაკთა შორის მოიძებნებინა ადამიანები, რომლებშიც პატრიოტიზმის გრძნობა ყველაფერზე უფრო მაღალია.

სრულიად მაქვს გააზრებული, თუ ვის წინააღმდეგ გამოვდივარ. ვიცი, რომ მივდივარ დიდ „კადნიერებაზე“ და „თავხედობაზე“. მე ვიცი, რა საფრთხეს ვუმზადებ საკუთარ ბედს, მაგრამ ამის მიუხედავად, მე გადაწყვეტიე ამ წერილის დაწერა...“ შემდეგ თავებში ის ეხება 37 წლის დევნას და ითხოვს მასალების გასაჯაროებას, აკრიტიკებს საარჩევნო სისტემას, არასამართლიან პრესას, იწუნებს საბჭოთა პედაგოგთა განათლების დონეს, განიხილავს კოლმეურნეობების გაუქმებას და მიწების გლეხებისთვის კერძო საკუთრებაში გადაცემას ან მსხვილი მეურნეობების შექმნის შესაძლებლობას, კაპიტალისტური წყობის მსგავსად. წერილის დასარულს ითხოვს მთავრობის დათხოვას ან დროებით მთავრობის დარქმევას და დემოკრატიული არჩევნებისთვის მზადების დაწყებას (თუმურაშვილი, 2017:21-41).

რევაზ ცინცაძე პასუხს 2 წლის განმავლობაში ელოდა და რადგან პასუხი ვერ მიიღო, გადაწყვიტა მეორე წერილიც გაეგზავნა იგივე ადრესატისთვის. წერილი 72 გვერდი გამოვიდა. იმ პერიოდში მოსკოვში უნდა წასულიყო მივლინებით, ამიტომ წერილები ჩანთაში ჩაალაგა და მოსკოვის საფოსტო განყოფილებაში წაღება გადაწყვიტა. ჩანთა აიღო და სამსახურში, მანქანათმშენებელი ქარხნისკენ გასწია. რევაზ ცინცაძემ მისი დაპატიმრებისა და შემდგომ ფსიქიატრიულში მოხვედრის ისტორია დაწვრილებით აღწერა დღიურში³, რომელიც შსს-ს არქივშია დაცული. სამსახურიდან უშიშროების კომიტეტის მაიორმა ცანავამ სუკის შენობაში წაიყვანა დაკითხვაზე. შეკითხვები პირველ წერილს შეეხებოდა. აღმოჩნდა, რომ წერილი მოსკოვიდან საქართველოს უშიშროების კომიტეტში გადმოაგზავნეს. ის ნაწილი კი, რომელიც კოლმეურნეობებს შეეხებოდა, აჭარის კოლმეურნეობაში გააგზავნეს „განსახილველად“. ცინცაძეს თან ჰქონდა მეორე წერილიც, რომლის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან უშიშროების მიერ ცინცაძისთვის მიგზავნილი „ამხანაგის“ მიერ ინფორმაცია უკვე ცნობილი იყო და დაპატიმრებაც მეორე წერილის დასრულებას შემთხვევით არ დაემთხვა. ცინცაძე იხსენებს, როგორი

³ რევაზ ცინცაძე, დღიური. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. #3.

შეურაცხყოფელი იყო დაპატიმრების პროცესი. ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მას შემდეგ გადაწყდა, რაც ცინცაძე უარს ამბობდა „შეცდომის“ აღიარებაზე. სპეციალური კომისია თბილისიდან ჩამოვიდა. საბოლოო დასკვნისთვის კი ცინცაძე თბილისში, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. დადგინდა, რომ ცინცაძე შიზოფრენიით არის დაავადებული და იგი პროგრესირებადია. იძულებითი მკურნალობა კი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ბათუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გაიაროს.

მართალია, ცინცაძე თბილისიდან ბათუმში გადაიყვანეს, მაგრამ მას არც ფსიქიატრიული დასკვნის და არც სასამართლოს განაჩენის შესახებ არ აცნობეს. განაჩენში ვკითხულობთ: „სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მოწმეთა ჩვენებები და სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, გამოარკვია და დადგენილად მიიჩნია შემდეგი: რევაზ ზივერის ძე ცინცაძე მუშაობდა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად. 1967 წლის მეორე ნახევრიდან დაპატიმრებამდე ის ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას - ამზადებდა, ინახავდა და ავრცელებდა ცილისმწამებლურ გამონაგონებს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის წერილობითი დასკვნით და ფსიქიატრ-ექსპერტ თევდორაძის ჩვენებით სასამართლო სხდომაზე დადგენილია, რომ რევაზ ზივერის ძე ცინცაძე, დანაშაულის ჩადენის დროს და ამჟამადაც ავადაა ქრონიკული სულიერი დაავადებით - შიზოფრენიით და ის არის შეურაცხადი პიროვნება, პასუხს არ აგებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე და ამიტომ მოთავსებულ უნდა იქნეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იძულებითი მკურნალობისთვის“.

თავმჯდომარე: ს. ვანიძე

სახალხო მსაჯულები: ა. ჯანელიძე; ა. დონაძე.⁴

ცინცაძე 2 წლის განმავლობაში „მკურნალობდა“ ყაზანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, პერიოდულად გადიოდა შემოწმებას. მორიგი შემოწმების დროს, ექიმმა ურჩია, რა პასუხები უნდა გაეცა კომისიითვის. უნდა ეთქვა, რომ მის მიერ დაწერილი წერილების შინაარსს არ ეთანხმებოდა. მართლაც ასე მოიქცა ცინცაძე, რის

⁴ საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი#6, ს.#7011, ტ.#2, ფურც.17-20

შემდეგაც ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოწერეს და ბათუმში დაბრუნდა, სადაც ის „აღრიცხვაზე“ იყო აყვანილი. ბათუმში დაბრუნების შემდეგ, ცინცაძე აღარ აკრიტიკებდა საბჭოთა სისტემას და აღარ ავრცელებდა ისეთ მოსაზრებებს, რომელიც სახელმწიფო უშიშროების მიერ „ანტისაბჭოთა აგიტაციად“ შეიძლებადა ყოფილიყო მიჩნეული.

ამდენად, საბჭოთა რეპრესია ერთ-ერთი მთავარი ტრავმული გამოცდილებაა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კოლექტიურ მეხსიერებაში. გარდა საყოველთაო შიშისა და ტერორისა, რომელსაც ტრავმების სახით დღემდე ატარებს რეპრესირებულთა ოჯახები და მათი შთამომავლები, მათ აქვთ უსამართლობის განცდა დარღვეული ქონებრივი უფლებების შესახებ. მათგან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა თუ მოახერხა ამ უფლების ნაწილობრივ აღდგენა, რაც ზოგად სურათში, გამონაკლის შემთხვევებად შეიძლება განვიხილოთ.

მთელი რიგი მიზეზებისა და მაგალითების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრავმები, რომელიც საბჭოთა სისტემამ სხვადასხვა ფორმით მიაყენა საზოგადოებას, ჯერ კიდევ ღია ჭრილობას წარმოადგენს, რაც ხელშემშლელია მასთან დისტანცირებისა და ობიექტური შეფასებისთვის.

რეპრესირებული პირების დოკუმენტების მეტი საჯაროობა და ამასთან ერთად, ინდივიდუალური ისტორიების ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ტრავმების რეაბილიტაციის პროცესს. ერთის მხრივ, დაზარალებულთა ოჯახებს უფლება აქვთ იცოდნენ სიმართლე, რაც სამართლიანობის აღდგენას მოემსახურება, მეორე მხრივ, ინდივიდუალური ისტორიების, როგორც ალტერნატიული მეხსიერების ხელმისაწვდომობა, საბჭოთა პერიოდის უკეთ გააზრებას შეუწყობს ხელს.

მომდევნო თავში მიმოვიხილავთ საბჭოთა წარსულის გადაფასების მცდელობებს ინსტიტუციურ დონეზე. მათ შორის, რეპრესირებულთა რეაბილიტაციის საკითხებისადმი დამოკიდებულებას, რაც შესაძლოა, დამატებითი ტრავმის საფუძველი გამხდარიყო.

III თავი - საბჭოთა წარსულის გადაფასება ინსტიტუციურ დონეზე

3.1. საკანონმდებლო ცვლილებები, ლუსტრაციის საკითხი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ინსტიტუციურ დონეზე დადგა საბჭოთა მმართველობის შეფასების და მისგან დისტანცირების საკითხი. 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ (საკანონმდებლო მაცნე, 1990), რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ ღონისძიებებს საბჭოთა იმპერიისაგან ეტაპობრივი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის მიმართულებით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით მოქმედებდა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი. შესაბამისად, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შეიცვალა სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“. გაუქმდა მთელი რიგი მუხლებისა, რომელიც საბჭოთა ცხოვრების წესებს აღგენდა. შეიცვალა ქვეყნის მთავარი სიმბოლოები - დროშა, გერბი, ჰიმნი (ქარაია, 2017).

1991 წლის 31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90 %-ზე მეტმა და აბსოლუტურმა უმრავლესობამ კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს გაფორმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო იქნებოდა 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

ამდენად, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის არა ხელახლა გამოცხადებით, არამედ აღდგენით, საქართველომ სიმბოლური კავშირი დაამყარა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტსა და იმდროინდელ დამოუკიდებელ საქართველოსთან.

უკანონოდ გამოცხადდა „1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულება“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. ასევე გაუქმდა 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ“ (გამსახურდია, 1991:1-2; ქარაია, 2015).

საქართველომ უარი თქვა რუსეთის ფედერაციის მიერ შემოთავაზებულ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე - „დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ ე.წ. დსთ-ში შესვლაზე (ჯონსი, 2013:50-51).

საბჭოთა კავშირისგან დისტანცირების კიდევ ერთი ნაბიჯი იყო 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომელმაც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარები ოკუპანტთა შეიარაღებულ ძალებად გამოაცხადა და მთავრობას დაავალა რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება მათი ეტაპობრივი გაყვანის შესახებ (ქარაია, 2015:67).

აღნიშნული პოლიტიკა საქართველოში თანმიმდევრულად ვერ განხორციელდა, რადგანაც 1992 წლის 6 იანვარს, როდესაც სამხედრო საბჭომ (ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი, თ. სიგუა) დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, რუსეთის ფედერაციის ჯარებს ოკუპანტის სტატუსი მოეხსნა.

ამდენად, დამოუკიდებლობის პირველივე ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო ინსტიტუციურ დონეზე გამიჯვნოდა საბჭოთა სისტემას და ხაზი გაესვა საბჭოთა კავშირში ყოფნის იძულებით ხასიათზე, რაც ერთგვარი სიგნალი იყო იმისა, რომ საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის, გააზრების და მისი კოლექტიურ მეხსიერებაში ასახვის პროცესი იწყებოდა. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა საბჭოთა ხელისუფლებისთვის მოღვაწე პირთა ძეგლებისა და მონუმენტების ნგრევის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ეროვნული მოძრაობის ეტაპზე დაიწყო და მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა, როცა დიდების კვარცხლბეკს ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ ლენინის, სერგო ორჯონიკიძის, სერგეი კიროვის, ბორის ძნელაძის, როზა ლუქსემბურგის და სხვათა ძეგლები. მათ ადგილს კი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა სახელები იკავებდნენ.

1989-1990 წლებში გადაერქვა და ისტორიული სახელები დაუბრუნდა საქართველოს ქალაქებს და რაიონულ ცენტრებს, რომლებიც რევოლუციონერთა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა სახელებს ატარებდნენ (გეგეჭკორი-მარტვილი, მახარაძე-ოზურგეთი, ცხაკაია-სენაკი, ორჯონიკიძე-ხარაგაული, წულუკიძე-ხონი) სახელები გადაერქვა მათი სახელობის ქუჩებს, მოედნებსა და სკვერებს და მათ ქართველი ისტორიული პერსონაჟების, მწერლების, პოეტების, ისტორიული მოვლენების, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელები ეწოდა (ქარაია, 2015).

ეს პროცესი სრულად შეესაბამება ისტორიული უწყვეტობის შენარჩუნების ცნობილ პრაქტიკას, რომელსაც ე. ზერუბაველი „დისკურსულ უწყვეტობას“ უწოდებს. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 1991 წლის 9 აპრილს და პირველი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება იმავე წლის 26 მაისს ასევე წარსულთან სიმბოლური კავშირის გაბმას ემსახურებოდა.

ამდენად, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე საბჭოთა წარსულისადმი დამოკიდებულება საკმაოდ ნეგატიურია, თუმცა სამხედრო გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის შემდეგ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ხელისუფლებაში მოსული შევარდნაძის დამოკიდებულება გაცილებით პოზიტიური იყო საბჭოთა რეჟიმის მესვეურთა და სტალინის მიმართ. ცხადია, ხელისუფლების განწყობა მათ მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსზეც აისახა. თუ გამსახურდიამ დაიწყო და რადიკალურად შეეცადა აღწერილი პროცესის ფორსირებას, შევარდნაძე უბრალოდ იძულებული იყო გაეგრძელებინა ეს პროცესი, მაგრამ ბევრად უფრო ნელა და არასისტემურად. შესაბამისად, საბჭოთა წარსულის გადაფასება და მისგან დისტანცირება, პირველი ორი პრეზიდენტის მმართველობის პირობებში, გაცილებით უფრო შეიმჩნეოდა ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, განსაკუთრებით ინსტიტუციურ დონეზე.

თამარ ქარაია, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავრობების მეხსიერების პოლიტიკას იკვლევდა, მიუთითებს, რომ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული საქართველოში პირობითად ორი ძირითადი ეტაპის გამოყოფა არის შესაძლებელი: ერთი - საბჭოთა წარსულის დავიწყებისა და წაშლის მცდელობის პერიოდი, ხოლო მეორე - საბჭოთა ოკუპაციის მეხსიერების ადგილების შექმნის გზით, ახალი მეხსიერების ფორმირების მცდელობა. მეხსიერების ძველი

ადგილების „წაშლის“ პროცესი მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულსა და 21-ე საუკუნის პირველ წლებს მოიცავს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იწყება ახალი ეტაპი, როცა აქცენტი მეხსიერების ახალი ადგილების შექმნაზე გადადის. თუმცა „წარსულთან ანგარიშსწორება“ კიდევ გრძელდებოდა (ქარაია, 2015). ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ 2004 წლის 5 მაისს, აჭარაში ვარდების რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ბათუმის ბულვარის შესასვლელში, დემონსტრანტების მიერ მემედ აბაშიძის ძეგლზე დანთებული ცეცხლი, რაც წინა მთავრობის სიმბოლოებისგან რადიკალურ გამიჯვნას ემსახურებოდა.

მემედ აბაშიძე (1873-1937) აქტიურად იბრძოდა მუსლიმ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც 1937 წელს რეპრესიების მსხვერპლი გახდა. 1960-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ „გაიხსენა“ მისი სახელი და საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის სამსახურში „ჩააყენა“. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა წარსულის ავტორიტეტული სახელების მობილიზებას და მათ რეპრეზენტაციას საჯარო სფეროში, რაც საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციას ემსახურებოდა. აბაშიძის მოღვაწეობა ასეთ ავტორიტეტულ წარსულად ჩაითვალა, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგიის დაფასების გრძნობა უნდა აღედგინა საზოგადოებაში. შესაბამისად, მისი პორტრეტები სხვადასხვა საბჭოთა დღესასწაულსა თუ სასკოლო ღონისძიებაში გამოჩნდა, რაც ფორმით ნაციონალური, შინაარსით კი სოციალისტური იდეოლოგიის გამოხატულება იყო.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ასლან აბაშიძე - მემედ აბაშიძის შთამომავალი - აქტიურად იყენებდა მისი წინაპრის ავტორიტეტს საკუთარი 13-წლიანი მმართველობის ლეგიტიმაციისათვის; გამოიყენებდა მისი ნაშრომები, იდგმებოდა ძეგლები, სახელი ენიჭებოდა ქუჩებს. 2002 წელს ასლან აბაშიძემ მემედის ძეგლი შეუკვეთა ცნობილ ქართველ მოქანდაკეს ელგუჯა ამაშუკელს. ძეგლი ბათუმის ბულვარში საზეიმოდ გახსნეს ედუარდ შევარდნაძემ და ასლან აბაშიძემ და ამის შემდეგ მას საგანგებოდ უვლიდნენ (ხალვაში, 2016).

ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალი ხელისუფლება ხაზგასმით ცდილობდა ასლან აბაშიძის კორუფციული და ნახევრად სეპარატისტული მმართველობისგან გამიჯვნას. ასეთ ვითარებაში, მემედ აბაშიძის ძეგლი შეუსაბამო სიმბოლოდ

ჩაითვალა ბათუმის ცვალებად პოლიტიკურ პეიზაჟში. მალე მისი ბრინჯაოს ფიგურა ბულვარის შესასვლელიდან აიღეს და ნაკლებად თვალსაჩინო ადგილი მიუჩინეს აჭარის მთავრობის სახლის უკან, მისივე სახელობის ქუჩის კუთხეში, რამაც გარკვეული მღელვარება გამოიწვია. ქალაქის ინტელიგენცია და რიგითი მოქალაქეები ასლანის შეცდომების მის დიდ ბაბუაზე გადატანას გაუმართლებლად თვლიდნენ, ძეგლის გადატანას კი ისტორიის უპატივცემულობად აცხადებდნენ. ეს პოზიცია გამოიხატა ცენტრალური მთავრობისადმი მიწერილ წერილში, რომელსაც დაახლოებით ასი ადამიანი აწერდა ხელს (ხალვაში, 2016). 2013 წელს მემედ აბაშიძის ძეგლს კიდევ ერთხელ შეუცვალეს ადგილი და ევროპის მოედანზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გვერდით მდებარე სკვერში დადგეს.

2005 წლიდან დაიწყო ახალი მონუმენტების, მუზეუმების, მემორიალების შექმნა, რომელთა გახსნა საგანგებოდ რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის თარიღს ემთხვეოდა: 2005 წლის 23 ნოემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი, ხოლო 2006 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა თავისუფლების მონუმენტი - წმინდა გიორგის ქანდაკება. თარიღი საგანგებოდ დაემთხვა გიორგობის დღესასწაულსა და ვარდების რევოლუციის 3 წლისთავს; 2006 წლის 26 მაისს თბილისში დაფუძნდა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომელშიც დაცულია 1921 წლის ოკუპაციისა და გამათავისუფლებელი ბრძოლის ამსახველი მასალები. აღნიშნული თარიღი - 26 მაისი - ბუნებრივია, შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული; 2005 წელს საფრანგეთიდან, ლევილიდან გადმოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს 1924 წლის აჯანყების გმირი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. იმავე წელს დიდუბის პანთეონიდან გადაასვენეს ცნობილი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ექვთიმე თაყაიშვილი; 2007 წელს გროზნოდან მთაწმინდაზე გადმოასვენეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

პროცესი განსაკუთრებით აქტიური გახდა აგვისტოს ომის შემდეგ, როცა „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის ყველა რესურსი ამოწურა. აღნიშნული პროცესის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს 2021 წელს გენერალ გიორგი კვინიტაძის ნეშტის პარიზიდან გადმოსვენებისა და დიდუბის პანთეონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის

გვერდით დაკრძალვის საკითხი, რომელიც ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა. პროცესს წინ უძღოდა მრავალდღიანი საინფორმაციო კამპანია.

გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლის აღება დღის წესრიგში დადგა 2008 წლის 3 ოქტომბერს, როცა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში მაშინდელმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საკითხი წამოაყენა, თუმცა ცხადი იყო, რომ გორში სტალინის თაყვანისმცემლები პროცესს ხელს შეუშლიდნენ. ხელისფლებამ ძეგლის დემონტაჟი 2010 წლის 25 ივნისს ღამით განხორციელა. ეს დრო სავარაუდოდ იმიტომ შეირჩა, რომ თავიდან აეცილებინათ იმ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ძეგლის აღებას. სტალინის ძეგლების აღების სერია გაგრძელდა სხვადასხვა სოფელში (აკურა თელავის რაიონში, ზემო ალვანი ახმეტის რაიონში, ქალაქი თელავი, კიკეთი და სხვ.) (ქარაია, 2015).

ამდენად, ვარდების რევოლუციის გზით მოსული მთავრობის პირობებში, განსაკუთრებით კი 2008 წლის შემდეგ, თვალშისაცემია, ერთი მხრივ, საბჭოთა მეხსიერების დემონტაჟის მცდელობა, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირების, როგორც მეხსიერების ფიგურების გააქტიურება.

ზოგადად, საბჭოთა მემკვიდრეობა უნდა განადგურდეს თუ უნდა შენარჩუნდეს, როგორც ნეგატიური მეხსიერება, განსხვავებულ დამოკიდებულებას იწვევს ისტორიკოსებშიც. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ საბჭოთა სიმბოლიკასთან ბრძოლა ამ ეპოქასთან იდეოლოგიურ გამიჯვნას კი არა, ხელოვნების ნიმუშების განადგურებას ემსახურება. არაერთგვაროვან შეფასებებს იწვევს ოკუპაციის მუზეუმის იმ ფორმით შექმნაც, სადაც ქვეყანა მსხვერპლის როლშია წარმოდგენილი. ფილოსოფოსი, კულტურის კვლევების სპეციალისტი გიორგი მაისურაძე აღნიშნავს, რომ *„მსხვერპლად თვითსტილიზაცია შეცდომებზე თვალის დახუჭვისა და უახლოესი წარსულის გააზრების უუნარობის ნიშნულია. ეს ისტორიის ჩვეულებრივი ფალსიფიკაცია და სტალინური ტრადიციების დაბრუნებაა“* (მაისურაძე, 2020).

საბჭოთა რეჟიმთან დისტანცირების მცდელობად შეიძლება განვიხილოთ 2010 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება, რომლითაც 25 თებერვალი საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაციის დღედ გამოცხადდა. ამავე

წლის 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით შეიქმნა ისტორიული სიმათლის დამდგენი კომისია, რომელსაც კენტის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ რუხაძე ხელმძღვანელობდა. კომისიას ევალებოდა საფუძვლიან სამეცნიერო-ისტორიულ კვლევა-ძიებაზე დამყარებული დასკვნის მომზადება, რომელსაც სრულად უნდა აღეწერა საქართველოს მიერ ცარისტული და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში გადატანილი ისტორიული ძალადობის ფაქტები. დასკვნის წარდგენის ბოლო ვადა 2010 წლის 15 დეკემბერი იყო. საბოლოო ჯამში, შეიქმნა დაახლოებით 40-50 გვერდის მოცულობის დასკვნა-ანგარიში და ითარგმნა ინგლისურ ენაზე (ქარაია, 2015).

თამარ ქარაია, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის მეხსიერების პოლიტიკას იკვლევდა, მიუთითებს, რომ საბჭოთა წარსულის გადაფასების თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავრობათა ნაბიჯები არ იყო თანმიმდევრული. „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული მთავრობის გადაწყვეტილებები საგარეო ურთიერთობების შესაბამისად იცვლებოდა და ხშირად ემთხვეოდა პოლიტიკურ დღის წესრიგს.

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა „თავისუფლების ქარტია“ დაამტკიცა, რომელიც სამ საკითხს მოიცავს - ანტიტერორისტულ ღონისძიებათა პაკეტი, ლუსტრაცია და საბჭოთა სიმბოლიკების აკრძალვა. 2013 წლის 27 ნოემბერს პარლამენტი კვლავ დაუბრუნდა კანონს და პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები, რომელიც ქვეყანაში კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. ევროპის საბჭოს რეკომენდაციით, თავისუფლების ქარტიაში ტერმინთა კორექტირება მოხდა: „საბჭოთა სიმბოლიკა“ შეიცვალა „ტოტალიტარული კომუნისტური სიმბოლიკით“. ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისიის შექმნის საკითხსაც არეგულირებდა. სწორედ ამ კომისიას უნდა გადაეწყვიტა, რომელი ძეგლი ან ბარელიეფი წარმოადგენდა საბჭოთა ტოტალიტარიზმის, კომუნიზმის ან ფაშიზმის სიმბოლოს და მათი აღმოფხვრის შესახებ გადაწყვეტილებები მიეღო, თუმცა კომისია დღემდე არ შექმნილა.

ლუსტრაციის პროცესი, რომელიც საბჭოთა უშიშროების სამსახურებთან დაკავშირებული პირების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას ეხება, პოსტ-საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო. საქართველოში,

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ლუსტრაციის ელემენტების მქონე კანონის შემუშავება 2007 წლამდე ვერ მოხერხდა.

აღმოსავლეთ ევროპის 30 ქვეყნიდან „ლუსტრაციის კანონი“ მხოლოდ 12 ქვეყანაშია მიღებული. 18 ქვეყანას „ლუსტრაციის კანონი“ დღემდე არა აქვს. აღსანიშნავია, რომ იმ 12 ქვეყანაში, სადაც „კანონი ლუსტრაციის შესახებ“ მიღებულია, სიმკაცრის ხარისხით ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მკაცრი კანონები იმ ქვეყნებშია მიღებული, სადაც კომუნისტური რეჟიმი საკმაოდ მკაცრი იყო. გერმანიამ ლუსტრაციის მკაცრი კანონი მიიღო და სწრაფადვე განხორციელა. საკმაოდ მკაცრი ლუსტრაციის კანონი მიიღეს ჩეხეთში და ასევე სწრაფ ტემპებში განხორციელდა. "ლუსტრაციის შესახებ" მკაცრი კანონი მიიღო 1996 წელს პოლონეთმაც (როჟიჩი, 2011).

ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში ლუსტრაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის მკვლევარი პეტერ როჟიჩი აღნიშნავს, რომ „ლუსტრაციის კანონი“ ანტიდემოკრატიულიც შეიძლება იყოს. იმისათვის, რომ კანონმა სრულად იმოქმედოს, აუცილებელია დემოკრატიულობის გარკვეული დონე (როჟიჩი, 2011).

საგულისხმოა, რომ ლუსტრაციის კანონის მიღება არ განუხორციელებია პრეზიდენტ გამსახურდიასაც, რომელიც დისიდენტი იყო და კომუნისტები არ უყვარდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, ორი რამ ყოფილიყო - იგი თავად იყო დაკავშირებული სპეცსამსახურებთან ან არ სურდა, გამოამჟღავნებელიყო საბჭოთა წლებში მისი მამის სპეცსამსახურებთან სავარაუდო თანამშრომლობა, - აღნიშნავს როზიჩი. ლუსტრაციის პროცესი კიდევ დიდი ხნით გადაიდო საქართველოს ხელისუფლებაში საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლის ედუარდ შევარდნაძის მოსვლით.

ზოგადად, როგორც ლუსტრაციის, ისე საბჭოთა ტერორის სრული სურათის აღდგენის შემაფერხებელი ფაქტორი უშიშროების არქივებში საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებული პირების არასრული მონაცემების საკითხია. სწორედ ამ მიზეზით ცდილობენ პოლიტიკოსები 90-იანი წლებიდან მოყოლებული თავი აარიდონ ლუსტრაციის კანონის მიღებას.

2003 წელს წინასაარჩევნო პერიოდში 15 არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებამ (ერთ-ერთი ინიციატორი „თავისუფლების ინსტიტუტი“ იყო) წამოაყენა პროექტი „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“. დოკუმენტის მე-5 პუნქტი ეხებოდა ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობას (ქარაია, 2017). თამარ ქარაია აღნიშნულ აქტიურობას სახელმწიფოს მშენებლობის ახალ ეტაპს და ახალ გამოწვევებს უკავშირებს. „2004 წლიდან, დაპირებისამებრ, დაიწყო ლუსტრაციის კანონის მიღების შესაძლებლობაზე საუბარი. დროთა განმავლობაში საკითხის ირგვლივ მსჯელობა და ინტერესი შიდაპოლიტიკური ურთიერთობების შესაბამისად იცვლებოდა“, - აღნიშნავს ქარაია.

უშუალოდ ლუსტრაციის კანონპროექტი მომზადდა ერთი წლის შემდეგ, პარლამენტის ოპოზიციური ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ მიერ. კანონპროექტი საბჭოთა სპეცსამსახურის წევრებსა და პარტიულ თანამშრომლებზე თანამდებობრივ შეზღუდვას ითვალისწინებდა. საბოლოო ჯამში, 2007 წელს პარლამენტმა 45 ხმით 37-ის წინააღმდეგ ლუსტრაციის შესახებ კანონი ჩააგდო. მიზეზად ისევ სრულყოფილი საარქივო სიების არ არსებობა დასახელდა (ქარაია, 2017).

2009 წელს გამოქვეყნდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კონცეფცია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი კანონი ლუსტრაციის შესახებ. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, საბჭოთა პერიოდის ლიდერებისა და იდეოლოგების გარდა, ლუსტრაცია ასევე უნდა შეეხებოდა მოქმედ სახელმწიფო მაღალჩინოსნებს, დეპუტატებს, კანდიდატებს და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებსაც, რომლებსაც პირადი სატელეფონო, საფოსტო კომუნიკაცია ჰქონდათ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებთან, რომელთა „შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებიან და რომელთა მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა“. ამ ჩანართით ლუსტრაციის კანონი სცილდებოდა ლუსტრაციის გაგებას, რომლის თანახმადაც ის შრომის კოდექსს უკავშირდება. ამ შემთხვევაში კანონი შეეხებოდა არა მხოლოდ წარსულის დანაშაულებს, არამედ ახლანდელსაც, რაც არსებული კანონმდებლობით ისედაც ისჯება. ამ ჩანართით ლუსტრაციის კანონი ასევე უკავშირდებოდა უსაფრთხოების აღქმას, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

საბოლოო კანონპროექტი - „თავისუფლების ქარტია“ ორი წლის შემდეგ, 2011 წელს დამტკიცდა, რომელიც კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, ჩეხეთის და ლიტვის გამოცდილებას ეფუძნება. „თავისუფლების ქარტია“ მოიცავს ანტიტერორისტული ღონისძიებების პაკეტს, ლუსტრაციის ელემენტებსა და საბჭოთა სიმბოლიკების აკრძალვის საკითხს. კანონი ითვალისწინებს თანამდებობრივი შეზღუდვების დაწესებას იმ პირებისთვის, რომლებიც კავშირში იყვნენ საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურებთან 1989 წლის 9 აპრილამდე, თუმცა რეჟიმთან კავშირში მყოფი პირების სია არ იქნება საჯაროდ გამოტანილი. ის მხოლოდ სპეციალური კომისიისთვის იქნება ხელმისაწვდომი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა შექმნილიყო. დღევანდელი მონაცემებით კომისია ჯერ კიდევ არ არის შექმნილი.

2013 წლის 25 დეკემბერს კანონში ცვლილებები განხორციელდა, რომლითაც განიმარტა კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა. დარეგულირდა შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისიის შექმნისა და დანიშნულების საკითხი. კანონში შეტანილი ცვლილებებით მოხდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლის მიზანს საქართველოს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან დაახლოება წარმოადგენდა. ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც“, რომლითაც „თავისუფლების ქარტიით ტოტალიტარული რეჟიმის სიმბოლიკის გამოყენებასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმები და პასუხისმგებლობის საკითხები განისაზღვრა. კანონი დღემდე არ ამოქმედებულა.

„თავისუფლების ქარტიის“ განმარტებით ბარათში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ გაკეთდა არჩევანი ლუსტრაციის ჩეხურ და ლიტვურ გამოცდილებაზე, რომლებიც სიმკაცრის თვალსაზრისით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან და რა პრინციპით მოხდა პუნქტების შერჩევა ევროპული გამოცდილებიდან. ის მკვლევრები, რომლებიც მუშაობდნენ ლუსტრაციის შესახებ ქართული, ჩეხური და ლიტვური მოდელების შედარებაზე, ასკვნიან, რომ: კანონის ჩეხური ვარიანტი არ ითვალისწინებს საიდუმლო სამსახურებთან კავშირში მხილებული პირებისათვის არჩევითი თანამდებობების დაკავების აკრძალვას, მას

შემდეგ რაც ისინი საზოგადოებას გააცნობენ საკუთარ სტატუსს ამ მიმართულებით, როგორც არის მაგალითად ადგილობრივი თვითმმართველობა და პარლამენტი, რადგანაც კანონის თანახმად მოქალაქემ თავად უნდა გადაწყვიტოს აირჩევს თუ არა მსგავსი წარსულის მქონე პირს. ხოლო „თავისუფლების ქარტიის თანახმად“ მხილებულ პირებს არცერთი არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლება არ ენიჭებათ („თავისუფლების ქარტია“. 2011. საქართველოს პარლამენტი. მუხლი 8, 9.). ჩეხეთის კანონმდებლობით ლუსტრაციის კანონი არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც დაიბადნენ 1971 წლის 1 დეკემბრის შემდეგ, ხოლო ქართული კანონმდებლობით მსგავსი შეზღუდვა არ არსებობს, მეტიც ეს ეხება ყველას 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ დაკავშირებული საიდუმლო სამსახურებთან (ქარაია, 2015). ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში თანამდებობის დაკავების აკრძალვა ეხებათ პირებს, რომლებიც უშიშროების სკოლებში სწავლობდნენ 3 თვეზე მეტი ვადით, ქართულ ვერსია მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს. ექსპერტთა აზრით, ამ შემთხვევაში დოკუმენტის მორგება მოხდა საქართველოს კონკრეტულ თანამდებობის პირებზე და ამით დოკუმენტის პოლიტიკურ ხასიათს უსვამენ ხაზს (დოლიძე, 2010; ქარაია, 2015)

რაც შეეხება ლიტვის კანონთან მსგავსებას, ლიტვის ლუსტრაციის კანონში საიდუმლო სამსახურებთან დაკავშირებულმა პირებმა თავად უნდა აღიარონ ამის შესახებ, რასაც ქართული ვერსიაც ითვალისწინებს („თავისუფლების ქარტია“, 2011). ლიტვურ ვარიანტში შეზღუდვის ვადად დაწესებულია 10 წელი, რასაც საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს და რაც მთავარია, თუ ლიტვაში საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახური კრიმინალურ ორგანიზაციად გამოცხადდა, მსგავსი ფაქტი საქართველოში არ მომხდარა.

როგორც დავინახეთ, ლუსტრაციის კანონის მიღებას ოცი წლის განმავლობაში ყველა მთავრობის წარმომადგენელი ცდილობდა. აღნიშნული საკითხის გააქტიურება, როგორც წესი, ემთხვეოდა კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენას, რომელიც უკავშირდებოდა ნომენკლატურის წარმომადგენელთა აქტიურობას. შესაბამისად, საკითხი აქტუალური ხდებოდა არა საზოგადოების ინტერესების, არამედ პოლიტიკური დღის წესრიგის გათვალისწინებით.

ამრიგად, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ინსტიტუციურ დონეზე დადგა საბჭოთა მმართველობის შეფასების და მისგან დისტანცირების საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (1990 წლის 14 ნოემბერი) მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას“ „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა, შეიცვალა ქვეყნის მთავარი სიმბოლოები - დროშა, გერბი, ჰიმნი. რეფერენდუმის საფუძველზე გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველომ უარი განაცხადა ე.წ. დსთ-ში შესვლაზე, ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარები ოკუპანტთა შეიარაღებულ ძალებად გამოაცხადა, კომუნისტური ტოპონიმის შეიცვალა ისტორიული ტოპონიმებით, 25 თებერვალი ცხადდება რუსული ოკუპაციის დღედ და ა. შ.

ამდენად, დამოუკიდებლობის პირველივე ეტაპზე საქართველომ გადადგა მკვეთრი ნაბიჯები საბჭოთა სისტემისაგან ინსტიტუციურ დონეზე გამიჯვნის თვალსაზრისით. შესაბამისად, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე მოსახლეობა იჩენს მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა სისტემის მიმართ, თუმცა მოგვიანებით, სამოქალაქო ომების, ეთნიკური კონფლიქტების, ეკონომიკური პრობლემების გამო, მოსახლეობის ნაწილს უჩნდება ნოსტალგიური დამოკიდებულება უახლესი წარსულისადმი.

საბჭოთა წარსულისაგან დისტანცირების ნათელი მაგალითია მეხსიერების ძველი ადგილების წაშლისა და ახლის დამკვიდრების ტენდენცია. ეროვნული პოლიტიკის სამსახურში ჩადგნენ ადრე უარყოფილი პოლიტიკური (და არა მარტო პოლიტიკური) ფიგურები, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიის დაფასების ამოცანებს ემსახურებოდა.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, პოსტსაბჭოთა ხელისუფლებების მიერ საბჭოთა წარსულისაგან დისტანცირების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული, რადგან იგი ხშირად იცვლებოდა პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლუსტრაციის კანონის მიუღებლობა, რომელიც დღესაც აქტუალური საკითხია ქართული საზოგადოებისათვის.

მორიგი მნიშვნელოვანი საკითხი რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციას ეხება. ქვემოთ მოკლედ არის განხილული თუ როგორ მიმდინარეობდა რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში.

3.2. რეპრესირებულთა რეაბილიტაციის საკითხი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივების ფრაგმენტულობა, რაც 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს საარქივო დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურებით არის გამოწვეული, სრულფასოვანი კვლევების, ტერორის მასშტაბებისა და თავისებურებების შესწავლის თვალსაზრისით მთელ რიგ პრობლემებს ქმნის. ამასთან, რეაბილიტაციის პროცესის შესწავლისთვის მთავარი დოკუმენტების ბაზა ეროვნულ არქივშია დაცული, რაზეც მკვლევრებს ხელი არ მიუწვდებათ კანონის შეზღუდვის გამო. შესაბამისად, რეაბილიტაციის პროცესის ზოგადი სურათის აღდგენისთვისაც სტატისტიკური მონაცემები მწირია.

მართალია ისიც, რომ ბრალდებულებს რეაბილიტაციის უფლებით სარგებლობის საშუალება 30-იან წლებშიც ჰქონდათ, თუმცა იგი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 30-იანი წლების რეაბილიტაციის ფორმალურობაზე მიუთითებს სტატისტიკაც - 1932 წლიდან 1951 წლამდე ამ უფლებით დაახლოებით 1000-მდე ბრალდებულმა ისარგებლა, ხოლო მათი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ საპროკურორო ზედამხედველობას დარღვევები არ დაუფიქსირებია (ხვადაგიანი 2013). გამონაკლისი შემთხვევები სახელმწიფო მაღალჩინოსნებთან კავშირებითა და კომპარტიის ლიდერთა პირადი ნებით იყო განპირობებული.


სტალინის სიკვდილის შემდეგ გათავისუფლდნენ 1950-იანი წლების დასაწყისში დაკავებული მაღალი პარტიული თანამდებობის პირები, რომელთა დასჯა ე.წ. „მეგრელთა საქმის“ ფაბრიკაციას უკავშირდება. 1955 წელს თბილისში შემდგარი ნახევრად ღია სასამართლო პროცესი, როცა „სოციალისტური კანონიერების დარღვევის“ ბრალდებით 1937-38 და 40-იანი წლების ტერორის ხელმძღვანელი ჯგუფი (ავქსენტი რაფავა - ყოფილი უშიშროების სამმართველოს უფროსი, შალვა წერეთელი - რესპუბლიკის მილიციის უფროსი, ნიკოლოზ რუხაძე - უშიშროების მინისტრი და სხვები) გაასამართლეს, წარმოადგენდა 1930-40-იან წლებში

უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურების პირველ ღია დადასტურებას (ხვადაგიანი, 2019).

1950-იანი წლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი და საბჭოთა წარსულის მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი აღნიშნავს, რომ არც 1941 წელს დეპორტირებულ ამიერკავკასიის გერმანულ მოსახლეობას და 1944 წელს დეპორტირებულ მუსლიმ მესხებს, 1950-იან წლებში, მათი მასობრივი რეაბილიტაციის შემდგომ, აღარ მიეცათ საშუალება გადასახლებამდე საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებულიყვნენ და საკუთარ სახლებში ეცხოვრათ. ასევე, არ მომხდარა 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანი წლების დასაწყისში კოლექტივიზაციის პროცესში დაზარალებულების - ე.წ. „განკულაკების“ მსხვერპლი მოქალაქეების ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. უფლებების და საკუთრების აღდგენის თვალსაზრისით, ყველაზე მარგინალიზებული კი რეპრესირებულთა ის კატეგორია აღმოჩნდა, რომელთა რეპრესიის მიზეზი მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტურ რეჟიმთან თანამშრომლობა და გერმანულ არმიაში სამსახური იყო.

1937-1938 წლების ტერორის მსხვერპლთა მასობრივი რეაბილიტაცია მხოლოდ სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების შემდეგ მოხერხდა. „ანტისაბჭოთა პარტიების“ და საზოგადოებრივი ჯგუფების საქმეებთან დაკავშირებით რეაბილიტირებულ პირთა რაოდენობა საქართველოს სსრ-ში 18 000-ს აღწევდა.

**საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ რეპრესიების მსხვერპლთა საქმეების გადასინჯვის
მიახლოებითი დინამიკა 1953-1967 წლებში.**



(ხვადაგიანი, 2019).

1989 წლის 29 მარტს მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში "საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის კომისია" ჩამოყალიბდა, რომელიც რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ბოლო „საბჭოური“ მცდელობა იყო. 1990 წლის ბოლოსათვის კომისიამ 1 110 საქმე გადასინჯა. კომისიამ 1 022 ადამიანის საქმის გადასინჯვისთვის პროტესტის წესით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ხოლო 84 ადამიანისთვის - სსრკ უმაღლეს სასამართლოს. 1990 წლის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 633 ადამიანის რეაბილიტაცია მოახდინა, ხოლო პარტიულმა ჯგუფმა - 387. ამავე წლისათვის საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საგამოძიებო განყოფილებამ -11 203 ადამიანის შესახებ მოამზადა დასკვნა რეაბილიტაციისათვის (ხვადაგიანი 2019). 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კომისია ფაქტობრივად გაუქმდა.

რეაბილიტაციის საკანონმდებლო პროცესები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ:
აღნიშნული საკითხების მოსაწესრიგებლად საქართველომ პირველი კანონი 1997

წლის 11 დეკემბერს მიიღო (ალავიშვილი, 2013). „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება გავრცელდა საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და ასევე, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. კანონით განისაზღვრა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების კრიტერიუმები, სტატუსის განმსაზღვრელი უფლებამოსილი ორგანო - სასამართლო და სტატუსის თანმდევი სოციალური შეღავათების პაკეტი. ამ პერიოდისთვის რეპრესირებულთა უმრავლესობა გარდაცვლილი იყო, ამიტომ სტატუსი და შესაბამისი შეღავათები პირველი რიგის მემკვიდრეს ენიჭებოდა გარდაცვლილის სახელზე. რეპრესირებულთა უმრავლესობამ კანონის საფუძველზე, რეპრესირებულთა სტატუსი მოიპოვა.

აღნიშნული კანონი არ არეგულირებდა ნაციონალური ნიშნით მასობრივი გადასახლების მსხვერპლთა რეპატრიაციისა და მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხებს. „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონის მიღება 2007 წელს მოხერხდა, თუმცა მთელი რიგი ხარვეზების გამო რეაბილიტაციის შესაძლებლობით დაახლოებით 80,000 დეპორტირებული პირიდან ძალიან მცირე რაოდენობამ - 5,841 ადამიანმა ისარგებლა (Хвадагиანი, 2016).

2011 წელს სახელმწიფომ რეპრესირებულთა ფულადი კომპენსაციის წესი ევროსასამართლოს მოთხოვნაზე საპასუხოდ განსაზღვრა, როგორც 1997 წლის კანონის დამატება, რამაც პირველ წლებში რეპრესირებულთა ოჯახების მხრიდან აქტიურობა გამოიწვია. თუმცა მოქალაქეთა არასრულად ინფორმირების, საარქივო დოკუმენტების მოპოვების ბიუროკრატიული სირთულეების, ზარალის ანაზღაურების სასამართლო წესით მოთხოვნის პროცედურის თუ თავად კომპენსაციის ოდენობის გამო, პროცესი მალევე შეწყდა.

ხვადაგიანი აღნიშნავს, რომ კომპენსაციის სასამართლოს წესით განსაზღვრისას, შესაბამის ინსტანციად მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო იყო დადგენილი, რამაც დიდი უხერხულობა შეუქმნა რეგიონებში მცხოვრებ

მოსარჩელებს. მათ რამდენჯერმე უხდებოდათ დედაქალაქში ჩასვლა. ამასთან, მოსარჩელეს უნდა გამოეთხოვა არქივიდან რეპრესირებულის სტატუსის ამსახველი დოკუმენტი, რაც ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საარქივო ცნობისათვის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს შსს აკადემიის არქივს (1-ლი განყოფილება - ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და შსს არქივი) მიმართავდა. იყო შემთხვევები, როდესაც საარქივო ცნობის მოპოვებას ბათუმში მცხოვრები მოქალაქეები თბილისში - შსს-ს არქივში ცდილობდნენ, როდესაც შესაბამისი დოკუმენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქივში - საბჭოთა აჭარის შინაგან და უშიშროების სამინისტროების მასალებში უნდა მოეძებნათ, რაც დაბალი ინფორმირებულობით იყო გამოწვეული.

საბოლოო ჯამში, პროცესისათვის საარქივო ცნობების, სხვა საჭირო დოკუმენტების მოძიება და ნოტარიული წესით დამოწმება, ძველ დოკუმენტებში ხარვეზების გასწორება, საადვოკატო მომსახურება და მგზავრობა გაცილებით მეტ ხარჯთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სასამართლოს მიერ კომპენსაციის სახით განსაზღვრული თანხა, რომელიც სტანდარტულად, ადამიანის გადასახლების შემთხვევაში 400 ლარს, ხოლო დახვრეტის შემთხვევაში - 800 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, პროცესთან დაკავშირებული აქტიურობა თანდათანობით შეწყდა.

2012 - 2013 წლებში იყო მცდელობა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებები შესულიყო. კანონპროექტი პირველი მოსმენით გავიდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში, თუმცა შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია. 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებით კი, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა და მათ პირველი რიგის მემკვიდრეების ფულადი კომპენსაცია 1000-დან 2000 ლარის ფარგლებში განისაზღვრა.

ხვადაგიანი რეაბილიტაციის საკითხის კვლევისას რეპრესირებულთათვის კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებასაც ეხება და აღნიშნავს, რომ არც საზოგადოება აღმოჩნდა მზად გაეგო, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებზე რატომ უნდა გაიცეს ფულადი კომპენსაცია, რითაც შესაძლოა ემიჯნებოდნენ ამ პერიოდის მასობრივ დანაშაულს და უარყოფდნენ კოლექტიურ პასუხისმგებლობას ან არ

ეთანხმებოდნენ, რომ საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დიდი ნაწილი თავისუფლების, დამოუკიდებლობის და სხვა დემოკრატიული ღირებულებების დაცვის გამო იყვნენ განადგურებული.

სასურველია კანონის მოქმედების ფარგლებში მოექცეს ეთნიკური ნიშნით დეპორტირებულების ის ნაწილი, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ საბჭოთა რეპრესიის მსხვერპლის სტატუსი. გაიზარდოს კომპენსაციის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრული ოდენობები. ამასთან, სახელმწიფო და მასობრივი მედია უნდა ზრუნავდეს ხსოვნის ადგილების მემორიალიზაციისა და პოლიტიკური რეპრესიების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისათვის.

ამრიგად, საარქივო დოკუმენტების ფრაგმენტულობის და მისი ნაწილის განადგურების, ეროვნულ არქივში დაცული მასალების მკვლევრისთვის მიუწვდომლობის და სხვა მიზეზების გამო რეაბილიტაციის პროცესის ზოგადი სურათის აღდგენა გაძნელებულია. ბრალდებულებს რეაბილიტაციის უფლებით სარგებლობის საშუალება საბჭოთა იმპერიაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის შედეგი იყო ის, რომ 1920-30-იანი წლებში კოლექტივიზაციის შედეგად დაზარალებულ ე.წ. კულაკებს არ მიეცათ კომპენსაცია. მასობრივი რეაბილიტაციის მიუხედავად 1940-1950-იან წლებში გადასახლებულებს (გერმანელები, მუსლიმი მესხები) არ მიეცათ პირველსაცხოვრისში დაბრუნების შესაძლებლობა, მარგინალიზებულად დარჩნენ მეორე მსოფლიო ომის ტყვეები, რომელთა ნაწილს გერმანიასთან თანამშრომლობა ბრალდებოდა.

1930-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი 1989 წლიდან დაიწყო საქართველოში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მიიღო რეაბილიტაციის საკანონმდებლო აქტები, თუმცა ვერ მოხერხდა ყველა დაზარალებულისათვის, განსაკუთრებით დეპორტირებულებისათვის რეაბილიტაციის შესაძლებლობით სარგებლობა. ევროსასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველომ შემოიღო ფულადი კომპენსაციის წესი, თუმცა ვერც ეს პროცესი იქნა ბოლომდე მიყვანილი ფულადი კომპენსაციის სიმცირის, მოქალაქეთა არასრულად ინფორმირების, საარქივო დოკუმენტების მოპოვების ბიუროკრატიული სირთულეების და სხვა მიზეზების გამო.

რეპრესირებულებისა და მათი შთამომავლებისათვის ფორმალური დამოკიდებულება და კომპენსაციის მცირე ოდენობა, დამატებითი ტრავმის საფუძველი გახდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საპენსიო დანამატის გარდა, სოციალური შეღავათების პაკეტის სხვა ნაწილმა 2005 წელს, სოციალური დახმარების შესახებ ახალი კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ძალა დაკარგა.

რეაბილიტაციის პროცესის წარმატებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონის ფარგლებში მოვაქციოთ ეთნიკური ნიშნით დეპორტირებულების ის ნაწილი, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ საბჭოთა რეპრესიის მსხვერპლის სტატუსი. ამასთან, აუცილებელია კომპენსაციის გაზრდა, მინიმალური და მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დაწესება, მეხსიერების ადგილების მემორიალიზაციისა და პოლიტიკური რეპრესიების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება.

3.3. რეპრესიების მსხვერპლთა სამარხების საკითხი

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხების აღმოჩენა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. გარკვეულ ქვეყნებში ეს პროცესი დიდი ხანია მინდინარეობს, აღმოჩენილია არაერთი მასობრივი სამარხი და მათი ხსოვნის პატივსაცემად მოწყობილია მემორიალები. მაგალითად, 2018-2019 წლებში უკრაინაში აღმოჩენილია ხუთი სამარხი. პირველი - ქალაქ დროგობიჩში, სადაც 2019 წელს პოლიტიკური პატიმრების 33 ნეშტი იპოვნეს, რომლებიც სავარაუდოდ 1944 წლის საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლები არიან. მეორე სამარხი და 59 ნეშტი ბოლშევეციში 2019 წელს გათხრების დროს აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ მათგან 21 ბავშვი იყო, რომელთა თავის ქალებიც დაზიანებული იყო ბლაგვი საგნით. ადგილზე არ აღმოჩნდა პირადი ნივთები. მესამე სამარხი 2019 წელს ქალაქ დუბნოში აღმოაჩინეს. იქ მოთავსებული იყო 29 ნეშტი, აქედან - 7 ქალი. აღმოჩენილ ცხედრებს ჰქონდათ ნატყვიარი. ასევე, ადგილზე იპოვნეს პირადი ნივთები. მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ ეს სამარხი 1941 წლით თარიღდება. მეოთხე სამარხი 2018 წელს არის აღმოჩენილი ქალაქ შუმსკში. ესაა სამხედრო სამარხი, რომელშიც 14 ცხედარი აღმოჩნდა. მათ უნიფორმებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი უკრაინის განმათავისუფლებელი არმიის სამხედროები იყვნენ. მეხუთე სამარხი კი 2018 წელს

აღმოაჩინეს ქალაქ ლვოვში. აღნიშნული სამარხი ეკუთვნოდა #25 საპყრობილეს, სადაც სხვადასხვა ციხიდან პატიმრები იგზავნებოდნენ მანამ, სანამ მათ სხვა ციხეში გადაიყვანდნენ. სამარხში 51 ნეშტი აღმოჩნდა, მათგან - 11 ბავშვი. პირადი ნივთების შესწავლის საფუძველზე, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ მონაზვნები და ერთი მღვდელიც იყვნენ მათ შორის. თუმცა, სავარაუდოდ, ისინი არ მოუკლავთ, არამედ გარდაიცვალნენ ციხეში და იქვე დაკრძალეს. ეს ადგილი ამჟამად ტერორის მუზეუმს ეკუთვნის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აღმოჩენები უკრაინის არქივებში ეფექტური მუშაობისა და იმ რეფორმების შედეგია, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მასობრივი სამარხების შესწავლის საქმეში.

ზოგადად, სსრკ-ში მასობრივ დახვრეტებთან დაკავშირებით სამი ტიპის დოკუმენტები არსებობს:


1. ნორმატიული აქტები, რომლებიც დახვრეტის პროცედურებს არეგულირებდა;
2. მოხსენებები, რომელიც აღწერდა კონკრეტული დახვრეტის დეტალებს;
3. პერსონალური აქტები, რომლებიც მოიცავდნენ ინფორმაციას მსჯავრდებულის, განაჩენისა და დახვრეტის თარიღის შესახებ.

ნორმატიული აქტები, ბრძანებები და მოხსენებები ძირითადად გაერთიანებული სახით იგზავნებოდა ცენტრალურ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, სადაც ისინი არქივებში ინახებოდა.

საარქივო დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება რამდენიმე მყარი დასკვნის გაკეთება: არსებობდა დირექტიული ნორმები განაჩენის სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით; რეგიონალურ დონეზე არსებობდა აღსრულების ნორმებთან დაკავშირებით ინსტრუქციები, ანუ არსებობდა დახვრეტის და დაკრძალვის ინსტრუქციები. მაგალითად, არავის უნდა დაენახა, განაჩენი ღამით უნდა აღსრულებულიყო იმავე ადგილას, სადაც გვამი უნდა დაემარხულიყო, უკაცრიელ ადგილას და იმავე ჩაცმულობით და ა.შ.⁵

⁵Оперативный приказ народного комиссара внутренних дел СССР № 00447 «Об операции по репрессированию бывших кулаков, уголовников и других антисоветских элементов»

„ყოფილი კულაკების, კრიმინალებისა და ანტისაბჭოთა სხვა ელემენტების
რეპრესირების ოპერაციის შესახებ“ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ოპერატიული
ბრძანება №00447



(IDFI, 2019)

№00447 ბრძანების თანახმად, „განაჩენი უნდა აღსრულდეს დროისა და ადგილის საიდუმლოდ შენახვით“. გარდა ბრძანებაში მოცემული მითითებებისა, ინტრუქციები მუშავდებოდა რეგიონების მიხედვით. მაგალითად, ციმბირის ოლქის ოპერატიული ბძანებულებით, დახვრეტის ადგილი წინასწარ უნდა შერჩეულიყო. „უნდა იპოვოთ ადგილები, სადაც დაიმარხება გვამები“. წინასწარ უნდა მოიჭრილიყო ბაღახი, თუ ეს იქნებოდა ტყე და შემდეგ ეს ბაღახი ისევ დაეფარებინათ. არ უნდა ყოფილიყო ცნობილი, რადგან საკუთარი აპარატიც შეიძლება გამხდარიყო ინფორმაციის გამავრცელებელი. ყველა განაჩენი

წარმოადგენდა მკაცრ საიდუმლოს, რომელიც სრულდებოდა ღამით და ოპერაციაში მონაწილე ყველა პირისგან იღებდნენ გაუთქმელობის პირობას. არსებობს აღმსრულებლების მიერ ხელმოწერილი გაუთქმელობის პირობა, რომლითაც მკვლევრები მასობრივი სამარხების ადგილმდებარეობას ეძებენ. იმის მიხედვით თუ რომელ ოლქს ხელმძღვანელობდა ეს თუ ის პიროვნება, რომელიც ხელს აწერს გაუთქმელობის პირობას, მინიმუმ ცნობილი ხდება თუ რომელ ოლქში უნდა ეძებონ სამარხები. ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად დაცულ დოკუმენტებს წარმოადგენს რუსეთში, რომლითაც მრავალი დეტალის დადგენა არის შესაძლებელი.

დოკუმენტს, რომელზეც ხელი ეწერება განაჩენის სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით, ოქმს უწოდებენ, რომელსაც ბრძანება ან მითითებაც შეიძლება ვუწოდოთ, ამ მითითების ფორმა სტანდარტულია და შეიცავს „დამნაშავეს“ სახელსა და გვარს, საცხოვრებელ ადგილს, ეროვნებას, დაბადების წელს, ბრალდებას და სასჯელის ფორმას. დიდ ჯგუფებზე გაცემული განაჩენი არ ემთხვევა სტანდარტებს და უბრალოდ ჩამონათვალს შეიცავს ან რაოდენობას. ისტორიკოსები ხშირად ორ სხვადასხვა დოკუმენტს უწოდებენ აქტს, რომელიც ხშირად არის ანგარიში და წარმოადგენს ჩანაწერის სრულ ფორმას. აღწერისას მნიშვნელოვანია სრული ჩამონათვალი, სადაც მითითებულია დროც. აქტებში არ არის მითითებული დახვრეტის ადგილები, გარდა გამონაკლისებისა, თუმცა გამონაკლის შემთხვევებშიც, დასახელებულია უახლოესი დასახლებული პუნქტი და არა კონკრეტული კოორდინატები. ანგარიშებს ხელს აწერენ დახვრეტის განმახორციელებლები, ზოგიერთ შემთხვევაში - დამსწრეები, ციხეებისა და სტატისტიკის წარმომადგენლები, ექიმები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში არ არის მითითებული კონკრეტული ადგილები, ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სამარხების აღმოჩენასთან დაკავშირებით და საშუალებას იძლევა, ინდივიდუალურ მეხსიერებასთან შეთანხმებით, დადგინდეს ზუსტი ადგილები.

მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა თავად ენკავედეს თანამშრომლებზე არსებული საქმეები, რომელიც ე.წ. „დათბობის პერიოდს“ უკავშირდება და როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მსგავსი საქმეები აღიძრებოდა პირველი რეაბილიტაციის დროს. ამ ადამიანების დაკითხვის ოქმებში, უნებურად არის დასახელებული

დახვრეტის ადგილები. (ცნობილია, რომ 1953 წელს, მას შემდეგ, რაც ე.წ. „ბერიას ჯგუფი“ (ბერია, გოგლიძე, ქობულაძე და სხვები) გაასამართლეს, 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა სისხლის სამართლის საქმეების გადახედვა დაიწყო. 1954-1958 წლებში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული „განსაკუთრებული სამეულის“ (Особая Тройка при НКВД ГССР), საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესიის (Выездная Сессия Военной Коллегии Верховного Суда СССР), განსაკუთრებული სათათბიროს (Особое Совещание при НКВД СССР) და სხვა ორგანოების მიერ რეპრესირებული ათასობით ადამიანის რეაბილიტაცია მოხდა). (IDFI, 2019).

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, დახვრეტები ხდებოდა საკმაოდ ხშირად, დიდი ჯგუფებით, ხოლო ზოგიერთ პატიმარს დასახვრეტად წაყვანამდე აღენიშნებოდა ცემის კვალი. ერთ-ერთ ასეთ ჩვენებაში ვკითხულობთ: „მე ვალდებული ვიყავი მონაწილეობა მიმეღო სიკვდილით დასჯაში. სიკვდილით დასჯის დროს იყო სცენები, რომლის დროსაც ფაქტობრივად სისხლი იყინებოდა. პირველ რიგში, სიკვდილით დასჯა ძალიან ხშირად ხდებოდა, მსჯავრდებულთა დიდ ჯგუფებს ერთდროულად ესროდნენ, ზოგჯერ ასზე მეტ ადამიანს. დაკავებულთა ნაწილი სიკვდილით დასასჯელად სასტიკად ნაცემი მიჰყავდათ. განსაკუთრებით საშინელი იყო, რომ ბევრი დაკავებული, პირდაპირ სიკვდილით დასჯის წინ, საფლავთან ყოფნის დროს, გვლანძღავდა და ყვიროდა: „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას! ამოდ ვკვდებით!“⁶ ამავე მონაცემების მიხედვით, ცნობილი გახდა ადგილი, სადაც ხორციელდებოდა მასობრივი დახვრეტები: „სასამართლოს ან „სამეულის“ მიერ დაკავებულთა გასამართელების შემდეგ, ხდებოდა ამ ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულება. მსჯავრდებულებს ხვრეტდნენ მინდორში, ღამით, 18 კმ მოშორებით თბილისიდან, სოფელ სოღანლულის მახლობლად. მათ ხვრეტდა ციხის უფროსი, მორიგე ოფიცრები. როგორც წესი, ხვრეტდნენ 20-40 ადამიანს და ზოგჯერ 100-ს. ზოგიერთი

⁶ «Мне вменялось в обязанность участвовать в расстрелах осужденных. Во время расстрелов происходили сцены, от которых буквально леденела кровь. Во-первых, расстрелы происходили очень часто, причем расстреливались сразу большие группы осужденных, подчас свыше сотни человек. Некоторых арестованных увозили на расстрел со следами жестоких избиений.

Особенно жутким было то, что многие арестованные непосредственно перед расстрелом, находясь у могилы, ругали нас палачами и кричали: «Да здравствует партия Ленина-Сталина! Мы погибаем напрасно!»

დაკავებულები სიკვდილით დასჯის დროს ყვიროდნენ "გაუმარჯოს ლენინს და სტალინს", "გაუმარჯოს კომუნიზმს". ზოგიერთი დაპატიმრებული ლანძღავდა გამომძიებლებს, რომლებიც მათ საქმეს იძიებდნენ..."⁷ (IDFI, 2019).

საარქივო ცნობებისა და ზეპირი ისტორიების შეჯერებით ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა რეპრესიების შედეგად გასამართლებულთა უმაღლესი სასჯელი - დახვრეტის განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. საქართველოში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალის“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მკვლევრებმა მასობრივი დახვრეტის ადგილის მოძიჯნავე სოფელში იპოვეს ამ პროცესის თვითმხილველი ხანდაზმული ადამიანი. 100 წელს მიტანებული თალიზ ალიევი, რომელიც 1937-1938 წლების ზაფხულობით, 25-26 წლის ასაკში, მწყემსად მუშაობდა. რამდენჯერმე შეესწრო სოფელ გაჩიანში, ღამით, ღრმად ამოთხრილ ორმოებთან მისულ სატვირთო მანქანებს ე.წ „პოლუტორკას“, საიდანაც გადმოჰყავდათ ხელებგაკოჭილი ხალხი. მისი ნაამბობიდან ჩანს, რომ სავარაუდოდ, დასახვრეტად გაყვანილ პირებს ინექციას უკეთებდნენ, რათა წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა არ ჰქონოდათ. სიკვდილმისჯილებს ხვრეტდნენ ტყვიამფრქვევით. შემდგომ, მიცვალებულებს ერთად ყრიდნენ წინასწარ ამოთხრილ ორმოებში და ტრაქტორებით ასწორებდნენ მიწას. დახვრეტილთა ტანსაცმელს კი იქვე წვავდნენ (IDFI, 2012), „სოღანლუდი - მასობრივი დახვრეტის ადგილები“, 14 მაისი).

ორგანიზაცია „მემორიალი“ ცდილობდა აღნიშნულ ადგილზე დახვრეტილთა აღმოსაჩენად შესაბამისი გათხრების განხორციელებას, რეპრესიების მსხვერპლთა უკვდავსაყოფად მემორიალური დაფების დადგმას, თუმცა დაფინანსების არქონის გამო, პროექტი ვერ განხორციელდა.

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ციხის ექიმების მიერ მიცემული ჩვენებებში აღწერილია 1937-1938 წლებში სასჯელის უმაღლესი ზომის სისრულეში მოყვანის დეტალები. როგორც ერთ-ერთი ასეთი ჩვენებიდან

⁷ «После осуждения арестованных судом или «трокой» решения этих органов приводилось в исполнение»

Приговоренные к расстрелу, расстреливались в поле, в ночное время в 18 км. От Тбилиси, около села Соганлуги, в 8 км. от него. Расстреливал их начальник тюрьмы, дежурные по комендатуре. Расстреливали обычно, по 20, 40 человек, а иногда и 100. Некоторые арестованные кричали во время их расстрела «Да здравствует Ленин и Сталин», «Да здравствует коммунизм». Некоторые арестованные ругали следователей, проводивших расследование по их делу...»

ირკვევა, დახვრეტები, როგორც წესი, ხდებოდა ღამით, დახვრეტის ადგილები ნათდებოდა მანქანების საშუალებით. დასახვრეტად გაჰყავდათ ხალხი დიდი რაოდენობით, ხანდახან 300 ან 400 ადამიანი ერთად. „*მსჯავრდებულთა სიკვდილით დასჯაზე უნდა წავსულიყავი. სიკვდილით დასჯა წესით ტარდებოდა ღამით, აღსრულების ადგილი განათებული იყო მანქანების ფარებით. ხალხის დიდი ნაწილი მოჰყავდათ სიკვდილით დასასჯელად, ზოგჯერ 3 ან 4 ასეული. მე მივდიოდი არა იმ ადამიანების სიკვდილის დასადგენად და აღრიცხვისთვის, ვის მიმართაც ხდებოდა სასჯელის აღსრულება, არამედ იმ თანამშრომლების დახმარების შემთხვევისთვის, რომლებსაც განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ*“⁸ (IDFI, 2012), „სოღანლული - მასობრივი დახვრეტის ადგილები“, 14 მაისი).

გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, არსებობს ტრანსპორტზე გამოწერილი ზედნადებები, მიწის ნაკვეთების გადაცემის აქტები (ასეთი მიწები რუქებზე მონიშნულია, როგორც განსაკუთრებული დანიშნულების მიწები), რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია სამარხების ძიების პროცესისთვის.

საქართველოში სამარხების ძიების პროცესის ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად კვლავ 1990-იან წლებში, საარქივო მასალების დიდი ნაწილის განადგურება სახელდება.

რეპრესიების შესწავლისთვის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს, 2019 წლის 5 აპრილს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ ქ. ბათუმის შემოგარენში მიკვლეული მასობრივი დახვრეტის ადგილი, სადაც დაახლოებით 150 ადამიანის ნეშტი არის ნაპოვნი. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ინფორმაციით, ყველა თავის ქალას აღენიშნებოდა ტყვიის კვალი კეფის არეში. დახვრეტილთა შორის არიან ქალებიც. დაღუპულებს ეცვათ სამოქალაქო ფეხსაცმელი. აღმოჩენილია საბჭოთა მონეტები, გულსაკიდი ჯვარიც, რაც, ეპარქიის აზრით, ადასტურებს საერთო სამარხში საბჭოთა ტერორის მსხვერპლ ქრისტიანთა ნაშთების არსებობას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს, გამოთქვამს შენიშვნას, რომ

⁸ „...Мне приходилось выезжать на расстрелы осужденных. Расстрелы производились как правило ночью, место расстрела освещалось фарами автомобилей. На расстрелы вывозились большое количество людей иногда по 3 или 4 сотни. Я выезжала не для установления и регистрации смерти лиц, в отношении которых приговора приводились в исполнение, а на случай оказания помощи сотрудникам приводившим приговора в исполнение...“

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიას, აჭარის მთავრობასა და ყველა იმ საჯარო უწყებას, რომლებიც წელიწადნახევრის განმავლობაში ფლობდნენ ინფორმაციას სამარხის შესახებ, პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთოთ პროფესიონალი ისტორიკოსები და მკვლევრები, რადგან დეტალური შესწავლის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული სამარხი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ნაშთებს (IDFI, 2019).

„საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ (Sovlab) წარმომადგენლებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ შესაძლოა სამარხი საერთოდ არ ეკუთვნოდანოთ რეპრესირებულებს და ამ ადგილას შეიძლება ყოფილიყო თურქი ჯარისკაცების ნეშტები (Sovlab, 2019).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეპარქიის მიერ გამოქვეყნებული სია, რომელიც რეპრესირებული 608 ადამიანის სახელსა და გვარს მოიცავს, არასრულია. მასში არ ფიგურირებს ე.წ. "სტალინური სიებით" და სხვა ოპერაციებით გასამართლებული ბევრი ადამიანის ვინაობა. თავად ეს ინფორმაცია - ბათუმში დახვრეტილთა სია, რომელსაც აქვე დავურთავ, მოპოვებულია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საიდუმლო არქივიდან, რომელიც პერიოდულად ქვეყნდებოდა გაზეთის „სრულიად არა საიდუმლოდ“ ფურცლებზე 1997–99 წლებში. შემდგომში ეს სია არაერთი მკვლევრის მიერ არის გამოყენებული. აღნიშნული ინფორმაციის სრულყოფის აუცილებლობა ნათლად წარმოჩნდება, თუ მას ცხრილის სახით წარმოგიდგენთ (იხ. დანართი).

ბათუმის შემოგარენში სამარხების აღმოჩენიდან დღემდე ფაქტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დაზარალდა სამეცნიერო-კვლევითი ინტერესი და არც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება არ მოხდა. ფაქტის შემდეგ 3 წელი გავიდა, თუმცა ნეშტები კვლავ ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის სარდაფში ინახება.

ზურაბ ჯიხაძე, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე მუშაობდა, ამბობს, რომ სამხედროს ტერიტორიაზე სამრეცხაოს მშენებლობა დააპირეს და სწორედ მაშინ წააწყდნენ პირველად ადამიანთა ნეშტებს. მისთვის უცნობია, სად წაიღეს ის ნეშტები საბჭოთა ჯარისკაცებმა, რომლებიც სამრეცხაოს მოწყობაზე მუშაობდნენ. „*ჯარისკაცებმა ნეშტები მანქანაზე შეყარეს და*

სად წაიღეს არ ვიცი“; - იხსენებს ჯიხაძე. 3 წლის წინ, როდესაც ყოფილი სამრეცხაოს ტერიტორიაზე სამარხს ეძებნენ, ნეშტები იქ ვეღარ იპოვეს.

გათხრების მონაწილე ეთერ მახარაძე ამბობს, რომ სამარხი სამრეცხაოსგან მოშორებით აღმოჩნდა, ნეშტები ერთმანეთზე იყო დაყრილი, აბსოლუტურად ყველა მათგანს ხელები უკან ჰქონდა შეკრული და თავის ქალაზე ნატყვიარი ემჩნეოდა. გათხრების პროცესი ასე მიმდინარეობდა: ტექნიკა იღებდა მიწის ზედა ფენას. როგორც კი გამოჩნდებოდა სამარხის მცირედი კვალი, მცირე დეტალი, ტექნიკა წყვეტდა მუშაობას. იწყებოდა ნეშტების ამოღება, გასუფთავება და ყუთებში ჩალაგება. უკვე მეოთხე წელია ბათუმის საკათედრო ტაძრის სარდაფში ასზე მეტი ადამიანის ნეშტის ბედი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

2019 წელს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სპეციალური სამთავრობო კომისიის დავალებით, ნეშტების ძვლის ნიმუშები აიღო სამომავლოდ მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევებისთვის, თუმცა პროექტი გაჩერდა. იქიდან გამომდინარე, რომ ერთი ნიმუში აჭარაში დახვრეტილ ათასზე მეტი პირის შთამომავალთან უნდა შედარდეს, ერთი ნეშტის კვლევა 3 ათას ლარამდე ჯდება. მთლიანი ბიუჯეტი კი, 2 მილიონ ლარამდე აღწევს. შესაბამისად, კვლევები დღემდე შეჩერებულია.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა, ექსპერტების ჩართულობით, სცადა ბათუმში დახვრეტილი ერთი ნეშტის იდენტიფიცირებისთვის ჩაეტარებინა კვლევა, რომლის წარმატებით განხორციელების შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა გარკვეულიყო სამარხი უკავშირდება თუ არა საბჭოთა რეპრესიებს. კვლევის შედეგად, სასამართლო ანთროპოლოგის მერი გონაშვილის მიერ იდენტიფიცირებულია ქალის ნეშტი, რომელიც სპეცილიატების გამოთვლით 22-37 წლის ასაკის უნდა ყოფილიყო. მას 2 შემავალი ჭრილობა აქვს კეფის ძვალზე. კვლევის ფარგლებში, ასევე დადასტურდა, რომ სამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი მონეტა 1937 წელს შევიდა მიმოქცევაში, რაც ცალსახად ადასტურებს სამარხის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს (იმნაიშვილი, 2020).

როგორც ცნობილია 1937-38 წლებში აჭარაში 115 პირი დახვრიტეს, მათ შორის 11 - ქალი. 1937-38 წლებში აჭარაში დახვრეტილი ქალები არიან:

1. თამარ ებრალიძე ერმილეს ასული;
2. მირა მაჯგალაძე-პოპოვა ვალერიანის ასული;

3. ნაიმე კაკაბაძე ლუღეიმანის ასული;
4. ანა დანელია-ქიქავა ათანასეს ასული;
5. ოლღა კეკეჯანი სტეფანეს ასული;
6. ფაცია ჭყონია გიორგის ასული;
7. ოლღა შტამი კარლოს ასული;
8. ელენე რალცევიცი მიხეილის ასული;
9. რაისა შიშლო-საბაშვილი ბორისის ასული;
10. მარიამ ფაინშტეინი დავითის ასული;
11. გულიზარ ბიბინეიშვილი ისკენდერის ასული.

აქედან ყველაზე ახალგაზრდა იყო გულიზარ ბიბინეიშვილი, რომელიც 20 წლის ასაკში არის დახვრეტილი, მამის და ბიძის თურქეთთან კავშირის გამო, მას „შპიონაჟი“ დაბრალდა თურქეთის სასარგებლოდ. მეორე, რომელიც იმ ასაკობრივ ჯგუფშია, რომელიც სასამართლო ანთროპოლოგის მიერ არის განსაზღვრული ნემტის შესწავლისას, ნაიმე კაკაბაძეა, რომელიც 36 წლის ასაკში დახვრიტეს. მესამე კი - მირა მაჯგალაძე-პოპოვა, რომელიც თურქეთის კონსულის მეუღლე იყო. დახვრეტილია 30 წლის ასაკში, როგორც სოციალურად სახიფათო ელემენტი. საკვლევ ასაკობრივ ჯგუფს ემთხვევა თამარა ებრალიძეც. ის 1910 წელს არის დაბადებული და 28 წლის ასაკში დახვრიტეს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ტელეკომპანიამ დღემდე ვერ მიაკვლია ზემოთ ჩამოთვლილი ქალების შთამომავლებს.

კიდევ ერთი სავარაუდო სამარხი, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს, სალიბაურში ე.წ. ბერიას აგარაკის ტერიტორიაა. ერთ-ერთი თვითმხილველი, რომელიც აგარაკზე 34 წლის განმავლობაში მუშაობდა, ყვება როგორ მიჰყავდათ ჯგუფებად, 30-40 ადამიანი, ათხრევინებდნენ საფლავს და იწყებოდა დახვრეტა კეფაში გასროლით (იმნაიშვილი, 2020).

სალიბაურის ტყეში არსებული კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსნების აგარაკი უმკაცრესად დაცულ ტერიტორიას წარმოადგენდა. მას ბერიას აგარაკს ეძახდნენ, თუმცა უცნობია ცხოვრობდა თუ არა იქ ბერია. შენობა სამსართულიანია და აქვს რამდენიმე სათავსო. ყოფილ სამთავრობო რეზიდენციას აკრავს ბაღი და 15 ჰექტარზე გაშენებული ბამბუკის ტყე.

როგორც ცნობილია, ამ ტერიტორიიდან რამდენიმე საიდუმლო გვირაბი გადიოდა. ერთი სრულდებოდა ტყის ბოლოს, მეორე ჩადიოდა სალიბაურის დასახლებამდე, ხოლო მესამე - ზღვამდე. ამავე ტერიტორიაზე იყო რადიოსადგური, საიდანაც ხდებოდა საბჭოთა პროპაგანდის „მტრების“ - ბიბისის, ამერიკის ხმის, რადიო თავისუფლების, დოიჩე ველეს და სხვა რადიოსიხშირეების ჩახშობა.

ამდენად, ჯერ კიდევ დაზუსტებით შეუძლებელია ვთქვათ, რომ ხელვაჩაურში, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გახსნილი 4 სამარხი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის განმავლობაში რეპრესირებულთა სამარხების აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. ამავე ტერიტორიაზე ნახევრად გათხრილი მეხუთე სამარხის გახსნა გადაწყვიტა ტელეკომპანია რუსთავი 2-მა, სპეციალისტებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. ამის შესახებ რუსთავი 2-ის არხის ჟურნალისტმა ირაკლი იმნაიშვილმა 2020 წელს დაანონსა, თუმცა სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

ამრიგად, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხების აღმოჩენის საკითხი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა საქართველოში. მასობრივ დახვრეტებთან დაკავშირებით არსებობს დახვრეტის პროცედურის რეგულირების ნორმატიული აქტები, კონკრეტული დახვრეტის დეტალების ამსახველი მოხსენებები და პერსონალური აქტები, რომლებიც მოიცავდნენ ინფორმაციას მსჯავრდებულის, განაჩენისა და დახვრეტის თარიღის შესახებ.

საარქივო დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ არსებობდა დირექტიული ნორმები და ინსტრუქციები განაჩენის სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით განაჩენის აღსრულება უნდა განხორციელებულიყო ღამით, დაკრძალვის ადგილას, საიდუმლოდ, ისე, რომ არავის სცოდნოდა ეს ადგილი. ოპერაციაში მონაწილენი ხელს აწერდნენ გაუთქმელობის პირობას, რაც სამარხების ძიების პროცესის ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული. ამასთან, 1990-იან წლებში, საარქივო მასალების დიდი ნაწილი განადგურდა, რაც ასევე ართულებს მასობრივი სამარხების ძიების საკითხს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ამდენად, საბჭოთა რეპრესიების შესწავლა პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების ჭრილში განხორციელდა საარქივო მასალების, სამეცნიერო შრომების, სასკოლო სახელმძღვანელოების, პერიოდული პრესის, მხატვრული ლიტერატურისა და კინოხელოვნების ნიმუშების ბაზაზე. სადოქტორო ნაშრომში ასევე წარმოდგენილია პოლიტიკური რეპრესიებთან დაკავშირებული ინდივიდუალური ისტორიები, რომელიც რეპრესირებულთა შთამომავლების ოჯახებში შეგროვდა და გამოყენებულია როგორც ალტერნატიული მეხსიერება.

ამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ბაზის კვლევა და შედარება უკეთ ავლენს რეპრესიების გავლენის ჭეშმარიტ სურათს, როგორც რეპრესირებული თაობის შთამომავლებში, ასევე მთელ ქართულ საზოგადოებაზე.

რეპრესიებთან დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებების მდგრადობისა თუ ტრანსფორმაციის საკითხის კვლევით, როგორც ერთი და იმავე პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში, ნათლად წარმოჩნდა ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი დისკურსი, რაც გარკვეულწილად შენარჩუნებულია პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, რადგან პოსტსაბჭოთა მთავრობებიც საბჭოთა რეჟიმის პირმშობებს წარმოადგენენ.

1990-იანი წლების საქართველოში უშიშროების კომიტეტის შენობაში გაჩენილმა ხანძარმა, სამოქალაქო დაპირსპირებებმა და ეკონომიკის განადგურებამ საბჭოთა წარსულის პრობლემები მეორეხარისხოვანი გახადა და შეაფერხა საბჭოთა წარსულის გააზრების პროცესი.

დღესდღეობით საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი აერთიანებს სამი უწყების საარქივო ფონდს. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალებს. ოფიციალური მონაცემებით საქართველოს უშიშროების არქივი ღიაა მოქალაქეებისთვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელიც კანონმდებლობით არის შეზღუდული. თუმცა არქივებში მუშაობის გარკვეული შეზღუდვები (სამკითხველო დარბაზებში მუშაობა ფოტოგადაღების უფლების გარეშე, ასლის გამოთხოვის საფასური და ა.შ) აკადემიური წრეებისთვისაც გარკვეულ ბარიერს ქმნის კვლევების წარმოების პროცესში. ამასთან, იქ დაცული ინფარმაციის გამოტანა და პოპულარიზაცია მნიშვნელოვან შტრიხებს შეიტანდა კოლექტიურ

მეხსიერებაში. საზოგადოებას საშუალებას მისცემდა გაეაზრებინათ, თუ რა გადახდათ თავს რეპრესირებულ პირებს, უდანაშაულო და უბრალო ადამიანებს. როგორი იყო საბჭოთა ტერორი ავტონომიურ რესპუბლიკებში და როგორ აისახა ეს ყველაფერი თავად ტერორის შემოქმედებზე, რაც საბჭოთა ოკუპაციის განსხვავებული რაკუსით დანახვის საშუალებას მისცემდა და გარკვეულ ცვლილებებს შეიტანდა კოლექტიური მეხსიერებაში. ობიექტურობისთვის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შსს-ს არქივი უშვებს ბეჭდურ და ელექტრონულ ჟურნალ „საარქივო მოამბეს“, რომლის თემები ხშირად ეხება საბჭოთა რეპრესიებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სსრ შინსახკომის კულაკური ოპერაციების მსხვერპლთა მონაცემების ბაზებში აჭარის მოსახლეობა გაერთიანებულია რეპრესირებულთა საერთო სიაში. მათი ცალკე გათვალისწინება ბოლო პერიოდში დაიწყო, რაც ხელს შეუწყობს რეგიონთან მიმართებაში კვლევების წარმოებას.

საარქივო მასალების კვლევით დგინდება, რომ აჭარაში განხორციელებული დევნის მასშტაბი საკმაოდ დიდია, მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში. რეგიონი განსხვავდებოდა წაყენებული ბრალდებების შინაარსითაც. ზოგადად, საზღვრისპირა რეგიონების მიმართ საბჭოთა რეჟიმი განსაკუთრებულ უნდობლობას იჩენდა. აჭარის შემთხვევაში საზღვრისპირა მდებარეობას ემატებოდა ისტორიული წარსული, საზღვარს იქით დარჩენილი ნათესაური კავშირები და განსხვავებული რელიგია, რაც საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულ უნდობლობას იწვევდა. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს საბჭოთა მთავრობა აწესებდა დამატებით კონტროლს და მუშაობდა ანტისაბჭოთა აგიტატორების გამოსავლენად. შედეგად, რეგიონის მოსახლეობა ფსიქოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ხშირად იდენტობის კრიზისამდე მიდიოდა.

გარკვეულ სამეცნიერო და ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვყოთ საბჭოთა რეპრესიების კვლევებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები:

1. მიუხედავად კვლევათა ერთგვარი სიმრავლისა და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტისა, მათი დიდი ნაწილი ფაქტების მოძიება-გადმოცემას ემსახურება და მოკლებულია ანალიზს. ამ სიცარიელეს გარკვეულწილად ავსებს თანამედროვე კვლევები;

2. საბჭოთა წარსულის კვლევები დღეს საარქივო მასალებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტაციის ბაზაზე მიმდინარეობს. ნაკლებია მსხვერპლთა ჯგუფის ინდივიდუალური ისტორიების, როგორც ალტერნატიული მეხსიერების გამოყენების მცდელობები, რომელსაც ბოლო პერიოდში მიექცა განსაკუთრებული ყურადღება;
3. ქართული და არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფია, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის სახელმძღვანელოები ფოკუსირებულია პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ განხორციელებული დევნის ფაქტებზე. სულ ერთი წინადადებით გვხდება ჩანაწერები ზოგიერთ მათგანში საზოგადოების სხვა ფენის მიმართ გატარებული რესპრესიული პოლიტიკის შესახებ, თუმცა ეს თხრობა აღარ გრძელდება, ასევე, იგნორირებულია ეთნიკური უმცირესობების მიმართ გატარებული რეპრესიები;
4. საბჭოთა ტერორი განხილულია სტალინისა და ლავრენტი ბერიას პიროვნებათა კრილში, იგნორირებულია ქართული საბჭოთა ელიტის მიერ ჩადენილი დანაშაულები.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარა საბჭოთა რეპრესიებით გამოწვეული ტრავმის გამოგლოვება როგორც ინდივიდუალურ და ისე კოლექტიურ დონეზე, რომელიც სიმბოლურად ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მუზეუმებსა თუ მემორიალებში იქნება გამოხატული და უმნიშვნელოვანესია ტრავმების დაძლევისთვის. პოსტსაბჭოთა საქართველოში პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა პოლიტიკური რეპრესიების მემორიზაცია. ტერორზე წერას ერიდებოდნენ თავად ის მწერლებიც, რომლებმაც ეს წნეხი გამოარეს. ლიტერატურაში თითზე ჩამოსათვლელია ნაწარმოებები, რომელიც გარკვეულწილად რეპრესიულ პოლიტიკას ეხება. ქართულ კინოხელოვნებაში ერთადერთი მაგალითი არსებობს, თენგიზ აბულაძის „მონანიების“ სახით, რომელიც საბჭოთა პერიოდშივე შეიქმნა.

ადამიანები, რომლებმაც რეპრესიები საკუთარ თავზე იწვნის საჭიროებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. ღირსეული რეაბილიტაციისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სამართლიანობის

აღდგენა, რაც ლუსტრაციის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. თავისუფლების ქარტია, რომელიც მხოლოდ 2011 წელს მიიღო სახელმწიფომ, დღემდე არ ამოქმედებულა. ფაქტობრივად მივიწყებულია ტერორის პერიოდის ხსოვნა ყველა დონეზე, თუ არ ჩავთვლით ოკუპაციის მუზეუმს, რომელიც ქვეყნის მსხვერპლად წარმოჩენას უფრო ემსახურება, ვიდრე საბჭოთა წარსულის გააზრებას. ტერორის პერიოდის მივიწყებას ხელს უწყობს განათლების სისტემაც, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტულ ცოდნას იძლევა ამ პერიოდის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასში შემაგალი ქვეყნების ნაწილმა პასუხისმგებლობის გაზიარების პროცესი ახლა დაიწყო. დღემდე თითქმის არცერთ ქვეყანას საკუთარი როლი არ უღიარებია და ცხადია, არც საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს. უფრო პირიქით მოხდა - ზოგიერთი ქვეყანა სხვა ერებისთვის განტევების ვაცად იქცა. მაგ., რუსები ბალტიისპირეთსა და საქართველოში, უნგრელები რუმინეთსა და სლოვაკეთში, თურქები და ალბანელები ბალკანეთში და ა.შ.

თანამედროვე სამყაროს ის ნაწილი, რომელმაც საბჭოთა სისტემის წნეხი გამოიღო, შეიძლება ითქვას ტრავმების დაძლევის ახალ ეტაპზე გადავიდა. პოლონეთმა დაიწყო და დღეს უკვე რამდენიმე ქვეყანა აქტიურად იყენებს უარყოფით მაგალითებს ამ პრობლემის დასაძლევად. იქმნება მუზეუმები და სხვა სივრცეები, სადაც წარმოჩენილია იმ ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, რაც შეიძლება შევადაროთ გერმანიის დამოკიდებულებას **ჰოლოკოსტის** მიმართ. აღნიშნული პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ არ დაწყებულია. გარკვეული მცდელობები ჰქონდა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიას“ თბილისში, როცა საბჭოთა სისტემაში ჩართული პირების საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური დაფების განთავსება გადაწყვიტა, თუმცა ფაქტს ადგილობრივი ხელისუფლების ერთგვარი წინააღმდეგობა შეხვდა.

დღეისთვის, საზოგადოებაში ჯერ კიდევ მაღალია პოზიტიური განწყობა საბჭოთა რეჟიმისადმი, მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნეგატიურად აფასებს საბჭოთა კავშირის დაშლის ფაქტს. შესაბამისად, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმისადმი მსგავსი განწყობა არსებობს, საზოგადოების დიდი ნაწილი არ არის თანაგანმცდელი რეჟიმის მსხვერპლთა მიმართ, ხოლო თავად მსხვერპლთა წრის

შიგნით ტერორის მიზეზებზე საუბარი კვლავ სახიფათოდ ითვლება, ეს საბოლოო ჯამში ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმს და მასობრივ დანაშაულებში თანამონაწილეობის მიზეზებსა და შედეგებზე მსჯელობის ტაბუირებას ახდენს.

ის ფაქტი, რომ დღეს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს რეპრესიების მასშტაბისა და სიმძიმის აღქმას, რომ ჩადენილ დანაშაულს არა თუ გმობს, არამედ ამართლებს კიდევ „დროის მოთხოვნით“, შესაძლოა დაბალი ინფორმირებულობით და ინდივიდუალურ ისტორიებთან ნაკლები წვდომით იყოს განპირობებული.

ამდენად, მთელი რიგი მიზეზების გამო - საარქივო მასალებზე წვდომის პრობლემა, უარყოფითი მაგალითების უგულებელყოფა, რეაბილიტაციის ფორმალურობა თუ ნაკლები მემორიზაცია - ვერ იქმნება სათანადო ცოდნა, რომელიც მნიშვნელოვანია საბჭოთა წარსულის გაანალიზებისა და დაძლევის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიებიდან 80 წელზე მეტი გავიდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის სამ ათეულ წელს ვითვლით, ქართული საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. ცოდნა საკითხისა თუ რამდენი ადამიანი, როდის და რატომ გახდა საბჭოთა ტერორის მსხვერპლი საქართველოში დაუზუსტებელი რჩება. რაც დრო გადის, ინფორმაციის სიწმირისა და სტერეოტიპების ფონზე საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება.

რაც შეეხება სამარხების ძიების საკითხს საქართველოში, საარქივო ცნობებისა და ზეპირი ისტორიების შეჯერებით ცნობილი ხდება, რომ რომ საქართველოში დახვრეტის განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში.

უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს, 2019 წლის 5 აპრილს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ ქ. ბათუმის შემოგარენში მიკვლეული მასობრივი დახვრეტის ადგილი, სადაც დაახლოებით 150 ადამიანის ნეშტი არის ნაპოვნი, თუმცა ამ ფაქტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა ერთგვარად დააზარალა სამეცნიერო-კვლევითი ინტერესი. არ მოხდა აგრეთვე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.

საბჭოთა წარსულის სრულფასოვანი გააზრებისა და მასთან დისტანცირებისთვის სასურველია:

1. რეაბილიტაციის პროცესის ბოლომდე მიყვანა, ღირსეული კომპენსაციის გაცემა;
2. ლუსტრაციის კანონის ამოქმედება;
3. მეხსიერების ადგილების შექმნა, პასუხისმგებლობის აღიარებითა და უარყოფითი მაგალითების გამოყენებით;
4. საარქივო დოკუმენტების სრული დიგიტალიზაცია და ხელმისაწვდომობის ხარისხის ამაღლება, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით;
5. საშუალო სკოლების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა საბჭოთა წარსულის უკეთ გააზრებისთვის;
6. უმაღლეს სასწავლებლებში ამ თვალსაზრისით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავების აუცილებლობა;
7. ზეპირი ისტორიების კვლევათა გააქტიურება, რაც სახელმწიფოს მხრიდანაც უნდა იყოს მხარდაჭერილი;
8. საბჭოთა ელიტის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე უფრო მეტი ფოკუსირება, პასუხისმგებლობის გაზიარებისა და უახლესი წარსულის ობიექტური გააზრებისთვის;
9. მემორიალური წიგნების, ფილმების შექმნის აუცილებლობა;
10. ბათუმის შემოგარენში აღმოჩენილი სამარხების იდენტიფიკაცია და საერთო სასაფლაოს, როგორც მეხსიერების ადგილის მოწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანჩაბაძე, გ. (2005). საქართველოს ისტორია, თბილისი;
2. ბოლქვაძე, ხ. (2017). კულტურული მემკვიდრეობის სემიოტიკური მექანიზმი და კონცეპტის თარგმნის პრობლემა, ბათუმი;
3. ბაქრაძე, ა. (2019). მწერლობის მოთვინიერება, გამომცემლობა: ლიტერატურის მუზეუმი, ლაშა ბაქრაძე. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/318748>;
4. ბაქრაძე, ლ. (მაისი 2011). ცენზურა საბჭოთა ლიტერატურაში. მოძიებულია: 27.01.2017. <http://sabchotacenzura.tilda.ws>;
5. ბეჟირიშვილი, ნ. (თებერვალი, 2011). დიდი ტერორი და ქართული მწერლობა, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, მოძიებულია: 07.01.2017. www.sovlab.ge;
6. ბერძენიშვილი, ლ. (ივლისი 2018). საბჭოთა პოლიტიკა და ჩანასახშივე დახვრეტილი შედეგები, ჟურნალი: ლიბერალი. მოძიებულია: 03.05.2019. <http://liberali.ge/articles/view/38361/sabchota-politika-da-chanasakhshive-dakhvretili-shedevrebi>
7. ბათუმელები, (მაისი 2019). რეპრესირებულთა ისტორიები გაზეთი „ბათუმელები“, მოძიებულია: 04.03.2020. <https://www.facebook.com/watch/?v=578166125923412>;
8. გაჩეჩილაძე, რ. (2008). ჩემი მეოცე საუკუნე, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
9. გვარიშვილი, ო. (1998). ავადმოსაგონარი 1937 წელი, ბათუმი;
10. გვარიშვილი, ო. (2000). სტალინი და ავბედითი 1937 წელი, ბათუმი;
11. გაბუნია, დ., ქორიძე, ზ. (ივლისი 2017) ქართული ლიტერატურა საბჭოთა კავშირამდე და შემდეგ, საჯარო დისკუსია: საუბრები ევროპაზე, ბათუმი, ჟურნალისტთა სახლი;
12. გურული, ვ. (2003). საქართველოს ისტორია XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გამომცემლობა არტანუჯი;
13. დუმბაძე, ლ. (აპრილი, 2016), რა წერია ისტორიის სახელმძღვანელოებში?, გაზეთი ბათუმელები, მოძიებულია: 20.05.2019. <https://batumelebi.netgazeti.ge/weekly/42887>;
14. ვაშაძე, გ. (2009). პირადი არქივი. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი. <http://www.nplg.gov.ge>;
15. თურმანიძე, ო. (2017). სამეურნეო-საწარმოო კადრების, კულაკების და სხვა არასასურველი ადამიანების რეპრესიები, გაზეთი „აჭარა“, # 8-10 ივლისი - #11-12 ოქტომბერი;
16. თუშურაშვილი, ო. (2017). არქივის კვალდაკვალ-ბათუმი, აღადგინე ისტორია არქივთან ერთად, საქართველოს შსს არქივი;
17. თურმანიძე, ო. (2019). საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში, ბათუმი;
18. თუშურაშვილი, ო., ლუარსაბიშვილი, ვ. (2017). რევაზ ზივერის ძე ცინცაძე, ინტერვიუ რ. ცინცაძესთან, 2013 წიგნში: არქივის კვალდაკვალ-ბათუმი, სპეციალური საარქივო გამოცემა;

19. IDFI, (2013). *სტალინური სიები საქართველოდან*, ელექტრონული მონაცემთა ბაზა: www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26;
20. IDFI, (ოქტომბერი, 2019). *ბათუმში აღმოჩენილი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სამარხების შესახებ*. მოძიებულია: 15.05.2020. https://idfi.ge/ge/on_the_mass_burial_site_of_victims_of_the_soviet_repressions_discovered_in_batumi;
21. იმნაიშვილი, ი. (ნოემბერი 2020). *უსაფლავო მიცვალებულები*, ტელეკომპანია რუსთავი-2-ის ჟურნალისტური გამოძიება. მოძიებულია: 25.07.2021. <https://www.facebook.com/watch/?v=3620213218043140>
22. იუნგე, მ. ბონვეჩი, ბ. თუმურაშვილი, ო., (2015). *ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში*, ორტომეული, თბილისი, გამომცემლობა: ინტელექტი;
23. იუნგე მ. ბონვეჩი, ბ. მიულერი, დ., (2015). *ეთნოსი და ტერორი საქართველოში*, თბილისი, გამომცემლობა: ინტელექტი;
24. იუნგე, მ., რაისნერი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015). *თოვლის ქვეშ*. იუნგე, მ., თუმურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). *დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში*, პირველი ტომი. თბილისი;
25. კურტუა, ს. ვერთი, ნ. პანე, ჟ. პაჩვოსკი, ა. ბარტოსეკი, კ., მარგოლენი, ჟან-ლ.(2011). *კომუნიზმის შავი წიგნი*, თბილისი, გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
26. კაციტაძე, ე. (2017). *მასობრივი გადასახლებები წიგნში: არქივის კვალდაკვალ - ბათუმი*. სპეციალური საარქივო გამოცემა;
27. კაიკაციშვილი, მ. (1998). *ჩემი ბაბუა გულო კაიკაციშვილი*. ბათუმი;
28. კულტურის კვლევები, (2017). *მეხსიერების ფორმირება ერთიანი ქართული საბჭოთა იდენტობის შექმნისთვის*. მოძიებულია 20.01.2017. <http://kulturiskvlebebi.weebly.com>;
29. კულტურის კვლევები, (2017). *საბჭოთა იდენტობის მარკერები*, ლექცია #9. მოძიებულია 20.01.2017, <http://kulturiskvlebebi.weebly.com>
30. მაისურაძე, გ. (2013). *დაკარგული კონტექსტები*. თბილისი: არჩილ სულაკაურის გამომცემლობა;
31. მაისურაძე, გ. (იანვარი 2020). *საქართველომ საკუთარ თავს გამოუცხადა ომი*, მოძიებულია: 12.05.2021. <https://indigo.com.ge/articles/giorgi-maisuraze-saqartvelom-sakutar-tavs/+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge>;
32. მარგველაშვილი, ა. ხვადაგიანი, ი. შაიშმელაშვილი, გ., ცოცხალაშვილი, მ. (2012). *დაკარგული ისტორია. მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ*. SOVLAB, თბილისი;

33. მარგველაშვილი, ა., ხვადაგანი, ი., შაიშმელაშვილი, გ., გოგიშვილი, დ. (2012). *დაკარგული ისტორია*. თბილისი;
34. მგალობლიშვილი, მ. (1990). *1937 - რეპრესირებულის მოგონებები*, თბილისი;
35. მაისურაძე, გ. (აგვისტო 2009), *შიბოლეთი - ქართული აქცენტის გამოგონება* მოძიებულია 1 მაისი, 2017.
http://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/stalini_kart.doc.
36. როზიჩი, პ. (ივნისი, 2011). *ლუსტრაციის კანონი - რეპრესიული გზა თუ პოლიტიკური გასამართლების ფორმა, ინტერპრესნიუსი. მოძიებულია: 11.01.2017.*
<https://www.interpressnews.ge/ka/article/173446-lustraciis-kanoni-represiuli-gza-tu-politikuri-gasamartlebis-porma>;
37. სურმანიძე, რ. (2014). *ტრაგედია ბათუმში, 1937-38 წლები*“, ბათუმი;
38. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, (2011). *საბჭოთა კავშირის გააზრება - დისკუსიები*, ანთოლოგია;
39. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა. საქართველოს რესპუბლიკა 1991, 10 აპრილი, №70;
40. სონდულაშვილი, ა. (2000). *ინტელიგენცია და პოლიტიკა მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში*, კლიო(საისტორიო აღმანახი);
41. ქარცივაძე, მ., ვაჭარაძე, ა. (2019). *ისტორიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირში და ივანე ჯავახიშვილის ბედი*, მოძიებულია: 01.05.2021,
https://www.idfi.ge/archive/index.php?cat=read_topic&topic=153&lang=ka;
42. ქარაია, თ. (2015). *მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში*. სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
43. ქარაია, თ. (2015). *საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ*. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, www.jyr.tsu.ge;
44. ქურხული, ა. (2004). *...და რომ გახსოვდეს*. თბილისი; სტალინის, ბერიასა და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ. თბილისი;
45. ჩარკვიანი, კ. (1985). *განცდილი და ნააზრევი*. წიგნი პირველი, თბილისი; ჯიბლაძე, ზ. (შემდგ.). (2004). *განცდილი და ნააზრევი 1906-1994. მოგონებები*. თბილისი;
46. ჩოლოყაშვილი, რ. ჩხეიძე, ე. ბალანჩივაძე, ნ. რატიანი, ნ. ყველაშვილი, ი., (2010). *ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 1921-1991, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*, თბ.;
47. ჩიქოვანი, ლ. ცეცხლაძე, ნ., (1990). *რეაბილიტაცია*, ბათუმი;
48. ციციშვილი, გ. (1998). *ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა);

49. ხვადაგანი, დ. (მარტი, 2019). რეაბილიტაცია - ფურცელზე და რეალობაში, მოძიებულია 20 მაისი, 2020. <http://archive.ge/ka/blog/70;>
50. ხვადაგანი, ი. (მაისი, 2019). რატომ არ იხსნება არქივები საბჭოთა ტერორის შესასწავლად. მოძიებულია: 21.08.2019. <https://netgazeti.ge/news/362408/?fbclid=IwAR02bd8R7whMUuGkafUvt9rGxOGt17tcufzFrbkLmCnwnV5Y6N8AKpbeRgg;>
51. ჯავახიშვილი, ჯ. (2015). ქართული საზოგადოება და მისი ტრავმები, დისკუსია წიგნში: იუნგე, მ., მიულერი, დ., ბონვეი,მ. (2015). ეთნოსი და ტერორი საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა: ინტელექტი;
52. ჯავახიშვილი, ჯ. (2017). ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. [https://iliauni.edu.ge/uploads/other/47/47369.pdf;](https://iliauni.edu.ge/uploads/other/47/47369.pdf)
53. ჯანელიძე, ო (2019). პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში: მსხვერპლი და ჯალათები, ჟურნალი „ანალები“, # 16;
54. ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა., თავაძე, ლ., ირემაშვილი, ნ. (2012). საქართველოს ისტორია 9, გამომცემლობა „კლიო“, თბილისი) <https://en.calameo.com/read;>
55. წიფურია, ბ. (2016). ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. [http://eprints.iliauni.edu.ge;](http://eprints.iliauni.edu.ge)
56. ხალვაში, თ. (მარტი 2016) სირცხვილის პერიფერია. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. მოძიებულია:03.05.2019. [emcrightspr;](http://emcrightspr.org)
57. ხვადაგანი, ი. (მარტი 2019). რეაბილიტაცია - ფურცელზე და რეალობაში, მოძიებულია: 03.04.2020. <http://archive.ge/ka/blog/70;>
58. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიის რეგიონალური ბიურო, "ალჟირის" პატიმართა პორტრეტები-სტალინიზმის ისტორიიდან. შემდგენელი: ლეჟავა, ნ., ბექიშვილი, ნ. თბილისი, 2008. [http://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/;](http://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/)
59. Asatiani, N. Janelidze, O., (2009). *History of Georgia. From Ancient Times to the Present Day.* Tbilisi;
60. Assmann, A. (2006). Memory, Individual and Collective, in Contextual Political Analysis, In Goodin, R. Tilly, Ch. The Oxford Handbook of Contextual Political Analysis. (pp 211-227).Oxford: Oxford University Press;
61. Ахматова, А. (1961). *РЕКВИЕМ.* <https://www.culture.ru/poems/10174/rekviem;>
62. Avalishvili, L. (2015). *Rehabilitation of victims, memory of nations: Democratic trancition Guide – The Georgian Experiens.*

https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/archieves_idfi/Avalishvili_Rehabilitation%20of%20Victims.pdf;

63. Burke, P. (1980). History as social memory. History, culture and the mind. Ed. by T. Butler. N.Y.;
64. Blauvelt, T., Smith, J. (Eds.). (2015). *Georgia after Stalin: Nationalism and Soviet Power*, London. <http://eprints.iliauni.edu.ge/4568> ;
65. Cohen, S. (1995). State Crimes of Previous Regimes: Knowledge, Accountability, and the Policing of the Past. *Law & Social Inquiry*. #20;
66. Verovšek P. (2007). *The Politics of Memory: A Conceptual Approach to the Study of Memory in Politics*. Accessed: 16.10.2011.
http://www.yale.edu/macmillan/ocvprogram/conf_papers/Verovsek.pdf
67. Daniel, A., Eremova, L. (2016), Rehabilitation and Memory: Treatment of the Victims of Soviet Political Repression in Former Soviet Union Countries, Moscow: Memorial. <https://www.memo.ru/media/uploads/2017/03/02/reabilitacia.pdf>;
68. Education Science and Psychology (2013) No.1(27) Teachers' first conference "University and School - essential to each other", Accessed: 29-30 November 2013;
69. Funkenstein, A. (1989). Collective Memory and Historical Consciousness. History and Memory. Indiana University Press. Vol. 1, No 1;
70. Gregory, P. (2009). *Terror by Quota: State Security from Lenin to Stalin*, New Haven: Yale University Press, <https://www.h-net.org/reviews/showrev.php?id=23648>
71. Halbwachs, M. (1992). On Collective Memory Sociology Series;. Heritage of
Zerubavel E, (2003). Time Maps: Collective Memory and the Social Shape of the Past. University of Chicago;
72. Hanjibeyli, D. (1959). *The 1937 Trials of Adzharian Leaders/Caucasian Review*. #8. p.21-26;
73. IDFI, (may 2019). *Soganlghi - A Place of Mass Executions*. Accessed: 24.07.2020.
<https://idfi.ge/en/news-8>;
74. IDFI (april 2019). places of mass burials of victims of soviet repression, Accessed: 24.07.2019.
https://idfi.ge/en/places_of_mass_burials_of_victims_of_soviet_repression_in_georgia;
75. Jones S. F. (2014). The Soviet Occupation of Georgia in 1921 and the Russian-Georgian War of August 2008: Historical Analogy as a Memory Project" in The Making of Modern Georgia, 1918-2012: The first Georgian Republic and its Successors. London and New York: Routledge, Taylor & Francis Group;
76. Kansteiner, W. Fogu, C. (2006). The Politics of Memory in Postwar Europe. Durham: Duke University Press;

77. Kansteiner, W. Fogu, C. (2006). *The Politics of Memory in Postwar Europe*. Durham: Duke University Press;
78. Reisner, O. (08.09). *Interpreting the Past – From Political Manipulation to Critical Analysis? in: caucasus analytical digest #08*. <https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD-8-2-4.pdf>;
